საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№3 (427)
31 იანვარი – 6 თებერვალი, 2018
საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

# «ნაციონალური სახელმწიფოები უნდა განადგურდეს 7

## ეს არის მიზანი იმისა, რაც დღეს საქართველოში ხდება»



NDI-ს ხელმძღვანელი ლორა ტორნტონი: ჟურნალისტმა სიტყვასიტყვით მკითხა, — ხომ არ გეგმავდა ენ-დი-აი აშშ-ისა და რუსეთის სამხედრო ძალებზე კითხვის ფორმულირებით ამერიკის პრეზიდენტის რუსეთთან დაპირისპირების ლობირებას? ხმამაღლა გამეცინა. ტრამპი რუკაზე საქართველოს, დიდი ალბათობით, ვერც იპოვის... 2



# კოლონიალიზმის ფარული ხიბლი

«თუ მოსყიდულები არ ხართ, მაშინაც ამოიღეთ ხმა, როდესაც მერაბიშვილი ორ ვადას ითხოვდა, სასჯელაღსრულების მინისტრი კი ციხეების ტარის სისქეს ზომავდა» 2

# სიცრუე და ორპირობა ხელისუფლებაში 10

„მრავალი წელია, ვამბობ, რომ აუცილებელია კანონი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების საქმიანობის შედეგებზე მათი პირადი პასუხისმგებლობის შესახებ. სანამ ასეთი კანონი არ არსებობს, მოვუწოდებ ამომრჩევლებს, მოითხოვონ ამა თუ იმ კანდიდატისგან თუნდაც საჯარო დაპირება, რომ, თუ ორი წლის შემდეგ იგი არ წარმოადგენს თავისი საქმიანობის კონკრეტულ შედეგებს, მაშინ გადადგება“



# სიძულვილის «საპრეზიდენტო ინდუსტრია» 8

«ამომრჩეველთა დიდი ნაწილი ალტერნატივას, რომ იტყვიან, «მესამე გზას» ეძებს, რასაც უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვების ადასტურებს»

# ვესტერნიზაციის ნამდვილი სახე

## ვაშა ამ ახალ საქართველოს! ვაშა ბარიგებს! 5




# დირექტივა №66-6G




14

„ამერიკულმა ინსტიტუტებმა გადაწყვიტეს, საქართველო გადაეცათ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA) მმართველობის ქვეშ, რომლის მზვერავი თბილისში ჯერ კიდევ 40 წლის წინათ შემოგზავნეს, როგორც სტუდენტი, სახელად იან კელი“



# «ლიდერს რომ ხედავდეს, ხალხი ქუჩაში დღესაც გამოვა» 6

# «ქართველ ხალხს ქვეყნის სათავეში ამერიკის კიდევ ერთი მონა არ სჭირდება!» 19

„ძალიან ეროვნულები“ გვაფრთხილებენ: ჩვენ არ უნდა ვიქცეთ რუსეთის დირექტივების შემსრულებლადო. საინტერესოა: რუსეთის რომელმა დირექტივამ დააზიანა საქართველოს ინტერესები, განსხვავებით დასავლეთის დირექტივებისგან, რომლებიც ჩვენი სულიერების დასამარებისკენ არის მიმართული?

ჩევლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის შინაგან საქმეთა მინისტრი. მან ამ გამოწვევას უნდა გაუძლოს; ვალდებულია, გაუძლოს; თორემ, დაანონსებული პრემიერობა კი არა, საპატიო ყარაულშიც აღარავინ დააყენებს მომავალში. ის ვალდებულია, რომ პოლიციის მუნდირს ღირსება შეუნარჩუნოს და ძალაუფლება ხელში არ ჩაუგდოს ნარკომანებს, მოქველბიჭო ელემენტებს და ქვეყანაში არ დააბრუნოს 1990-იანი წლები, ის პერიოდი, როცა სიმართლე იმის მხარეს იყო, ვისაც უფრო მეტი ტყვია ჰქონდა მჭიდში. არადა, აქეთ მივდივართ, მივდივართ იმისკენ, რომ ნარკომანობა ისევ „კაი ტიპობა“ გახდეს, წამალი ისევ ქუჩაში გაიყიდოს და ამისთვის არავინ დაისაჯოს.**

# კოლონიალიზმის ფარული ხიბლი

## როდესაც «სტრატეგიული პარტნიორი» რუკაზეც ვერ გვპოულობს

**მართლა არ მახსოვს, რამდენჯერ დაგვიწერია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სულ ცალ ფეხზე ვკიდივართ — არც ჩვენი მომავალი აღელვებს და არც საერთაშორისო მისიებში მებრძოლი ქართველები, მაგრამ ამის გამო მხოლოდ კრიტიკას ვისმენდით. უფრო ზუსტად, პოლიტიკოსები შთაგონებული სახეებით გვიმტკიცებდნენ, — გეშლებათ, ამერიკის პირველი პირი და კონგრესმენები ღამითაც კი ჩვენზე ფიქრობენო. ჰოდა, ამ ყველაფრის ფონზე საქართველოში ამერიკის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ხელმძღვანელმა ლორა ტორნტონმა მოწმენდილ ცაზე მეხი დააქუხა.**

„გასულ ღამეს, „იმედის“ ჟურნალისტმა სიტყვასიტყვით მკითხა, — ხომ არ გეგმავდა ენ-დი-აი აშშ-ისა და რუსეთის სამხედრო ძალებზე კითხვის ფორმულირებით ამერიკის პრეზიდენტის რუსეთთან დაპირისპირების ლობირებას? ხმამაღლა გამეცინა. ტრამპი რუკაზე საქართველოს, დიდი ალბათობით, ვერც იპოვის, არათუ თვალს ადევნებს აქ ჩატარებული კვლევის შედეგებს. მაგრამ მე მომწონს ვარაუდი, თითქოს ამხელა გავლენა გვაქვს!“ — დაწერა ქალბატონმა ლორა ტორნტონმა სოციალურ ქსელში.

ჰოდა, ატყდა ამბავი, მაგრამ რა ამბავი! **ირაკლი მეზურნიშვილმა** (ვალოდია ჯინჭარაძის მსგავსი პარლამენტარია) სპეციალური ბრიფინგი გამართა და განაცხადა, ტორნტონმა ბოდიში უნდა მოიხადოს ამ სიტყვების გამო, რადგან შეურაცხყო ერიც და ჩვენი სტრატეგიული პარტნიორიცო. მერე **ვალოდიამ (მეზურნიშვილმა, ანუ) დასძინა, ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრებაა და არა მმართველი გუნდისა და საპარლამენტო უმრავლესობისო, მაგრამ როდის იყო, ჩვენი დროის „ვალოდიებს“ საკუთარი მოსაზრება ჰქონდათ?! მოსალოდნელიც იყო და ატეხა კიდეც მმართველმა ძალამ ერთი ამბავი, ჩვენი „ვალოდია“ მართალია, ტორნტონმა ბოდიში უნდა მოიხადოს ამ შეურაცხყოფისთვისო.**

სიმართლე გითხრათ, თავი შეურაცხყოფილად ნამდვილად არ მიგრძვნია, რადგან ქალბატონმა ლორამ ზუსტად ის თქვა, რაც, მართლა არ მახსოვს, რამდენჯერ დაგვიწერია. სამაგიეროდ, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი სესიაშვილმა** იგრძნო თავი შეურაცხყოფილად და ძალიან საინტერესო კომენტარი გააკეთა:

„ლორა ტორნტონის განცხადებამ გამახსენა ერთ-ერთი სამხედრო სპეცოპერაცია ავღანეთში, როცა ამერიკელი ჯარისკაცები და ოფიცრები ალყაში მოექცნენ, ჩვენმა ჯარისკაცებმა კი ალყა გაარღვიეს და პარტნიორი ქვეყნის ჯარისკაცების სიცოცხლე გადაარჩინეს“, — განაცხადა სესიაშვილმა.



აი მომკალით და, არც ის გამკვირვებია, ბატონი ირაკლი სხვის გმირობებს რომ იხსენებს. აბა, თავისი გასახსენებელი არაფერი აქვს, არც ჯარში ყოფილა (უჩალიჩეს და დატოვეს, აქაოდა, ენურეზი სჭირს, ანუ ღამღამობით იფსამსო), არც სადმე უომია (მოხალისედ მაინც რომ წასულიყო) და, რაღაცას რომ იბრალებდა ამას წინათ აფხაზეთის ომზე, ცოცხალი აფხაზი პირველად მაშინ ნახა, როცა **ადა მარშანიას** შეხვდა. ჰოდა, ეს კაცი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ რომ დაგვინიშნეს (თანაც მეორე ვადით), კი არის ჩვენი სირცხვილი, მაგრამ უარესი სირცხვილიც გადაგვიტანია და ამასაც გადავიტანთ როგორმე, თუმცა ტორნტონის განცხადება უფრო სერიოზულად უნდა შევაფასოთ. აბა, ვალოდიებისა და ქვეშაფსიების განცხადებები შედეგს რომ ვერ მოიტანს, ადვილი მისახვედრია.

მოკლედ, ბოდიშის მოთხოვნის, ტრიბუნაზე მუშტის ბრაგუნისა და გულში მჯიღის ცემის შემდეგ, ჟურნალისტებმა ტორნტონს მიაკითხეს.

**„მე ვარ ამერიკის მოქალაქე. ეს არის ჩემი პირადი მოსაზრება, რომელზეც პოზიცია ჩემს პირად გვერდზე გამოვხატე. ამისთვის ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ“,** — აი ასეთი პასუხი გამოაცხო ქალბატონმა ლორამ, ანუ დაახლოებით ასე თქვა: სულ ცალ ფეხზე მკიდია, მოგეწონათ თუ არა, რაც ვთქვიო.

ისე, საინტერესოა, ვინმემ რომელიმე შოუში ან ბრიფინგისას დონალდ ტრამპს მსოფლიოს რუკა რომ დაუდოს და სთხოვოს, მაჩვენე, საქართველო სად არისო, იპოვის?! — ძალიან საეჭვოა, ეს მოახერხოს და არც ის არის გამორიცხული, იმაზე მკვახე პასუხი გასცეს, ვიდრე ტორნტონმა, რომელმაც ჩვენი პოლიტელიტა აღაშფოთა.

აი ეს არის, ბატონებო, რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ და, იმის მიუხედავად, რომ კარგად შელამაზებასა და შეფუთვას ცდილობთ, მაინც **გამოჩნდება ხოლმე „ვინმე ტორნტონი“, რომელიც არც კი შეგეკითხებათ, ისე ჩაატარებს კვლევას, გამოაქვეყნებს შედეგებს და მერე იმას იტყვის, რაც ენაზე მოადგება. ამისთვის კი ბოდიშსაც არ მოიხდის და, თუ ძალიან შეაწუხებთ, ქვეყნის კიდევ ერთი მმართველი, ამერიკის ელჩი, დაგიბარებთ და იმ ყურს აგიწევთ, სირცხვილისგან**

▶

# თუ მოსყიდულები არ ხართ, მაშინაც ამოვიღოთ ხმა, როდესაც მერაბიშვილი ორ გვამს ითხოვდა

**უცნაური ტრადიცია დამკვიდრდა: თუ პოლიციელი ვინმეს აკავებს, მასთან, შეიძლება ითქვას, ყველა გამვლელი ჩერდება, დაკავებას ტელეფონით იღებს და მერე სოციალურ ქსელში აღშფოთებული სტატუსით ტვირთავს: „დღეს პოლიციელმა დააკავა მამაკაცი, რომელსაც ხელი გადაუგრიხა. შევეცადე, დავხმარებოდი, მაგრამ ვერ შევძელი. უსამართლობაა, ხალხო...“**
**ამგვარი ფაქტები ისე გახშირდა, რომ ადამიანებმა ლამის დევნა დაუწყონ პოლიციელებს მხოლოდ იმიტომ, რომ სადმე ვინმეს თუ დააკავებენ, მაშინვე ტელეფონით გადაუღონ და მერე სოციალურ ქსელში ატვირთონ.**



ფოტო აქციიდან შსს-ს წინააღმდეგ

ყველაზე საინტერესოც ამის შემდეგ იწყება. გამოდიან არასამთავრობო ორგანიზაციები, ვითომ ექსპერტები, ვითომ პროფესორები და სერიოზული სახით ამბობენ, რომ პოლიციამ ძალას გადააამეტა. პოლიციამ ძალას გადაამეტა მაშინ, როცა პოეტი **ზვიად რატიანი** დააკავა; მაშინ, როცა **გიორგი გიორგანაშვილს** რვაას აბზე მეტი „ჩაუდო“; მაშინ, როდესაც მეტროპოლიტენში დააკავა კაცი, რომელიც თურმე იგინებოდა; მაშინ, როდესაც პარლამენტარის შვილი პატრულისგან გაქცევას ცდილობდა და მას ტრაილერით გზა გადაუკეტეს... არადა, გასულ კვირას, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, ერთი ოჯახის ექვსი წევრი გარდაიცვალა და, ვინმეს ანალოგიური ავარია რომ გაეკეთებინა, ხომ იტყოდნენ არასამთავრობოები: პოლიცია ვალდებული იყო, შეეჩერებინა, თუნდაც ამისთვის იარაღის გამოყენება დასჭირვებოდა, ასე ხომ ექვსი ადამიანის სიცოცხლეს იხსნიდაო.

„სამართლის დოქს“ არასამთავრობო სექტორი ყურს, საიდანაც უნდა, იქიდან გაუკეთებს, მაგრამ ყველა შემთხვევაში ისე, რომ პოლიცია „მონსტრი“ გამოჩნდეს და არა უსაფრთხოების სადარაჯოზე მდგომი. არადა, **რაღაც არ მახსენდება, ეს არასამთავრობოები წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში ასე ხმალ თუ მობილურამოღებულები რომ მდგარიყვნენ ადამიანების უსაფრთხოების სადარაჯოზე და პოლიციელები გაეკრიტიკებიათ.** არც ის მახსოვს, როცა პოლიცია ქუჩაში ხვრეტდა ხალხს, ასე მასობრივად აეტეხათ განგაში არასამთავრობოებს და ვითომ ექსპერტებს, ხედავთ, ხალხო, რას აკეთებენო. მაშ, რა მოხდა ახლა, რატომ არის პოლიციის წინააღმდეგი ყველა?! **რატომ არის, რომ ყველა ნარკომანი თუ ნარკოტიკის გამყიდველი, რომელსაც აკავებენ, მაშინვე განგაშს ტეხს, — წამალი ჩამიდესო?!**

პირველ რიგში, იმიტომ, რომ ხალხი, რომელიც 2012 წელს საარჩევნო ყუთთან იმ იმედით მივიდა, რომ ახალი ხელისუფლება წინას პასუხს მოსთხოვდა და მათ მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებებს არ აპატიებდა, იმედგაცრუებული დარჩა. **უფრო კონკრეტულად კი, პირში ბიულეტენგამოვლებული.** კიდევ იმიტომ, რომ ამ არასამთავრობოებსა და ჯიბის ექსპერტებს იმჟამინდელი ხელისუფლება კვებავდა და ახლა ეს გზა გადაეკეტათ; კიდევ იმიტომ, რომ წინა ხელისუფლებამ თავისი ნამოქმედარი (რომელზეც, კიდევ ვიმეორებთ, პასუხი მოსათხოვი იყო და არ მოსთხოვეს) „გააპრავოს“ და ხალხს ათქმევინოს, ყველაფერი მოგონილი და შეთითხნილი იყო, მცირე გადაცდომების გარდა, და მიშა რომ ამბობდა, ყველა ციხეშიო, ე.ი. მართალი იყო, ასეთი ხელი გვჭირდება, ცოცხი გვჭირდება, „დუბინკა“ გვჭირდება, „ორი გვამი“ გვჭირდებაო. ამისკენ მიჰყავთ ყველაფერი და მიჰყავთ დიდი ნაბიჯებით...

**არ აქვს მნიშვნელობა, ვინ არის შინაგან საქმეთა მინისტრი. მან ამ გამოწვევას უნდა გაუძლოს; ვალდებულია, გაუძლოს, თორემ, დაანონსებული პრემიერობა კი არა, საპატიო ყარაულშიც აღარავინ დააყენებს მომავალში. ის ვალდებულია, რომ პოლიციის მუნდირს ღირსება შეუნარჩუნოს და ძალაუფლება ხელში არ ჩაუგდოს ნარკომანებს, მოქველბიჭო ელემენტებს და ქვეყანაში არ დააბრუნოს 1990-იანი წლები, ის პერიოდი, როცა სიმართლე იმის მხარეს იყო, ვისაც უფრო მეტი ტყვია ჰქონდა მჭიდში. არადა, აქეთ მივდივართ, მივდივართ იმისკენ, რომ ნარკომანობა ისევ „კაი ტიპობა“ გახდეს, წამალი ისევ ქუჩაში გაიყიდოს და ამისთვის არავინ დაისაჯოს.**

პოლიცია იმისთვის არის ქვეყანაში, რომ წესრიგი დაიცვას და, თუ ვინმე ამ წესრიგის აღსრულებაში ეწინააღმდეგება, ხან ხელი გადაუგრიხოს და ხან — ფეხი. ევროპასა და ამერიკაზე რომ გვაქვს სწორება, გაიხსენეთ, რამდენჯერ მოხდა ბოლო პერიოდში, როცა ევროპელმა პოლიციელმა მხოლოდ იმისთვის გაისროლა, რომ ეჭვმიტანილმა დანა არ დააგდო და სამართალდამცავის მო-

▶

**პრეზიდენტად საკუთარი კანდიდატურის წამოყენების შემთხვევაში, ივანიშვილს არ ექნება არანაირი მორალური უფლება, ამომრჩეველს შეხვდეს და ერთი დაპირება მაინც მისცეს, რადგან აქამდე გაცემული არც ერთი დაპირება არ შეუსრულებია.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **არასდროს რომ არ განითლდებათ.**

რაღა ახლა განითლდით და რაღა ახლა გენყინათ? თუ, ეს ხალხმა რომ დაიჯეროს, გამოვა, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში ნატოსა და ამერიკისკენ სწორება წყალში გადაყრილი ყოფილა და ყველა დაინახავს, რომ ეს ყველაფერი ფარსია? ყველა მიხვდება, რომ ჩვენთვის ნატოს კარი არც არასდროს გაიღება და ამერიკისთვის მანამდე ვიქნებით საჭირო, სანამ საჯიშე ბიჭებს გავგზავნით მათი პოლიტიკური მიზნებისა და მადის დასაკმაყოფილებლად. **თქვენ ხომ ყველაზე კარგად იცით და ყველაზე კარგად გესმით, რომ ამერიკას საქართველო არც ნატოში სჭირდება და არც ნატოს გარეთ, ჩვენი ქვეყანა მათთვის ისეთივე კოლონიაა, როგორიც აფრიკის ყველაზე ჩამორჩენილი სახელმწიფო. ეს გამოჩნდა 2008-შიც, ეს გამოჩნდა ახლაც და გამოჩნდება მომავალშიც. უბრალოდ, ამ ყველაფერს აღიარება უნდა, მაგრამ აღიარება სავარძლების დაკარგვას ნიშნავს და სავარძლების დაკარგვა კი არ გსურთ.**

ჰოდა, შეეგუეთ იმას, რომ ხანდახან გამოჩნდება ვინმე ტორნტონი, რომელიც სარკეში ჩაგახედებთ, დაგცინებთ, გაგამასხარავებთ და ამ ყველაფრის ატანა მოგინევთ; მოგინევთ იმიტომ, რომ თქვენ მართლა ყველაზე კარგად იცით, როგორი მწარე სიმართლე წამოსცდა ლორა ტორნტონს.

**P.S. წამოსცდა რო?!**

◀ წოდებას არ დაემორჩილა! ვინც არ იცის, იმის გასაგონად ვიტყვით, რომ, ამერიკული კანონმდებლობის მიხედვით, პოლიციელისთვის ხელის შეხება არ შეიძლება, კანონი კრძალავს; შეხების შემთხვევაში კი პოლიციელს სროლის უფლება აქვს. ანუ, **ის, რაც თუნდაც გასულ კვირას თბილისის მეტროპოლიტენში მოხდა, ამერიკაში რომ მომხდარიყო, პოლიციელს სროლის უფლება ჰქონდა და ამის გამო არავინ გააკრიტიკებდა, არავინ მოუწყობდა ობსტრუქციას...**

ჰოდა, თუ მოსყიდულები არა ხართ, ბატონებო, მაშინაც გეყვირათ, როცა საყვირალი იყო; მაშინაც ამოგეღოთ ხმა, როცა შს მინისტრი ორ გვამს ითხოვდა, სასჯელაღსრულების მინისტრი კი ცოცხების ტარის სისქეს ზომავდა. თუ მაშინ თქვენც **ნატა ფერაძესავით** არ გეცალათ და სექსით (ფერაძისგან განსხვავებით, რბილად რომ ვთქვათ) იყავით დაკავებული?! ფერაძე ტყუილად არ მიხსენებია, ამ ქალბატონმა, რომელიც, შევიტყვეთ, რატომ არ აქტიურობდა მიშას პერიოდში, ნარკომანების, ბარიგებისა და ნარკოტიკების ლეგალიზების მხარდამჭერ აქციაზე საკუთარი შვილი, საკუთარი ბიჭი, მიიყვანა და მანაც ხმამაღლა იღრიალა: შუა თითი ვაჩვენოთ სამართალდამცველებსო. შვილის ამ მოწოდებას დედაც აჰყვა და შუა თითი სიამაყით შემართა...

ისე არ ქნათ, ბოლოს მხოლოდ ეგ შეგრჩეთ — ფერაძე და ზემოთ აღმართული შუა თითი!

**ბესო ბარბაქაძე**

# ამერიკის მილიტარისტულ სამზადისში საქართველო ერთ-ერთ მონაწილედ განიხილება

**საქართველოში ხომ ასეა — წლიდან წლამდე არჩევნებით ვცხოვრობთ. აბა, დათვალეთ: 2012 წელს საპარლამენტო გვქონდა, 2013-ში — საპრეზიდენტო, შემდეგ — ადგილობრივი თვითმმართველობის, 2015 წელს ამოგვასუნთქეს, 2016-ში — ისევ საპარლამენტო, შარშანდელი წელი ისევ თვითმმართველობის იყო, წელს კი კვლავ პრეზიდენტის არჩევა მოგვიწევს. ერთი შეხედვით, ეს კარგია, რადგან სწორედ წინასაარჩევნოდ ილვიძებს ხელისუფლება და ხან გზებს აკეთებს, ხან რაღაცას აშენებს, მაგრამ, როცა არჩევნები ჩაივლის, ინფრასტრუქტურულ პროექტებში ჩადებულ თანხებს ორმაგად იბრუნებენ ხელისუფალნი.**



საპრეზიდენტო არჩევნები შემოდგომაზე გაიმართება, მაგრამ კანდიდატების ნაწილი უკვე ცნობილია. თითქმის ასპროცენტიანი სიზუსტით შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტობას ისევ მოისურვებს **გიორგი მარგველაშვილი**, საპრეზიდენტო ამბიცია უკვე დაადასტურა **შალვა ნათელაშვილმა**, „ნაციონალური მოძრაობა“ **გრიგოლ ვაშაძეს** დაასახელებს, „ევრო-ნაცები“ **გიგი უგულავასა** და **დავით ბაქრაძეს** შორის გააკეთებენ არჩევანს... მაგრამ მთავარი ინტრიგა იქნება ის, ვის დაასახელებს მმართველი გუნდი. ჰოდა, კულუარებში უკვე ითქვა, რომ პრეზიდენტობა შეიძლება ყოფილმა პრემიერმა **ბიძინა ივანიშვილმა** მოისურვოს. ქართული რეალობიდან გამომდინარე, თუ ივანიშვილი პრეზიდენტობას მოისურვებს, დიდი ალბათობით, გახდება კიდეც, რადგან 1-2 ხის გადარგვას ცოტა ხნით გადადებს, ამისთვის საჭირო ფულს წინასაარჩევნო კამპანიაში ჩადებს და...

მოდი, ის ვთქვათ: **რატომ შეიძლება მოუნდეს ივანიშვილს პრეზიდენტობა, აქვს თუ არა ამის მორალური უფლება და რას უნდა ველოდოთ მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში?**

პირველით დავიწყოთ. მედიისთვის თავის დროზე მიცემულ ინტერვიუში ივანიშვილმა თქვა: მატერიალისტი ვარ, სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის არ მწამს და ამიტომ ვცდილობ, აქ ვიცხოვრო მაქსიმალურად დიდხანს და არსებულით დავტკბეო. არსებულით ტკბობის ნიჭი ამ კაცს აშკარად აქვს, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ საკუთარი სურვილების ახდენით ისტორიას ვერ შემორჩები, **დიდია ალბათობა იმისა, რომ ისტორიაში შემორჩენის მიზნით, ივანიშვილმა პრეზიდენტობის სურვილი მართლაც გამოთქვას.** ჯერ ერთი, ახალი კანონმდებლობით, ბოლო პრეზიდენტს ავირჩევთ (და ამ შემთხვევაში, ცნობილი ფრაზა „ბოლო ჩვენი მტრებისთვის იყოსო“ აშკარად უადგილოა). იმავე ახალი კანონმდებლობით, ბოლო პრეზიდენტი ყველაზე ხანგრძლივი ვადით იქნება ქვეყნის სათავეში, ანუ 2024 წლამდე, რადგან შემდეგ არჩეულმა პარლამენტმა უნდა აირჩიოს პრეზიდენტი და, აქამდე დაწესებული ხუთი წლის ნაცვლად, ახალი პრეზიდენტი ექვს წელიწადს „იმეფებს“. შესაბამისად, ისტორიაში ჩაიწერება, რომ საქართველოს ბოლო პრეზიდენტი იყო ბიძინა ივანიშვილი. როგორია?! აშკარად ნოყიერი სატყუარაა იმისთვის, რომ კაცმა პრეზიდენტობაზე იფიქროს.

რაც შეეხება **მორალურ უფლებას**, არანაირი გამოკითხვა და კვლევა არ სჭირდება იმას, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში მოსახლეობა უფრო გაღარიბდა. ეს მხოლოდ ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო არ მომხდარა. **ქვეყნის ყველაზე ძვირად ღირებული პროექტი ხის გადატანა რომ იქნება, ადვილი მისახვედრია, რა დღეშიც ვართ, ესეც არ იყოს, შეხედეთ თქვენ გარშემო მყოფ ადამიანებს, შეხედეთ საკუთარ თავს, ბიუჯეტს და მიხვდებით, რომ ბოლო ხუთ წელიწადში აშკარად უკან მივდივართ.** ივანიშვილმა არ შეასრულა არც ერთი დაპირება, რომლებზეც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ილაპარაკა. დიახ, პირადად დაჰპირდა ამომრჩეველს გადასახადების განახევრებას, საოცარ წლებს და კიდევ ბევრ რამეს, მაგრამ ნურას უკაცრავად — ერთი დაპირებაც არ შეასრულა და წავიდა. თანაც წავიდა ისე, რომ საზოგადოებისთვის ბოდიშიც არ მოუხდია და შეგვატოვა თავის ყმებს. სწორედ რომ ყმებს, რადგან დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ არა ივანიშვილი, საქართველოს არც ერთ მოქალაქეს არ მისცემდნენ იმდენი თავხედობის უფლებას, რომ ხეების გადასატანად, არა თუ ცენტრალური მაგისტრალების პარალიზება, სხვა ხეების მოჭრა, ელექტროსადენების ჩაჭრა და ახალი გზების დაგება მომხდარიყო. **რომ არა ივანიშვილი, ქვეყნის პირველი პირი, პრემიერად წოდებული ირაკლი ღარიბაშვილი, ერთ მშვენიერ დღეს არ დადგებოდა დამფრთხალი სახით ტელეკამერების წინ, გადადგომის შესახებ განცხადებას არ გააკეთებდა და არ დარჩებოდა ერთ დიდ გაუგებრობად, როგორც ქართულ პოლიტიკაში, ისე ცხოვრებაში.** ვინ იყო? რა უნდოდა? რატომ? რისთვის? — აი კითხვები, რომლებიც გაჩნდა და რომლებსაც არასდროს არავინ უპასუხებს, რადგან რეალურად არავინ იცის, რისთვის მოიყვანა ან წაიყვან ივანიშვილმა **ღარიბაშვილი**. შესაბამისად, **პრეზიდენტად საკუთარი კანდიდატურის წამოყენების შემთხვევაში, ივანიშვილს არ ექნება არანაირი მორალური უფლება, ამომრჩეველს შეხვდეს და ერთი დაპირება მაინც მისცეს, რადგან აქამდე გაცემული არც ერთი დაპირება არ შეუსრულებია.**

რას უნდა ველოდოთ მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში?! ცნობილი ფრანგი მწერალი **გი დე მოპასანი** ვერ იტანდა ეიფელის კოშკს, თუმცა კოშკში არსებულ რესტორანში ხშირად სადილობდა. როცა ჰკითხეს, ასე რატომ იქცევიო, უპასუხა, — ეს ერთადერთი ადგილია, საიდანაც კოშკი არ ჩანსო. ამბობენ, ივანიშვილს ძალიან უყვარს სოლოლაკში აგებული თავისი შუშის სასახლე. ამიტომ, პრეზიდენტობის შემთხვევაში, ბატონი ბიძინა გადაინაცვლებს პრეზიდენტის სასახლეში, საიდანაც იდეალურად ჩანს მისი შუშის სასახლე და საკუთარი სახლის ცქერით დატკბება. ის, რომ ივანიშვილი უფასო ფულს მოგვცემს, გადასახადებს გაანახევრებს და რომელიმე იმ დაპირებას შეასრულებს, რომელთა გამოც, 2012 წელს მოსახლეობის მხარდაჭერა მოიპოვა და ხელისუფლებაში მოვიდა, აბსურდია. არა, ბატონებო, ის მხოლოდ საკუთარი სურვილების ასასრულებლად გახდება პრეზიდენტი და საქართველოს ისტორიას შემორჩება, როგორც უკანასკნელი მოჰიკანი.

ამ ყველაფრის ფონზე, თითქოს მეათეხარისხოვანია ის საფრთხე, რომელიც რეალურად გვემუქრება. ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთის მიმართ სულ უფრო მეტ აგრესიას ავლენს. წინა ნომერშიც დავწერეთ, რომ ამერიკამ ოფიციალურად დაიწყო ვითარების შესწავლა რუსეთის იმ ხუთ მეზობელ ქვეყანაში, რომლებიც მის ვასალად ითვლება. აშშ-ს ოფიციალურად აინტერესებს, ომის შემთხვევაში, რამდენ ხანს ეყოფა საკვებისა და წყლის მარაგი უკრაინას, ბელარუსს, პოლონეთს, მოლდოვასა და ფინეთს. მართალია, ამერიკა საქართველოს პოტენციალით არ დაინტერესებულა, მაგრამ, როგორც ქართულმა, ისე ამერიკულმა მხარემ გასულ კვირას საზეიმოდ დაადასტურა, რომ 75 მილიონ დოლარად ნაყიდი „ჯაველინები“ უკვე საქართველოშია.

„ჯაველინების სისტემის შეძენის პირველი ეტაპი წარმატებით დასრულდა. საქართველოში „ჯაველინების“ სისტემა უსაფრთხო ადგილას არის განთავსებული“, — თქვა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა **ლევან იზორიამ** აშშ-ის ელჩთან შეხვედრის შემდეგ.

პარალელურად, თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველოში სამხედრო რეზერვის ახალი სისტემა ამოქმედდება:

„საქართველოში აქტიური რეზერვის სისტემა 2018 წლიდან ამოქმედდება, რომელიც, ჩვენი პროგნოზით, ქვეყნის სამხედრო ძალებს დამატებით 10-12-ათასიან სამხედრო დაჯგუფებას შეჰმატებს, თუმცა მისი შენახვა ყოველწლიურად 6-10-ჯერ უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე ანალოგიური პროფესიული კონტიგენტის. ახალი კონცეფციის გათვალისწინებით, სამხედრო ძალების რეზერვი სამ კატეგორიად იყოფა, რომელთა შორისაა: აქტიური რეზერვი, ეროვნული გვარდიის რეზერვი და ინდივიდუალური რეზერვი. აქტიურ რეზერვში შესვლის საშუალება მანდილოსნებსაც ექნებათ. სამხედრო სარეზერვო სამსახური აქტიურ ფაზაში გადავა. აქტიური რეზერვი გვეყოლება, რაც იმას ნიშნავს, რომ რეზერვისტები მთელი წლის მანძილზე პროფესიონალურ დონეზე იქნებიან აღრიცხული და გარკვეულ ხელფასსაც მიიღებენ. ისინი მაქსიმალურად იქნებიან თანხვედრაში შეიარაღებული ძალების შესაბამის ქვედანაყოფებთან და იმ ცხოვრების წესთან, რომელსაც ჩვენი მუდმივი სამხედრო მოსამსახურეები ეწევიან. ტერიტორიული პრინციპით შემდგარი სამხედრო რეზერვი და ასევე სპეციალისტთა რეზერვი გვეყოლება“, — განაცხადა იზორიამ.

**ეს ყველაფერი ძალიან, ძალიან საეჭვოდ ემთხვევა ერთმანეთს და საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ ამერიკის მილიტარისტულ სამზადისში საქართველო ერთ-ერთ მონაწილედ განიხილება. იმის მიუხედავად, რომ ერთხელ უკვე წავიტეხეთ ცხვირი და 2008 წელს, სააკაშვილის ავანტურის გამო, რჩეული ქართველები შევაკალით მტერს, გამოდის, ჭკუა ვერ ვისწავლეთ და მზად ვართ, იმავე ნაღმზე მეორედ ავფეთქდეთ. ის, რომ ამერიკისთვის სულერთია, რომელი ქვეყნის ჯარისკაცი შეეწირება რუსეთთან ბრძოლას, არაერთხელ დამტკიცებულა.** მეშვიდე წელია, სირიის კონფლიქტი გრძელდება და ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც იქ ადამიანები დღესაც იხოცებიან, არის ის, რომ ამერიკა სირიის კონფლიქტში მონაწილეობით რუსეთის დასუსტებას ფიქრობს, თუმცა რეგულარული არმია სირიაში არ ჰყავს და მხოლოდ ვერტმფრენებით ბომბავს პოზიციებს, ანუ თავისი ჯარისკაცების სიცოცხლეს უფრთხილდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა ქვეყნის ჯარისკაცებსაც უფრთხილდება. შტატები აქტიურად მოუწოდებს სხვა ქვეყნებს სამხედრო აქტიურობისკენ და დაღუპულებს შემდეგ გმირებად აცხადებს.

**ჭაბუა ამირეჯიბმა** გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მოუწოდა ქართველ ხალხს: **„ჭკუით, ქართველებო, ჭკუით!“**

**ბესო ბარბაქაძე**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ის სიკეთეები და ბოროტებანი, რომლებიც ობიექტურად თუ სუბიექტურად ვიგემეთ რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ, ისტორიის სასწორზე აწონ-დაწონა დიდმა ილიამ და, რადგან სიკეთემ გადაწონა ბოროტება, 1899 წელს დაწერა ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილი „ასის წლის წინათ", რომელიც რუსის ჯარის საქართველოში პირველად შემოსვლის იუბილეს მიუძღვნა. დიახ, იუბილეს, რადგან საქართველოს უგვირგვინო მეფე მხოლოდ დადებით კონტექსტში განიხილავს 100 წლის წინათ რუსის ჯარის შემოსვლას, საქართველო-რუსეთის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებსაც, რომელიც წინ უძღოდა გეორგიევსკის ტრაქტატს და უფრო მეტიც, ქება-დიდებითა და აშკარა მადლიერებით მოიხსენიებს ერთმორწმუნე რუსეთს.**

# იმპერია თუ ძლიერი მფარველი?

**ადამიანისადმი უმადურობა, საზოგადოდ, ცოდვაა, თუმცა, პიროვნული უმადურობის გარდა, არსებობს ისტორიული უმადურობაც და სწორედ ისტორიული უმადურობის გამოა ჩვენს თავს დამტყდარი ღვთის რისხვის დროსა და სივრცეში გაწელილი პროცესი, ანუ ის, რაც ბოლო 25-30 წლის განმავლობაში ხდება: დავკარგეთ ძირძველი ტერიტორიები; ისედაც კატასტროფულ დემოგრაფიულ ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ემიგრაციის შეუქცევადი პროცესი და პირიქით, უცხოტომელთა უკონტროლო მიგრაცია საქართველოში, რაც, ყველაზე „ოპტიმისტური" პროგნოზით, სულ რაღაც, 20-30 წელიწადში კატასტროფით დასრულდება — ქართველები საქართველოში ეროვნულ უმცირესობაში აღმოვჩნდებით.**

უარესი გველის უახლოეს მომავალში, თუ დროზე არ მოვეგეთ გონს და 180 გრადუსით არ შევცვალეთ საშინაო და საგარეო პოლიტიკის ვექტორები. სოროსის გრანტებით გონებადაბინდული თითო-ოროლა პროვოკატორის გარდა, დღეს ბრმისთვისაც ნათელია, რომ **ერეკლე მეორემ** გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერით უალტერნატივო არჩევანი გააკეთა, ამიტომაც უწოდა სტალინმა მის ამ ნაბიჯს არჩევანი ცუდსა და უარესს შორის, თუმცა, არ ვიცი, მართებულია თუ არა, ცუდი უწოდო ქართველი ერის ფიზიკური განადგურებისა და ზნეობრივი გადაგვარების საფრთხისგან გადარჩენას.

აღარაფერს ვიტყვი საქართველოს ეკონომიკურ გაძლიერებაზე — 1850 წელს, ანუ გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერიდან 68 წლის შემდეგ, **ნოვგოროდის „იარმარკაზე" ქართველმა ვაჭრებმა მილიონ რუსულ ოქროს მანეთზე მეტი (დღევანდელი კურსით რამდენი მილიარდი დოლარია, ამის კონვერტაცია რუსოფობმა „ზაპადნიკებმა" გააკეთონ) ეკვივალენტის საქონელი ჩაიტანეს.**

რა თქმა უნდა, ისიც ძალიან „ცუდი" ქნეს რუსებმა, რომ **მყისვე შეწყდა ლეკიანობა და ტყვეთა სყიდვის სამარცხვინო პროცესი,** რასაც ვერ ვიტყვით კერძო ბიზნესზე (თუ ასე თქმა შეიძლება), ქართველთა წვრილ-წვრილი ბანდები კიდევ დიდხანს იტაცებდნენ საკუთარ სისხლსა და ხორცს, რაც, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ „საზიზღარი" რუსების ბრალი იყო — სტამბოლის მონათა ბაზარი მე-19 საუკუნის 50-იან წლებამდე არსებობდა.

**მწერლობა?**

**რუსთაველის** შემდეგ (თუ არ ჩავთვლით **დავით გურამიშვილს,** თუმცა რატომ უნდა ჩავთვალოთ?! რუსეთის იმპერიაში რომ არ გადაეგდო ბედს, ვეჭვობ, ქაოსით მოცულ საქართველოში პოეზიისთვის მოეცალა), სპარსული პოეზიის მდარე თარგმანების გარდა, ხეირიანი არაფერი შექმნილა და სწორედ რუსეთის იმპერიაში აჭიხვინდა **ტატოს** მერანი, ხოლო მოგვიანებით 60-იანელების შემოქმედებამაც ამოხეთქა — **ილია, აკაკი, ვაჟა** და სხვ.

**პირველი ქართული გაზეთი, თეატრი, იტალიური ოპერა... წერა-კითხვა რომ ისწავლეს ქართველებმა? და მთავარი — თუ მე-19 საუკუნის დამდეგს საქართველოს მოსახლეობა, დიდი-დიდი, 700 ათასი იყო, საუკუნის დამლევს ამ რაოდენობამ რამდენჯერმე მოიმატა.**

ჩვენი რუსოფობი „ზაპადნიკების" ყურის გასახედნად კიდევ ბევრი „ბოროტების" ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც ზედმეტია, რადგან მათთან კამათი და წყლის ნაყვა, ერთი და იგივეა — მათ მხოლოდ რამდენიმე სტერეოტიპული „რკინის არგუმენტი" აქვთ ზემოთ თქმულის საპირწონედ: რუსებმა მეფობა გაგვიუქმეს, იმპერიის შემადგენლობაში ძალით შეგვიყვანეს და ა.შ., არადა, საკმარისია, თვალი გადაავლონ რუსეთის იმპერატორისთვის გაგზავნილ **გიორგი XIII-ის** წერილებს, რომ დარწმუნდნენ თავიანთი რუსოფობიული კლიშეების არადეკვატურობაში.

ისე არავინ გამიგოს, თითქოს რუსეთის იმპერიის იდეალიზებას ვცდილობ. თუ მაინც გამოჩნდებიან ასეთნი, თავის დასაცავად **ილია ჭავჭავაძეს** მოვუხმობ.

**ის სიკეთეები და ბოროტებანი, რომლებიც ობიექტურად თუ სუბიექტურად ვიგემეთ რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ, ისტორიის სასწორზე აწონ-დაწონა დიდმა ილიამ და, რადგან სიკეთემ გადაწონა ბოროტება, 1899 წელს დაწერა ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილი „ასის წლის წინათ", რომელიც რუსის ჯარის საქართველოში პირველად შემოსვლის იუბილეს მიუძღვნა. დიახ, იუბილეს, რადგან საქართველოს უგვირგვინო მეფე მხოლოდ დადებით კონტექსტში განიხილავს 100 წლის წინათ რუსის ჯარის შემოსვლას, საქართველო-რუსეთის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებსაც, რომელიც წინ უძღოდა გეორგიევსკის ტრაქტატს და უფრო მეტიც, ქება-დიდებითა და აშკარა მადლიერებით მოიხსენიებს ერთმორწმუნე რუსეთს!**

როდესაც ილიას ავტორიტეტს მოიშველიებ რუსოფობებთან კამათში, უკეთეს შემთხვევაში, „ჩვენი თავი, ჩვენადვე გვეყუდნეს", ეგეც ხომ ილიამ სთქვაო, თავიანთი მოკლე ჭკუით ნიშნს გიგებენ და უარესში იმასაც კი კადრულობენ, რომ რუსეთის დუმის დეპუტატ ილია ჭავჭავაძეს ეს წერილი „ოხრანკამ" დაუკვეთა და გვარიანი თანხაც გადაუხადესო...

ნუ, **„ოხრანკასთან" ილიას თანამშრომლობაზე რა უნდა ვუპასუხოთ ამ მართლა დასავლეთის „ოხრანკების" აგენტებს, იმის გარდა, რომ, უკეთეს შემთხვევაში, საფეთქელთან თითი დავიტრიალოთ, უარესში კი — ჯიშ-ჯილაგი ვაგინოთ?**

რაც შეეხება ლელთ ღუნიას მიერ ილიას ფიქრის გახმოვანებას, „ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს", 1861 პეტერბურგიდან დაბრუნებულმა, 24 წლის ანუ ჯერ კიდევ ყმაწვილკაცმა ილია ჭავჭავაძემ თქვა, ხოლო ის წერილი, რომლის გამოც „ოხრანკის" აგენტობას სწამებენ რუსოფობი თხები ილია მართალს, 62 წლის დაბრძენებულმა, უკვე საქართველოს უგვირგვინო მეფედ შერაცხილმა ილიამ დაწერა. აკაკიმაც „დამეხსენი ჩრდილოელო" (ლელთ ღუნიასთან ერთად ესეც ხელზე აქვთ დახვეული რუსოფობ თხებს), აგრეთვე, ყმაწვილკაცობაში შექმნა, ხოლო დაბრძენებულმა დაწერა პოემა „11 ენკენის თვე", რომელშიც საქართველოს ბულბული ერთმორწმუნე რუს ხალხთან მარადიულ მეგობრობას უგალობს...

ყმაწვილკაცობით მოუვიდა **გრიგოლ ორბელიანს**, რომ 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე გახდა, მაგრამ დაბრძენებული იმაზე ლოცულობდა — ღმერთმა არ ქნას, რუსებს საქართველოზე გული აუცრუვდეთ და აქედან წავიდნენ, აბა, მერე ნახეთ ლეკიანობა და საქართველოს გაგლეჯ-გამოგლეჯაო.

იმპერიების საერთო მახასიათებელია ის, რომ მეტროპოლია უმოწყალოდ ძარცვავს კოლონიებს და, შესაბამისად, იმპერატორი ერი ცხოვრობს ყველაზე უკეთესად. ასე იყო რომის, ბიზანტიისა და ბრიტანეთის იმპერიებში, რომლის ბიუჯეტის 60 % კოლონიების ხარჯზე ივსებოდა.

ამ მხრივ ერთადერთი რუსეთის იმპერია იყო უცნაურად გამორჩეული — კი არ ძარცვავდა თავის კოლონიებს, არამედ პირიქით — იქით აჭმევდა და ასმევდა. ყველაზე გაჭირვებული და უუფლებო კი რუსი ერი იყო. ეს რომ ასეა, იმ თაობათა წარმომადგენლები დამიდასტურებენ, რომლებსაც სსრკ-ში მოგვიწია ცხოვრება.

**ბელარუსის რესპუბლიკის გარდა, უკლებლივ ყველა მოკავშირე რესპუბლიკა დოტაციური იყო და, რა თქმა უნდა, რუსეთის ბიუჯეტის ხარჯზე. რუსეთის მიერ წარმოებული საერთო ეროვნული პროდუქტის ერთი მესამედი მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტში ირიცხებოდა და, საჭიროების შემთხვევაში, კიდევ ემატებოდა ისევ და ისევ რუსეთის ხარჯზე.**

დოტაციურობის რეკორდსმენები ბალტიისპირეთისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკები იყვნენ.

ამ შემთხვევაში საქართველო გვაინტერესებს და ვიტყვით: საქართველოში, 1990 წლის მონაცემებით, მთლიანი ეროვნული პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 12 ათასი დოლარის ეკვივალენტ თანხას აჭარბებდა. **„მჩაგვრელ" და „უზურპატორ" საბჭოთა კავშირში „ჩაგრული" და „დამონებული" საქართველო, ყველაზე კრიტიკული გათვლებითაც კი, 4-ჯერ მეტს მოიხმარდა, ვიდრე აწარმოებდა.**

ამიტომ იყო „უზურპირებული" საქართველოს სოფლად თუ ქალაქად მუდმივი დღესასწაული, მწვადებისა და ყანწების ტრიალი. ამის შემხედვარე რუსეთის „გლუბინკიდან" ჩამოსულ ტურისტებს, რომლებისთვისაც ქარხნების სასამქროებში მუხლჩაუხრელი გარჯა ლამის ცხოვრების წესი იყო, თავი, საბჭოეთში კი არა, სამოთხეში ეგონათ.

**ხელოვნება, კულტურა, კინო, თეატრი, მწერლობა?**

ერთს ვიტყვით მხოლოდ — კინოსტუდია „ქართული ფილმი" წელიწადში ორმოცამდე სრულმეტრაჟიან ფილმს იღებდა.

დღეს?

5-6 ფილმი და ისიც საეჭვო ხარისხის.

ჰოდა, დავდგეთ ახლა და **იეთიმ გურჯივით** „ვაი, რა დავკარგე" ვიმღეროთ...

იმდენი ვუძახეთ სსრკ-ს იმპერია, სანამ არ მოირყა და დაინგრა, ხოლო მათი უმრავლესობა, ვინც ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღაზე მოვიდა, უნიჭო კრეტინები ან დასავლეთის ნიჭიერი აგენტები აღმოჩნდნენ, რომლებიც გაიძახოდნენ, ოღონდ რუსეთის იმპერიას დავუსხლტეთ ხელიდან და ბალახს ვიკმარებთ საჭმელადო, ამის სანაცვლოდ, დღემდე იკვებებიან „სტრატეგიული პარტნიორების" ნასუფრალით. ასეა დღესაც — ხელისუფლებაში ისევ უნიჭოები ან ნიჭიერი მოღალატე „სოროსისტები" სხედან.

მიუხედავად ტოტალური ანტირუსული ისტერიკისა, ენ-დი-აი-ს კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში გამოკითხულთა 41 % თვლის, რომ რუსეთის არმია აშშ-ის არმიაზე ძლიერია; მომატებულია ევრაზიის კავშირის მომხრეთა რაოდენობა და, მიუხედავად ევროპასთან უვიზო რეჟიმის შემოღებისა, 12 %-ით იკლო ევროკავშირში გაერთიანების მომხრეთა რაოდენობამ.

**ენ-დი-აი-ს კვლევის შედეგებით დაზაფრული „რუსთავი 2" (წაიკითხე, სრულიად ლიბერასტული ძალები) ისეთ შოკში ჩავარდა, რომ მისმა ერთ-ერთმა წამყვანმა დაუფარავად შეურაცხყო მაყურებელი, — აბა, ამის შემდეგ ამათ რა უნდა ველაპარაკოო, ხოლო თენგიზ გოგოტიშვილმა სერიოზულად დაუწყო „შეცდომაში შეყვანილ" მაყურებელს აშშ-ის არმიის უპირატესობის მტკიცება. ამიტომ „შეცდომაში შეყვანილი" 41 %-ის გასაგონად ვიტყვი: ჯერ ერთი — რუსული იარაღის ძალა მსოფლიომ სირიაში იხილა, და მეორეც — რაც უნდა ბევრ მაღალტექნოლოგიურ თვითმფრინავსა თუ ტანკს აწარმოებდე, არმიის სიძლიერეს ტექნიკის რაოდენობა კი არა, ამ ტექნიკის მმართველი ჯარისკაცი, მისი მოტივაცია და საბრძოლო სულისკვეთება განსაზღვრავს.**

ამას წინათ აშშ-ის ყველაზე პრესტიჟული სამხედრო აკადემია ვესტ-პოინტის ორ კურსდამთავრებულ მფრინავს პირველი ერთნაირსქესიანი ქორწინება გაუფორმა სამხედრო ნაწილის კაპელანმა. აქვე უნდა ითქვას, რომ აშშ-ის არმიაში 80 ათასამდე ლგბტ-პედერასტი მსახურობს, რისი აღნიშვნაც „დაავიწყდა" თენგიზას... ჰოდა, ბრძოლის ველზე 80 ათასი პედერასტის „საბრძოლო ჟინი" აჯობებს თუ 80 ათასი „მუჟიკის", — მკითხველმა განსაჯოს.

როგორც ცნობილია, ქართული ჯარი ნატოს სტანდარტების მიხედვით იწვრთნება და, აქედან გამომდინარე, კითხვა ხელისუფლებას: **როდიდან აპირებთ ნატოს უახლესი, პედერასტული სტანდარტის დამკვიდრებას ქართულ ჯარში?**

**დავით მხეიძე**



**ენ-დი-აი-ს კვლევის შედეგებით დაზაფრული «რუსთავი 2» (წაიკითხე, სრულიად ლიბერასტული ძალები) ისეთ შოკში ჩავარდა, რომ მისმა ერთ-ერთმა წამყვანმა დაუფარავად შეურაცხყო მაყურებელი: — აბა, ამის შემდეგ ამათ რა უნდა ველაპარაკოო, ხოლო თენგიზ გოგოტიშვილმა «შეცდომაში შეყვანილ» მაყურებელს აშშ-ის არმიის უპირატესობის მტკიცება სერიოზულად დაუწყო**

**P.S. წელს, 24 ივლისს, გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებიდან 235 წელი სრულდება და საქართველოს იმჟამინდელივით ძლიერი მფარველი სჭირდება, რადგან ჩვენისთანა პატარა ქვეყნის ნებისმიერ ზესახელმწიფოსთან თანაბარუფლებრივი მოკავშირეობა ზღაპარია. ცნობისთვის: გეორგიევსკის ტრაქტატი მფარველობითი იყო და არა სამოკავშირეო...**

**ნარკორეალიზატორი, რომელსაც თითქმის ათასამდე აბი სუბოტექსი „ჩაუდეს“, უკვე ლამის მთელი წელიწადია, ყველა ტელევიზიაში თოქშოუების ყველაზე სასურველ სტუმრად და საინფორმაციოს სიუჟეტების გმირად არის გამოცხადებული. მეტიც, ამ ადამიანის „დასაცავად“ აქცია და მიტინგიც კი გაიმართა იქ, სადაც ამ 30 წლის წინათ „მამული! ენა! სარწმუნოება!“ იყო მომიტინგეთა უმთავრესი მოთხოვნა.**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვესტერნიზაციის ნამდვილი სახე

## ვაშა ამ ახალ საქართველოს! ვაშა ბარიგებს!

**ის, რაც საქართველოს ყველაზე უახლეს ისტორიაში რამდენიმე დღის წინათ მოხდა, ალბათ, მართლა სარეკორდოა იმ მოვლენებს შორის, რომლებსაც ვერასგზით წარმოიდგენდა ამ 30 წლის წინათ რუსთაველზე ერთ მუშტად შეკრული ქართველობა. მაშინ ვინმესთვის რომ გეთქვა: გაივლის კიდევ 30 წელიწადი და ზუსტად ამავე ადგილზე ქართველები ნარკობარიგების დასაცავად შეიკრიბებიანო, გიჟად თუ არა, მოგზავნილად, „კა-გე-ბე“-ს პროვოკატორად და ანტიქართველად შეგრაცხავდნენ.**

გვინდა თუ არა ამის დაჯერება, ფაქტია: „საქართველოს ევროპულ კურსს“, უამრავ სხვა სიმახინჯესთან ერთად, უკვე ნარკორეალიზატორების მიმართ თანაგრძნობა და მხურვალე მხარდაჭერაც მოჰყვა. ვიცი, ბევრი იტყვის, ეს ხომ რეალური „ევროპული კურსი“ არ არის, მავანნი ამით ბოროტად სარგებლობენ და თავიანთ ინტერესებს „ევროპულ კურსად“ ასაღებენო. კარგი, თუნდაც ეგრე იყოს, მერე? სად არის და ვინ არის ამ ქვეყანაში ისეთი, ვინც რეალურად აგვიხსნის, რა არის „ევროპული კურსი“ და, მით უმეტეს, ისეთი, ვინც დაიცავს ამ „ევროპულ კურსს“ მავანთა მიერ ბოროტად გამოყენებისგან?

გვიპასუხებენ: დრო სჭირდება და დალაგდება თავისთავად, საზოგადოება გაერკვევა, რაც არის „ევროპული კურსი“ სინამდვილეში და ხალხი გაითავისებს, რომ ეს სულაც არ არის გაუკუღმართებული სექსუალური მიდრეკილებების, მსუბუქი ყოფა-ქცევის ქალებისა და ნარკორეალიზატორების უფლებების დაცვაზე ორიენტირებული საზოგადოება, არამედ ეს, პირველ რიგში, შრომის ადამიანური პირობების შექმნაზე, ღირსეულ სახელფასო და საპენსიო ანაზღაურებაზე, ცხოვრების ჯანსაღ წესზე აქცენტირებული საზოგადოებააო.

მაგრამ სრული სერიოზულობით ვსვამ კითხვას: სანამ ამ ყოველივეს „დრო მოიტანს“, ჩვენს შვილებსა და უკვე შვილიშვილებსაც, ანუ არა მხოლოდ მომავალ ერთ თაობას, არამედ თაობების მთელ წყებას ხომ სწორედ ის ესმის, იმას ხედავს და იმას ითავისებს, რაზეც თქვენ ამბობთ, ეს არ არის რეალური ევროპული საზოგადოებაო. მაშ, რა ვქნათ?

**მაშ, საიდან აითვისებენ და გაიგებენ მომავალი თაობები, როგორია რეალური ევროპული საზოგადოება?**

მაშ, ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც ევროპულ საზოგადოებად ნარკობარიგების დაცვას გვიხატავენ? ვინც ქალის თავაშვებულ ქცევას ქალის თავისუფლებად გვაწვდის, ხოლო მამაკაცის გაუკუღმართებას — მის პირად უფლებად?

ვინ არიან ეს ადამიანები და საიდან აღზევდნენ? დიახ, სწორედ აღზევდნენ, რადგან ისინი არა იატაკქვეშეთიდან ცდილობენ თავიანთი მახინჯი მსოფლმხედველობის გავრცელებასა და ჩვენთვის თავსმოხვევას, არამედ მათ ეთმობათ ყველა ტელევიზიის ეთერი თუ სხვა ტიპის მედიასაშუალება. **ამასთანავე, ამ ტელევიზიების ჟურნალისტებსა და თოქშოუს წამყვანებს აშკარად ეტყობათ, რომ თანაუგრძნობენ ამ მახინჯ მსოფლმხედველობას და ტელევიზიები, შეიძლება ითქვას, პირდაპირ ეწევიან ბოზობის, პედერასტიისა და ნარკორეალიზატორობის პროპაგანდას.**

და ეს მაშინ, როდესაც ამ ქვეყანაში, ლამის თვე არ გავა, შახტში მუშა არ ჩაიჩეხოს ან მშენებლობიდან ვინმე არ გადმოვარდეს, ან რაიმე ტიპის შრომის უსაფრთხოების უგულებელყოფას მსხვერპლი არ მოჰყვეს. ასეთ თემებზე ტელევიზიები ორიოდე პატარა სიუჟეტს თუ გააკეთებენ მხოლოდ და მორჩა. სამაგიეროდ, **ნარკორეალიზატორი, რომელსაც თითქმის ათასამდე აბი სუბოტექსი „ჩაუდეს“, უკვე ლამის მთელი წელიწადია, ყველა ტელევიზიაში თოქშოუების ყველაზე სასურველ სტუმრად და საინფორმაციოს სიუჟეტების გმირად არის გამოცხადებული. მეტიც, ამ ადამიანის „დასაცავად“ აქცია და მიტინგიც კი გაიმართა იქ, სადაც ამ 30 წლის წინათ „მამული! ენა! სარწმუნოება!“ იყო მომიტინგეთა უმთავრესი მოთხოვნა.**

რატომ ვავლებთ პარალელებს? სწორედ იმიტომ, რომ, თუკი, ვთქვათ, ადამიანს ქოხს დაუნგრევ, მის ადგილას, სასახლე თუ არა, სახლი მაინც უნდა აუშენო და არა რაღაც ხუხულა. საქართველო, სადაც ახალგაზრდობა ძალუმად მოითხოვდა „მამულის, ენის, სარწმუნოების“ რუსი აგრესორებისგან დაცვას და ქართული ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით შექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, დღეს სახლია თუ ხუხულა (სასახლეზე აღარ არის საუბარი)?

**მამული** — განადგურებული, ტერიტორიები — შემოძარცვული, ფორმალურადაც კი ველარ ვრცელდება ქართული იურისდიქცია ჩვენი ტერიტორიის ლამის ერთ მესამედზე.

**ენა** — საჯარო წარწერებშიც და ზეპირ მეტყველებაშიც გაბატონებული უცხოური.

**სარწმუნოება** — ყველაზე მიღებული დღეს სწორედ საპატრიარქოს, ეკლესიის, მართლმადიდებლური სარწმუნოების ლანძღვა, დაცინვა, აბუჩად აგდება და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გინებაა.

მაშ, რაღა დარჩა? დამოუკიდებლობა და თავისუფლება? უკაცრავად, მაგრამ **თუკი ენა, მამული და სარწმუნოება აღარ გვაქვს, რა „დამოუკიდებლობა“ და „თავისუფლებაა“ ეს?!**







რას ჰქვია ქვეყნის დამოუკიდებლობა და თავისუფლება? რით განისაზღვრება ის? — სწორედ მაგ სამი უმთავრესი ცნებით. თორემ ილია ჭავჭავაძეს ეგ სამი ცნება შემთხვევით კი არ ჩამოუთვლია. რატომ „მჭადი, ყველი, საცივი“ არ თქვა? სწორედ ენა, მამული და სარწმუნოება განსაზღვრავს ქვეყნის დამოუკიდებლობასაც, თავისუფლებასაც და სახელმწიფოებრიობასაც.

ჰოდა, ავიღოთ და შევადაროთ: **როდის იყო ქართული ენა უფრო დაცული — საბჭოთა პერიოდში თუ ახლა? როდის უფრო ვრცელ ტერიოტორიას აკონტროლებდა, თუნდაც ფორმალურად, თბილისი — საბჭოთა პერიოდში თუ ახლა? როდის უფრო იყო ხელშეუხებელი სარწმუნოება — საბჭოთა პერიოდში თუ ახლა?**

გინდა, იფიქრეთ, რომ საბჭოეთს მივტირი; გინდა, იფიქრეთ, რომ ვსლუკუნებ და ვბღავი, ოღონდ, უბრალოდ, მიპასუხეთ იმ კითხვებზე, რომლებიც დავსვი.

თუმცა ფორმულა: „ნუ იქნება ოღონდ რუსი“ ჯერ კიდევ სწორედ საბჭოთა პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი და დღემდე ასეა. **მთავარია, რუსმა არ „დაგვიპყროს“ და სხვამ, ვინც გინდა, იმან. მთავარია, რუსმა არ დაგვამციროს და სხვას თუნდაც სულაც მონად დავუდგებით. როგორც ჩანს, ვიღაცას ზედმიწევნით კარგად აქვს შესწავლილი ქართველი კაცის რომანტიკულ-დაუმორჩილებელი ბუნება და მთავარია, მას ჩააგონოს, რომ რამეს უკრძალავენ და პლუს ამას კიდევ რამე „რომანტიკული საბურველით“ დაანახვოს, რომ მორჩა — ქართველი საზოგადოება იმ წამს იწყებს „აკრძალულის“ გაპროტესტებასა და „რომანტიკულის“ მიღებასა და შეყვარებას.**

80-იანი წლების ანეკდოტია: ქუთაისში ჭიჭიკიას უთხრეს, — გეიგე, ბიჯო, თურმე გორბაჩოვს დამშრალი მდინარის კალაპოტში თავით გადახტომა აუკრძალავსო.

— ეუფ! ვინ ჰკითხავს, ბიჯო, გორბაჩოვს, მე რას ვიზამ?! — უყვირია ჭიჭიკიას და წამში გადაშვებულა თავით ყველაზე მაღალი ხიდიდან დამშრალი მდინარის კალაპოტიდან ამოშვერილ ლოდებში.

აი, დაახლოებით ასე დაგვემართა ჩვენც. საბჭოთა კავშირიდან **„თავით გადმოვეშვით“ იმის გამო, რომ თურმე იქ ვიღაც ჩვენს „ენას, მამულსა და სარწმუნოებას“ შეურაცხყოფდა თუ სათანადოდ არ უფრთხილდებოდა...**

კი, ბატონო! არავინ ამბობს, რომ რუსი არ არის დამპყრობელი და ოკუპანტი ან თავის რუსულზე უფრო შენს ქართულს უფრთხილდება, მაგრამ კიდევ ერთხელ გთხოვთ, მიპასუხოთ: **რას ხედავთ თანამედროვე რეალობაში — როდის, რომელ პირობებში უფრო ვახერხებდით ჩვენ, ქართველები, ჩვენის — ქართულის მოვლას, პატრონობას, შენახვასა და შენარჩუნებას?**

სხვათა შორის, ახლა მასხრად აგდებული ლოზუნგი — „ქართველობას გვართმევენ!“ — სწორედ საბჭოთა ან კიდევ უფრო ადრეული, რუსული „ცარისტული“ იმპერიის დროინდელია და მაშინ სწორედ ამ ლოზუნგით გამოდიოდნენ პატრიოტი ქართველები, „ცარისტების“ შემდეგ კი — კომუნისტების წინააღმდეგ.

რატომღაც მაშინ არავის უფიქრია, ეს ლოზუნგი — „ქართველობას გვართმევენ, ქართველებო!“ — მასხრად აეგდო, გაეუფასურებინა და გაეფარჩაკებინა, როგორც ახლა ხდება.

წეღან რომანტიზმი ვახსენე და, ჩვენ **ერთადერთი ქვეყანა ვართ მსოფლიოში, რომელმაც რომანტიკული საბურველით შებურა ჯერ ტერორისტები და ტერორიზმი და შემდეგ კი — ნარკომანები და ნარკობარიგები.**

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში სამოქალაქო, მშვიდობიანი მგზავრებით სავსე თვითმფრინავის გამტაცებლები რომანტიკულ პიროვნებებად გამოაცხადეს და, სხვათა შორის, ეს თემაც გამოიყენეს საბჭოეთისთვის ძირის გამოსათხრელად. ჩვენ **მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა ვართ, სადაც ტერორისტებს რომანებს, პიესებსა და სპექტაკლებს უძღვნიან!**

**ახლა კი აგერ, ნარკობარიგებს ვუძღვნით ტელეგადაცემებს, თოქშოუებს, აქციებს, მიტინგებს, ლექსებს, სიმღერებს და ლამისაა, ეროვნულ გმირებად გამოვაცხადოთ ისინი.**

მინდა, ხაზი გავუსვა: შეგნებულად არაფერს ვამბობ იმაზე, ლიბერალური ნარკოპოლიტიკა უნდა იყოს ქვეყანაში თუ პირიქით — მკაცრი და ხისტი. ეს სხვა საკითხია და ამაზე სპეციალისტებმა დიდხანს და ფრთხილად უნდა იმსჯელონ. მაგრამ **ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, ის, რასაც დღეს ქართული ტელევიზიები, ქართული მედია, ქართველი „ცნობადი სახეები“ აკეთებენ, რბილად რომ ვთქვათ, დანაშაულია!**

საბოლოოდ ნარკოპოლიტიკა ლიბერალური იქნება, რბილი, ფაფუკი თუ ქათქათა, ნარკომანების და განსაკუთრებით ნარკობარიგების რომანტიკულ, „კაიტიპებად“ წარმოჩენა მაინც ნაძირალობაა.

როგორც გინდათ, გამიგეთ და მაშინ, როდესაც რუსები „ქართველობას გვართმევდნენ“, მსგავს რამეს საქართველოში ვერავინ გაბედავდა. დღეს კი ასე „გაევროპელებულებმა“ ჯერ ხომ „ვარდების რევოლუცია“ მოვაწყვეთ და ახლა უკვე ნარკორევოლუციის ზღვარზე ვართ...

და ვისაც მაინც გგონიათ, რომ მე საბჭოთა კავშირს მივტირი, მივქვითინებ ან მივზლუქუნებ და ამ სტატიიდან სხვა აზრი ვერ გამოიტანეთ, ისევ და ისევ საბჭოთადროინდელი „ლოზუნგური“ ლექსის პერიფრაზით მოგმართავთ:

**რევოლუციურს! ჯერ არნახულს! ჯერ არ გაგონილს!**

**რუსის უღლისგან თავისუფალს!**

**ამერიკული ჯაველინებით შეიარაღებულს!**

**მამკაცებთან მეომარ ქალებს!**

**დედაენის არმცოდნე ბავშვებს!**

**უცხოეთზე მეოცნებე ახალგაზრდებს!**

**პედერასტების დროშიან სპორტსმენებს!**

**სიკვდილის ნატვრით მცხოვრებ მოხუცებს!**

**გაზულუქებულ უტვინო სახელმწიფო მოხელეებს!**

**ბნელი ფულით ნაყიდ ჟურნალისტებს!**

**სამშობლოს გამყიდველ „ენჯეოშნიკებს“!**

**ფეხებზე დაკიდებულ ნამდვილ პროფესიონალებს!**

**მოღალატეებად გამოცხადებულ პატრიოტებს!**

და მაინც, რაც მთავარია,

რუსის უღლისგან თავისუფალს,

ვაშა ამ ახალ საქართველოს! ვაშა ბარიგებს!

უახლესი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„კარი გატეხილი იყო, ეზოში მკვდარი დარაჯი ეგდო, თავი ლომით ჰქონდა გაჩეჩქვილი. შენობაში რომ შევედით, ბუღალტერიის არქივი ღია დაგვხვდა, გამოტანილი იყო აკინძული დოკუმენტები, რომლებსაც ცეცხლი ჰქონდა მოკიდებული, მაგრამ ბოლომდე დამწვარი არ იყო, რადგან სქლად აკინძული ქაღალდები ადვილად არ იწვის... იქვე ეგდო მკვდარი მილიციელიც. ბუღალტერიის არქივი გატეხილი არ იყო, შიფრი ჰქონდათ აკრეფილი და ისე იყო კარი გახსნილი. მაშინვე მივხვდით, რომ კარი მთავარი ბუღალტრის, ქალდანის, მიერ იყო გახსნილი“.**

## ვახტანგ გვარამია:

# დატაცებული იყო 35 მილიონი მანეთის სახელმწიფო ქონება, «გოსსნაბის» საქმეზე 200-მდე ადამიანი დააპატიმრეს

**გენერალ-მაიორი ვახტანგ გვარამია ლაზიშვილების გახმაურებული საქმის შემდეგ 1970-იანი წლების კიდევ ერთ დიდ დანაშაულზე გვესაუბრება. ეს არის „გოსსნაბის“ საქმე, რომლის გამოძიების დასრულების შემდეგ 200-მდე ადამიანი დააპატიმრეს, ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე კი ბევრი თანამდებობის პირი სამსახურიდან გაუშვეს. ეს საქმე, რომელიც ბატონმა ვახტანგმა გახსნა, მის კარიერაში „ოქროს ასოებით“ ჩაიწერა:**

— ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი საქმე იყო „გოსსნაბის“ საქმე, უფრო დიდი, ვიდრე „ლაზიშვილების საქმე“. ერთ ეპიზოდს მოგიყვებით და ამით მის მასშტაბებსა და დანაშაულის სიმძიმეს მიხვდებით. ე.წ. გოსსნაბის ანუ საქართველოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის გახმაურებული საქმის მასშტაბი გაცილებით დიდი იყო, ვიდრე სხვა ნებისმიერი დანაშაულებრივი საქმის. დატაცებული იყო 35 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სახელმწიფო ქონება. გამოძიების დასრულების შემდეგ 200-მდე ადამიანი დააპატიმრეს.

„გოსსნაბის“ საქმეში რამდენიმე ეპიზოდი მკვლელობასთან იყო დაკავშირებული. ერთ-ერთს მოგიყვებით.

„გოსსნაბი“ ორგანიზაციებთან უკანონო ე.წ. უსაქონლო ოპერაციებს აფორმებდა ასეთი სქემით: „გოსსნაბის“ მთავარი მომარაგება-გასაღების სამმართველომ ვითომ რომელიღაც ორგანიზაციას მიაწოდა საქონელი და ირიცხებოდა თანხები. სინამდვილეში საქონელი მიწოდებული არ იყო, აფორმებდნენ ფორმალურად, მაგრამ ორგანიზაციებიდან მაინც ირიცხებოდა საქონლის მთლიანი ღირებულება, რომლის ნაწილსაც დანაშაულში მონაწილე პირებს უნაწილებდნენ.

ყრუ-მუნჯების ნომერ პირველ სასწავლო-საწარმოო წამოწყებაში ბუღალტრად მუშაობდა ვინმე **ქალდანი**, რომელსაც შეუთანხმდნენ ორგანიზაციაში მოკალათებული პირები და გადმოარიცხვინეს, ვითომ მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ, 150 ათასი მანეთი. როდესაც საგამოძიებო სამუშაოები დავიწყეთ, მხოლოდ 1000 მანეთის გადმორიცხვა ვნახეთ. ეს დიდი თანხა არ იყო, მაგრამ გამომძიებელმა ყრუ-მუნჯთა სასწავლო-საწარმოო წამოწყების ბუღალტერია მაინც დალუქა.



ჩვენ იმ მომენტში წარმოდგენა არ გვქონდა, რამხელა დანაშაულს ვხსნიდით. იმხანად თბილისის საგამოძიებო სამსახურის უფროსი ვიყავი. ღამის საათებია და სამორიგეოდან მირეკავენ, მეკითხებიან: „თქვენ დაალუქვინეთ ყრუ-მუნჯთა ნომერ პირველი სასწავლო-საწარმოო წამოწყება?“ ვუპასუხე, რომ მე დავალუქვინე. თან ვკითხე, — რა მოხდა-მეთქი. მითხრეს, რომ მკვლელობა მოხდა, მოკლულია მილიციელი და დარაჯი. მაშინვე წავედით. საშინელი სანახაობა დაგვხვდა: კარი გატეხილი იყო, ეზოში მკვდარი დარაჯი ეგდო, თავი ლომით ჰქონდა გაჩეჩქვილი. შენობაში რომ შევედით, ბუღალტერიის არქივი ღია დაგვხვდა, გამოტანილი იყო აკინძული დოკუმენტები, რომლებსაც ცეცხლი ჰქონდა მოკიდებული, მაგრამ ბოლომდე დამწვარი არ იყო, რადგან სქლად აკინძული ქაღალდები ადვილად არ იწვის... იქვე ეგდო მკვდარი მილიციელიც. ბუღალტერიის არქივი გატეხილი არ იყო, შიფრი ჰქონდათ აკრეფილი და ისე იყო კარი გახსნილი. მაშინვე მივხვდით, რომ კარი იმის გახსნილი იყო, ვინც შიფრი იცოდა. არადა, შიფრი იცოდა ათ ადამიანზე მეტმა.

აქ ლირიკულ გადახვევას გავაკეთებ. ზუსტად მინდა, გავიხსენო დეტალები. შემთხვევის ადგილზე სამინისტროს თანამშრომელი, საკმაოდ დიდი თანამდებობის პირი მოვიდა და განაცხადა, მეძებარი ძაღლი მოეყვანათ. მოიყვანეს კარგი ძაღლი და კინოლოგი. ძაღლმა დაყნოსა ნახელურები და გაიქცა. დავედევნეთ ყველანი — კინოლოგი, გამომძიებელი, სამმართველოს უფროსის მოადგილე, მეც გავრბოდი... ძაღლმა ორთაჭალჰესამდე ირბინა, იმხანად გვირაბი გახსნილი არ იყო, ძაღლმა ქვემოთ ჩაირბინა, ჩვენც გავყევით, ცუდი გზა იყო, ძნელად გასავლელი, მაგრამ მაინც მივდევდით, არაქათი აღარ გვქონდა, უცებ ძაღლი გვირაბის მეორე მხარეს გავიდა და მოშარდა.

**საქმე იმავე დღეს გავხსენით, აღმოჩნდა, რომ დამნაშავე იმ მიმართულებით არ წასულა, სადაც ჩვენ ვეძებდით. ქალდანი შენობის წინა მხარეს გაქცეულა, პატარა სკვერი ჰქონდა გადაკვეთილი, დანაშაულის იარაღი, ლომი, იქვე ვიპოვეთ.**

ძიების შედეგად გაირკვა, რომ **ბუღალტერი ქალდანი უკანა მხრიდან შესულა შენობაში. არქივი რომ გახსნა და დოკუმენტების მოსპობას შეუდგა, დარაჯს ხმაური შემოესმა და ზევით ავიდა, მილიციელიც აჰყვა. დაბნეულ და შეშინებულ ქალდანს ჯერ მილიციელი მოუკ-**

▶

## რუსლან გვარაძე:

# ლიდერს რომ ხედავდეს, ხალხი ქუჩაში დღესაც გამოვა

**რუბრიკის სტუმარია დედაქალაქის მკვიდრი, ყოფილი მფრინავი რუსლან გვარაძე, რომელიც ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე გვესაუბრება:**

— კეთილი საქმის კეთება დაავიწყდა ხალხს, რასაც აკეთებენ — ანგარებით. ამ ხნის კაცი ვარ, რამდენი ხელისუფლება გამოვიცვალე, მაგრამ არასდროს გამჩენია სურვილი, რომელიმე პარტიის წევრი გავმხდარიყავი. **ადამიანები, რომლებიც იყვნენ ერთ ხელისუფლებაში და ერთი კონკრეტული პარტიის წევრები, გაიხედავ და, სხვა ხელისუფლებაში და სხვა პარტიის ლიდერებად გევლინებიან.** ეს „ნარჩენები“, არ მინდა, სხვა უფრო ცუდი სიტყვა გამოვიყენო, აქ იქნებიან თუ იქ, ნარჩენი ნარჩენია და მეტი არაფერი... ეს „ნარჩენები“ არ აძლევენ გასაქანს წესიერ ადამიანებს, აკეთონ კარგი საქმე, ისე გაზულუქდნენ, ფულის გარდა, არაფერი აინტერესებთ.

**ქართველებმა გამოვიარეთ შევარდნაძის პერიოდი, სააკაშვილის, ივანიშვილის პერიოდსაც მოვესწარით, მაგრამ სცენარი არ იცვლება. ეს ერთი და იმავე იდეოლოგიის ხალხია, უბრალოდ, მეთოდებს ცვლიან, სახეები და იდეოლოგია ერთია აქვთ.**

კომუნისტების პერიოდი სხვა იყო. ის სისტემა ადამიანზე, მის სოციალურ კომფორტზე იყო აწყობილი, კომუნისტები ზრუნავდნენ ხალხზე, ეს იყო მათი უპირველესი ვალდებულება. „პერესტროიკამ“ გააფუჭა ყველა, რატომღაც გადაწყვიტეს, რომ, სადაც ფეხი ედგათ, ყველაფერი მათ ეკუთვნოდათ, მათ შორის, თანამდებობებიც და სკამებიც. დღეს ეს უკვე დამახინჯებული ფორმით იგრძნობა.

კომუნისტების პერიოდში ადამიანების დახმარებას კანონი ითვალისწინებდა. ჩემს ამბავს მოგიყვებით; **მფრინავი ვიყავი, 1987 წელს ომალოს მთებში ვერტმფრენი ავარიულად დაეშვა, ეკიპაჟის წევრები გადავრჩით, მაგრამ დიდი ფსიქოლოგიური ტრავმა მივიღეთ. პატაკი დავწერე და სამსახური დავტოვე. ხელფასი კარგი მქონდა, მაგრამ ფრენა აღარ შემეძლო და ამიტომ იძულებული შევიქენი, წამოვსულიყავი. მომცეს ინვალიდის სტატუსი და თითქმის ხელფასის ოდენობის პენსია დამენიშნა და, რაც უნდა მომხდარიყო, ამ პენსიას კაპიკი არ მოაკლდებოდა,** მეტიც: ხელფასების მომატების



შემთხვევაში, პენსიაც იმატებდა, ხოლო გარდაცვალების შემდეგ პენსია ოჯახს რჩებოდა. ერთი სიტყვით, ჩემი პენსიით ოჯახის რჩენა შემეძლო, მქონდა სანატორიუმში უფასოდ დასვენების საშუალებაც. ეს დიდხანს გაგრძელდა — სააკაშვილის მოსვლამდე. მიშამ ავიაცია საერთოდ გააუქმა და მისი სამართალმემკვიდრე ეკონომიკის სამინისტრო გახდა. პენსია შემიწყდა, ვითომ უსახსრობის გამო, არადა, საფრენი აპარატი ჰერში რომ გაიფრენს, ქვეყანაში დიდძალი ფული შემოდის, მაგრამ ქართველი მფრინავებისთვის კაპიკიც ვერ გაიმეტეს. დღეს სულ 17 ადამიანი ვართ დარჩენილი და აქამდე ვერ მივაღწიეთ სამართალს. ივანიშვილმა თავისი პრემიერობისას გადაწყვიტა ჩვენი პრობლემის მოგვარება, დაავალა კიდეც შესაბამის სტრუქტურებს, მაგრამ ეკონომიკის სამინისტროდან ჩვენი საქმე ჯანდაცვის სამინისტროს გადასცეს და, მგონი, უარესი სურათი მივიღეთ — ისეთი აი ჩემი შვილებისთვის ალიმენტი მეზობელს რომ ვახდევინო. დეტალურად რომ მოგიყვეთ ყველაფერი, რა პროცესები მიმდინარეობს, შეიძლება გაგიჟდეთ. მთავარი ის არის, რომ ჩემი 9-სულიანი ოჯახი თითქმის მშიერი დამრჩა, ოჯახის არც ერთი წევრი არ მუშაობს, მეუღლე ინვალიდი მყავს, საცხოვრებელი ფართობიც მცირეა — ველარ ვეტევით.

**— რის იმედით იბრძვით უკეთესობისთვის, ოჯახის კეთილდღეობისთვის?**

— თავშივე გითხარით, რომ არც ერთ ხელისუფლებას შორის განსხვავება არ არის, ყველა ერთი იდეოლოგისაა-მეთქი, ამიტომ იმედიც ნელ-ნელა კვდება...

თემას გადავუხვევ და გეტყვით, რომ სულ სხვა იყო **ზვიად გამსახურდია**. ხალხმა გადააგდო კომუნისტური რეჟიმი და ეროვნული ხელისუფლება მოიყვანა. ახლა კი ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ამერიკიდან რას გვიბრძანებენ. ამ ქვეყანაში ვირთხას რა გამოლევს და, მოგეხსენებათ, სადაც ვირთხა ჩნდება, ყველაფერი ნადგურდება...

**— ჯერ კიდევ წინა საპრეზიდენტო არჩევნების წინ ცნობილმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ განაცხადა, რომ საქართველოს არ აქვს მაღალი თანამდებობის უსაქმურის შენახვის ფუფუნება და შესთავაზა ხელისუფლებას, პრეზიდენტის აქტიური მოღვაწეობის სფერო გამხდარიყო აფხაზურ და ოსურ მხარეებთან, რუსეთის ფედერაციასთან, ჩრდილოეთკავკასიის რესპუბლიკებთან ურთიერთობა, ანუ პრეზიდენტად აგვერჩია ის, ვისაც ჰქონდა კავშირები, შესაბამისი ავტორიტეტი ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მკვდარი წერტილიდან დასაძრავად და ვინც დადებდა პირობას, რომ 1-2 წელიწადში ამ მიმართულებით ვითარებას შეცვლიდა. იზიარებთ ამ თვალსაზრისს?**

— წინა პრეზიდენტებზე არ ვისაუბრებ, მგონი, ჩემი აზრი გასაგებია. მინდა, მოქმედ პრეზიდენტზე ვილაპარაკო. ეს ის კაცია, რომლის ჯერ კიდევ განათლების მინისტრობისას, ყველამ იცოდა, რომ არაფრის გამკეთებელი არ იყო. ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხზე, ბიბლიოთეკების საქმეზე, მივწერეთ წერილი და ყურიც არ შეუბერტყავს. კინაღამ გავგიჟდი, პრეზიდენტად რომ აგვარჩევინეს. მარგველაშვილს ქვეყნის საქმეები არ აინტერესებს. ასე რომ, ასეთი პრეზიდენტის შენახვის ფუფუნება ამ ქვეყანას ნამდვილად არ აქვს. **რაც შეეხება აფხაზეთთან, ოსეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან ურთიერთობას, ეს ჩვენი ქვეყნისთვის, როგორც წყალი და ჰაერი, ისეა საჭირო. ამ საკითხების მოგვარებაზე სწორედ პირველმა პირებმა უნდა იზრუნონ.**

**— ვინ შეძლებს ამას, გეგულებათ ასეთი ადამიანი საქართველოში?**

— ისე როგორ ამოვწყდებოდით, რომ ამ ქვეყანას პატრიოტები აღარ ჰყავდეს?! საქმის მცოდნე და ქვეყნის მოსიყვარულე ადამიანი ბევრი მეგულება. კომუნისტებზე ვსაუბრობდი, ხალხმა ისინი მოიშორა იმიტომ, რომ **სტალინის** შემდეგ ქვეყნის ლპობა დაიწყო. მაშინდელმა ვირთხებმა, რომლებიც, სხვათა შორის, დღესაც შემორჩნენ, ქვეყნის დასაშლელად ყველაფერი გააკე-

▶

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნებისმიერ ქვეყანაში ხდება ნარკოტიკის ჩადებაც და პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებაც; მათ შორის, იმ ქვეყნებშიც, რომლებიც ჩვენთვის „ეტალონია“. მაგრამ ის, რაც ხდება ჩვენს ტელევიზიებში, როგორც თავშივე გითხარით, მიმართულია საზოგადოების დემორალიზაციისკენ, ასევე სახელმწიფოსიც. ეს არის საინფორმაციო ომი, რომლის საწარმოებლად მთელი ინფრასტრუქტურაა შექმნილი. არასამთავრობოები წარმოუდგენლად გაძლიერდნენ ჩვენს ქვეყანაში.**

**◀ლავს, დარაჯმა გასროლა ვერ შეძლო და ბუღალტერმა ისიც ლომით მოკლა. ქალდანს ეგონა, რომ ჩვენ გადმორიცხულ 150 ათას მანეთს მივაგენით, არადა, მხოლოდ 1000 მანეთი ვიპოვეთ.**

ქალდანს დახვრეტის მუხლი ჰქონდა წაყენებული, მაგრამ სატუსაღოში თავი ჩამოიხრჩო. როდესაც მოსამართლე **ფხალაძემ** დახვრეტის განაჩენი გამოუტანა, განაჩენის გაცნობამდე თავი ჩამოიხრჩო, რადგან სასამართლო პროსეცზე ის ხულიგნური საქციელის გამო, დარბაზიდან გააძევეს, განაჩენი დაუსწრებლად გამოიტანეს.

„გოსსნაბის“ დანაშაულებრივი ჯგუფი მოდებული იყო მრავალ ადგილას: ზესტაფონში, ფოთში, ქუთაისში, ავლანეთის საზღვარზე იყო გაგზავნილი საქონელი.

როდესაც საქართველოში ორგანიზაციებისთვის უსაქონლო ოპერაციას მოამზადებდნენ, უხარისხო საქონელს გზავნიდნენ რუსეთის შორეულ ადგილებში, მაგრამ საბუთებით გაგზავნილად აჩვენებდნენ უნიკალურ საქონელს: ხელოვნური აბრეშუმის ვისკოზის ნართებს, სინთეზურ ძვირფას ძაფებს. რეალურად კი აღნიშნული ძვირფასი საქონელი რჩებოდა აქ, იმ საწარმოებში, რომლებიც ე.წ. მარცხენა პროდუქციას უშვებდნენ. „გოსსნაბს“ იმხანად ყველაფერი ჰქონდა, ყველაფრის მოძიება შეიძლებოდა. ამ დანაშაულებრივ ოპერაციებში ჩართული აღმოჩნდა რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანა.

ჩემ მიერ გამოძიებულ საქმეებში სკანდალური იყო „საქქურქბეწვის“ საქმეც. ისეთი ძვირფასი ქურქები მზადდებოდა, გადაირეოდით. იარლიყს უცვლიდნენ და უპრობლემოდ ყიდდნენ დიდი რაოდენობით. ბრწყინვალე სპეციალისტი იყო **ზაურ ჩადუნელი**, საწარმოს ხელმძღვანელობდა **ანდღულაძე**, ამ საწარმოს პროდუქცია მთელ საბჭოთა კავშირში იყიდებოდა და დატაცებული თანხის ოდენობაც აურაცხელი იყო.

მაგრამ ყველაზე დიდი საქმეები, რომლებიც პირადად გავხსენი, მაინც ლაზიშვილებისა და „გოსსნაბის“ იყო. „გოსსნაბის“ საქმე ცკ-ის ბიურომ განიხილა და სისტემის ხელმძღვანელები სამსახურიდან გაუშვეს.

კრიმინალური და სამეურნეო დანაშაულები თითქმის შეერწყა ერთმანეთს და ჩვენ ამის შედეგი საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1990-იან წლებში, ვიწვნიეთ, როდესაც რესპუბლიკა მთლიანად გაიძარცვა. ამ ადამიანებს ეროვნული სულისკვეთება არ ჰქონდათ. გაიხსენეთ **ჯაბა იოსელიანი** და მისი დანაშაულებრივი ჯგუფები. წარმოუდგენელია იმის დავიწყება, რაც მათ ქვეყანაში, განსაკუთრებით — სამეგრელოში, ჩაიდინეს, როგორ წვავდნენ, ძარცვავდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

◀თეს და ახლაც იმავეს აკეთებენ, **ჯუმბერ პატიაშვილი** კი არაჩვეულებრივად გაუძღვებოდა ამ საქმეს. ქვეყანა, რომელსაც ასეთი ადამიანი ჰყავს, პოლიტიკური კრიზისის წინაშე არ უნდა იდგეს. თქვენ მეკითხებით: მეგულება თუ არა ადამიანი, რომელიც საქმეს გააკეთებს და მეზობლებთან ურთიერთობას მოაგვარებს? დიახ, ასეთი ადამიანები არიან და ღმერთმა არც მოგვიშალოს; პატიაშვილთან ერთად, **ალექსანდრე ჭაჭიასაც** დავასახელებ. გასაქანი თქვი, თორემ 1-2 წელიწადში მართლაც შეიძლება, პრობლემის, მოგვარება თუ არა, დარეგულირება მაინც.

**რუსეთის პრეზიდენტი მხოლოდ პირველ პირებს თუ შეხვდება, რადგან პროტოკოლია, თორემ ბევრია ისეთი ქართველი, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას მოაგვარებს და დაკარგული ტერიტორიების აღსადგენად მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამს.**

„ქართულმა ოცნებამ“ სისტემა ვერ შეცვალა, არ უნდათ, ალბათ, თორემ ერთი ჭკვიანი კაცის ჩასმა უწყებებში პრობლემებს მოაგვარებდა. გასაკვირია პირდაპირ: ნუთუ საქმის მცოდნე ადამიანების მოძებნა ასე ძნელია?! ალბათ, არ უნდათ, ალბათ, ბიძინასაც თითს უქნევენ...

**— ენ-დი-აი-ს ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი აშკარად უკმაყოფილოა ქვეყნის განვითარების იმ გზის, რომელსაც ჩვენი ხელისუფლებები ადგანან...**

— საქართველოს გარდა, ვერ იპოვით ქვეყანას, რომელსაც კონსტიტუციაში ეწეროს, რა გზით უნდა იაროს და რომელი ალიანსის წევრი გახდეს. არ მესმის კიდევ სიტყვები — პრორუსული და პოამერიკული. **პროეკონომიკაგანვითარებულები რომ ვიყოთ, არ ჯობია? ეკონომიკის განვითარება უპირველესია. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა კი მხოლოდ მაშინ წავა წინ, თუ რუსეთის ბაზარზე დავბრუნდებით.** ამერიკა გვაძლევს ფულს და თან დავალებას — რაში დავხარჯოთ. თუ ამერიკას დახმარება უნდა, იმის უფლებაც მომცეს, რაც მჭირდება, ის გავაკეთო.

მდიდარი ქვეყანა ვართ, მაგრამ მოსახლეობის ნახევარზე მეტი უსაქმურია, განა უმუშევარი — უსაქმური!

**— როგორ ფიქრობთ, გამოვა ხალხი ქუჩაში?**

— ლიდერს რომ ხედავდეს, ხალხი ქუჩაში დღესაც გამოვა, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ჩემ გარშემო ადამიანებს ნერვიულობისგან გული უსკდებათ; რაიმე ფორმით პროტესტის გამოხატვამდე ინფარქტით კვდებიან; ბევრი ცდილობს, სასმელში ჩაახრჩოს თავისი უკმაყოფილება, ზოგს ნევროზი აქვს და არაფერი აინტერესებს და ა.შ. მართალია, საზოგადოებას ყველაფერი ყელში ამოუვიდა, მაგრამ არ ჩანს წინამძღოლი, რომელსაც გაჰყვებიან. ისიც დიდი უბედურებაა, რომ, ვისაც პირველობა უნდა და ვაცობას იჩემებს, ხშირად ხალხის თვალში უარყოფითი პიროვნებაა. სამწუხაროდ, პოლიტიკოსებს ავიწყდებათ, რომ ხალხი ბრძენია და მას დიდი მეხსიერება აქვს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

## სოსო მანჯავიძე:

# ნაციონალური სახელმწიფოები უნდა განადგურდეს — ამ მიზანს ემსახურება ყველაფერი, რაც ახლა ჩვენს ქვეყანაში ხდება

**ბოლო რამდენიმე თვეა, საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები პოლიციას უტევენ. ახალ წლამდე რამდენიმე კვირით ადრე ხალხი ალაპარაკდა ვინმე პოეტ ზვიად რატიანის დაკავებაზე, რომელიც პოლიციამ ხულიგნობისთვის (ნასვამ მდგომარეობაში) დააკავა და რომლის გათავისუფლების მოთხოვნით ე.წ. ხელოვანები ქუჩაში გამოვიდნენ. დღეს ეს ე.წ. ხელოვანები ვინმე მსახიობ გიორგი გიორგანაშვილის („ბახალა“) გასათავისუფლებლად აწყობენ აქციებს. ცოტა ხნის წინათ კი გავრცელდა კადრები, რომლებზეც ნათლად ჩანს, რომ მეტროპოლიტენის სადგურში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის პოლიციელების მიერ ადამიანის დაკავებას მოჰყვა ხალხის მცირე ნაწილის აგრესია სამართალდამცველების მიმართ.**

**რატომ ცდილობენ პოლიციის დისკრედიტაციას? ვინ და რატომ ებრძვის პოლიციას? — ამ და სხვა საინტერესო თემებზე თბილისის საკრებულოს ყოფილი წევრი სოსო მანჯავიძე გვესაუბრება.**



— პოლიციელებზე თავდასხმა, მათ მიმართ აგრესიის გამოვლენა, სამწუხაროდ, ტენდენციად იქცა. ეს ტენდენცია ემსახურება იმას, რომ ჩამოიშალოს სახელმწიფო. და ამას ახორციელებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამისთვის ფინანსდებიან.

ნაციონალური სახელმწიფოები უნდა განადგურდეს — ამ მიზანს ემსახურება ყველაფერი, რაც ახლა ჩვენს ქვეყანაში ხდება. არასამთავრობოებს სამიზნეში ჰყავთ ამოღებული პოლიცია, რადგან ეს სამართლებრივი სტრუქტურა სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი კომპონენტია. არასამთავრობოებს ნებადართული აქვთ, იმოქმედონ სიტუაციის მიხედვით: ხან ჩუმად და შეპარვით, ხანაც — აშკარად და დაუფარავად. დღეს ბრძოლა დაუფარავად მიმდინარეობს, არ იმალებიან და ინილბებიან, აძლევენ ინტერვიუებს, აწყობენ საპროტესტო აქციებს და ა.შ.

საქართველო დაუცველია. **უნდა გვესმოდეს, რომ ნატოს, ევროკავშირის, ამერიკის გავლენა დიდია და სიფრთხილე გვმართებს. მოდის დირექტივები და, თუ ფრთხილად არ ვიქნებით, ნაკლები შანსია, სახელმწიფოებრიობა შევინარჩუნოთ თუნდაც იმ ფორმით, როგორიც ახლა გვაქვს.**

**— სააკაშვილს უწონებდნენ პოლიციის სისტემის რეფორმას. რა ხდება დღეს? რატომ ებრძვიან პოლიციას ის ადამიანები, რომლებიც თავის დროზე იწონებდნენ სისტემის რეფორმას?**

— სააკაშვილი, პოლიციის რეფორმასთან ერთად, ყველა დაკვეთას ასრულებდა, პოლიცია სახელმწიფოს წინააღმდეგ ჰყავდა მიმართული, ამიტომ მოსწონდათ მისი პოლიცია. დღეს მიშას პოლიტიკა აქტიურად აღარ მუშაობს და ამიტომ ებრძვიან პოლიციას, აღარ მოსწონთ. პოლიცია უძლიერესი ინსტრუმენტია სახელმწიფოს ხელში და, თუ ამ ინსტრუმენტს არ იყენებ ისე, როგორც საჭიროა, ანუ როგორც მიშა იყენებდა, ბუნებრივია, არ მოეწონებათ.

**ნებისმიერ ქვეყანაში ხდება ნარკოტიკის ჩადებაც და პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებაც; მათ შორის, იმ ქვეყნებშიც, რომლებიც ჩვენთვის „ეტალონია“. მაგრამ ის, რაც ხდება ჩვენს ტელევიზიებში, როგორც თავშივე გითხარით, მიმართულია საზოგადოების დემორალიზაციისკენ, ასევე სახელმწიფოსიც. ეს არის საინფორმაციო ომი, რომლის საწარმოებლად მთელი ინფრასტრუქტურაა შექმნილი. არასამთავრობოები წარმოუდგენლად გაძლიერდნენ ჩვენს ქვეყანაში.**

**— მხოლოდ არასამთავრობოები არ გამოდიან პოლიციის წინააღმდეგ, საპროტესტო აქციაზე მსახიობები, მწერლები, პოეტებიც დგანან...**

— რომელი მწერლები გამოდიან აქციებზე — **ბუღაძე** და **ტურაშვილი?** მათ არ ვთვლი მწერლებად. დამნაშავის დასაცავად გამოსულ მწერლებს, პოეტებსა და მსახიობებს მე არ არ ვცნობ მწერლებად, პოეტებად და მსახიობებად. საერთოდ, რატომ უნდა ჰქონდეთ მათ სახელმწიფოს საქმეებში ასე აშკარად ჩარევის, ლიბერალური ღირებულებებით სახელმწიფოს განადგურების სურვილი? ამ ადამიანების მოქალაქეობრივი პოზიცია მიუღებელია. ვერ გავიზიარებ იმ ადამიანების აზრს, რომლებიც სააკაშვილს ხოტბას ასხამდნენ.

**მიშასდროინდელ და დღევანდელ პოლიციას შორის დიდი განსხვავებაა, ადამიანები თითქმის არ შეცვლილან, მაგრამ პოლიტიკა შეიცვალა. მიშას სურვილი იყო, რაც შეიძლება ბევრი ადამიანი დაეჭირათ და ამისთვის ნებისმიერ მეთოდს იყენებდნენ.**

ამ ხელისუფლების უდიდესი შეცდომა არის ის, რომ ბევრი დამნაშავე არ დაიჭირეს, **ტერორისტული ორგანიზაციის მსგავსი სტრუქტურები, როგორებიც იყო კუდ-ი, სოდ-ი და ა.შ., ისევ სისტემაში დატოვეს; მეტიც, ადამიანები, რომლებიც სასტიკ დანაშაულებს სჩადიოდნენ, თითქმის ყველანი, პოლიტიკურ ლიდერებად მოგვევლინენ და ახლა პოლიციისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძვიან, მათ ამ ქვეყნის ჩამოშლა სურთ.**

ამ ხელისუფლებამ პირადი კეთილდღეობის მოწყობის საშუალება მისცა დამნაშავეებს, ზოგიერთი მათგანი თვითონ შეიერთა და ხელშეუხებლობის გარანტია მისცა, რაც ამ ხელისუფლების დიდი დანაშაულია. ამან ადამიანებში შიზოფრენია და დაპირისპირება გამოიწვია.

იმის ნაცვლად, რომ 25 წლის წინათ დაწყებული გაუგებრობა ამოგვეწურა, მწყობრი სისტემური ხედვა შეგვემუშავებინა და შეეთავაზებინათ საზოგადოებისთვის, **„ქართულმა ოცნებამ“ აბსურდის თეატრად აქცია ქვეყანა.**

საზოგადოება ისეა დათრგუნვილი, რომ აქცენტი ეპოზოდებზე გადააქვს და მასშტაბურ პრობლემაზე აღარ ფიქრობს... მხოლოდ ილანძღებიან, რასაც არასდროს არც ერთ ქვეყანაში შედეგი არ მოუტანია.

**— ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციას თუ ემხრობით?**

— მომხრე ვარ ჭკვიანური ნარკოპოლიტიკის შემუშავების. ნებისმიერი ნაბიჯი გათვლილი უნდა იყოს შედეგზე. ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია უდიდესი საფრთხეების შემცველია, შეიძლება აფეთქებაც კი გამოიწვიოს.

ისეთ ქვეყანაშიც კი, როგორიც არის ჰოლანდია, სადაც ყველაზე ლიბერალური ნარკოპოლიტიკაა, ხალხი შეწუხებულია, იქაური სამართალდამცავები, საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები შეშფოთებულები არიან ნარკოპოლიტიკის შედეგებით და აღარ იციან, რით გამოასწორონ. ჰოლანდია ნარკოტრანზიტის ქვეყნად გადაიქცა. სადაც ნარკოტიკია, იქ სისხლისღვრაც არის, წილების გადანაწილებაც, მოკლედ, პროცესები უმართავია. გაუთვითცნობიერებელი და ანგაჟირებული ადამიანები ამ პროცესს არ უნდა გაეკარონ.

**«ტერორისტული ორგანიზაციის მსგავსი სტრუქტურები, როგორებიც იყო კუდ-ი, სოდ-ი და ა.შ., ისევ სისტემაში დატოვეს; მეტიც, ადამიანები, რომლებიც სასტიკ დანაშაულებს სჩადიოდნენ, თითქმის ყველანი, პოლიტიკურ ლიდერებად მოგვევლინენ და ახლა პოლიციისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძვიან, მათ ამ ქვეყნის ჩამოშლა სურთ»**

არ შეიძლება, ხელისუფლება ბრმად მიჰყვებოდეს არასამთავრობოების მიერ გაჭრილ კალაპოტს. ყველამ იცის, რომ ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის იდეას „გირჩი“ ლობირებს, ამ ორგანიზაციაში „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრები არიან თავმოყრილნი, ლიბერტარიანელები არიან, რაც პირდაპირ კავშირშია სატანიზმთან. რასაც „გირჩი“ ითხოვს, აბსურდისა და მავნებლობის საოცარი ნაზავია. ისინი გლობალური ძალების აგენტები არიან. მათ სურთ ნაციონალური სახელმწიფოების განადგურება და ამას არც მალავენ. სამწუხაროა, რომ ყველა ქართულ ტელევიზიაში მათი იდეების ტირაჟირება ხდება.

ასე რომ, პოლიციამ უნდა იმუშავოს, ლიბერალებთან დათმობაზე არ უნდა წავიდნენ, თავისი არ უნდა გაატანინონ, კანონები უნდა გაამკაცრონ და დანაშაულის წინააღმდეგ მთელი სიმკაცრით იმოქმედონ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მთავარია იმის გააზრება, რომ პოლიტიკოსებს უდიდესი წვლილი მიუძღვით იმაში, რომ საზოგადოება ასეთ მდგომარეობამდე მივიდა. სამოქალაქო ომი თითქოს დასრულდა, მაგრამ სამოქალაქო ომის მატრიცა დარჩა. სამოქალაქო ომი, როგორც ფსიქოლოგიური მდგომარეობა, არ დაიძლია და პოლიტიკურმა ელიტამ ეს სათავისოდ გამოიყენა. ის, რომ რუსთაველის გამზირზე ჭურვები არ სკდება, არსებითად არაფერს ცვლის.**

# სიძულვილის «საპრეზიდენტო ინდუსტრია»

**გასულ კვირას პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ედუარდ შევარდნაძის დაბადების დღესთან დაკავშირებით „ფეისბუქში" პოსტი გამოაქვეყნა, რომელმაც აზრთა სხვაობა გამოიწვია. ამ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ეპიზოდს საინტერესო პრობლემის განხილვამდე მივყავართ — საქართველოს ნებისმიერი ხელმძღვანელი საზოგადოებაში განხეთქილებისა და დაპირისპირების ახალ „ფრონტებს" აჩენს. ჩვენ ამას მივეჩვიეთ და უკიდურეს ფრაგმენტაციას ლამის ბუნებრივ მდგომარეობად აღვიქვამთ.**

კვირიკაშვილმა შემდეგი რამ დაწერა: „დღეს ქართველ პოლიტიკოსსა და სახელმწიფო მოღვაწეს, ედუარდ შევარდნაძეს, 90 წელი შეუსრულდებოდა. მისი პოლიტიკური მოღვაწეობა სირთულეებით აღსავსე ეპოქას უკავშირდება. ედუარდ შევარდნაძემ გადადგა ის ნაბიჯები, რომლებითაც საქართველოს რეალური დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების შესაძლებლობები გაუჩნდა". შემდეგ პრემიერმა ჩამოთვალა ედუარდ შევარდნაძის მიღწევები (საქართველოს გაწევრება საერთაშორისო ორგანიზაციებში, სატრანზიტო პროექტებში ჩართვა და ა.შ.) და დასძინა: „შევარდნაძე იყო მნიშვნელოვანი წარმომადგენელი მე-20 საუკუნის მსოფლიო პოლიტიკოსთა იმ თაობისა, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა „ცივი ომის" დასრულების, ბერლინის კედლის დანგრევისა და ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების საქმეში. მისი სახელი მსოფლიოს დიდ პოლიტიკოსთა შორის დარჩება".

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც პრემიერმა ედუარდ შევარდნაძის როლზე საჯარო განცხადება გააკეთა. გასული წლის ნოემბერში მან უკმაყოფილება გამოთქვა, როდესაც ბერლინის კედლის დაცემისადმი მიძღვნილ გამოფენაზე შევარდნაძის ფოტო ვერ აღმოაჩინა: „ძალიან მაკვირვებს, რომ ედუარდ შევარდნაძის სურათი ვერ მოხვდა ამ გამოფენაზე, ვინაიდან საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მაშინდელი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის როლი ამ მსოფლიო მოვლენაში მნიშვნელოვანი იყო. ეს აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რადგან ისტორია არის ისტორია". ყოფილი პრეზიდენტის ოჯახმა მაშინ კვირიკაშვილს ამ განცხადებისთვის მადლობა გადაუხადა. თუმცა იმ ეპიზოდს განსაკუთრებული ვნებათაღელვა არ გამოუწვევია. ბოლო განცხადება უფრო რეზონანსული გამოდგა.

მას მწვავედ აკრიტიკებდნენ კვირიკაშვილის „ფეისბუქ"-გვერდზეც კი და, სხვა შემთხვევებისგან განსხვავებით, მხარდამჭერები პრემიერს აქტიურად არ იცავდნენ. დაახლოებით იგივე ხდებოდა სხვა, გაცილებით აგრესიულ ონლაინდისკუსიებში. მიუხედავად იმისა, რომ ედუარდ შევარდნაძის გადადგომიდან 14 წელიწადზე მეტი გავიდა, ხოლო გარდაცვალებიდან 3 წელიწადზე მეტი, ნათლად გამოჩნდა, რომ დაპირისპირება ამ ფიგურის გარშემო კვლავინდებურად აქტუალურია. მსგავსი, ხშირ შემთხვევაში, მასობრივ ისტერიაში გარდამავალი განხილვები საქართველოს ყველა პრეზიდენტთან დაკავშირებით იმართება და ამ დროს კარგად ჩანს, რომ პოლიტიკური დისკუსია საქართველოში არსებითად ფსიქიატრიის სახელმძღვანელოს ეკრანიზაციაა.

ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, სავარაუდოდ, ისაა, რომ ზვიად გამსახურდიასა და მიხეილ სააკაშვილის მმართველობის წლებში ადგილი ჰქონდა ძველი ელიტის ჩანაცვლების მცდელობას. გამსახურდიას, მარტივად რომ ვთქვათ, არ დასცალდა. სააკაშვილმა „წითელი ელიტის" ჩანაცვლება ნუგზარ წიკლაურისა და მეგის ქარდავას მსგავსი ხალხით დააპირა და ზედა ფენებში ისეთი მასშტაბის როტაცია დაგეგმა, რომლის მსგავსი მხოლოდ ბოლშევიკებმა თუ განახორციელეს. საზოგადოების დიდი ნაწილი შეძრწუნდა, მეტიც, სასიკვდილო საფრთხე იგრძნო და ახალბედა დიქტატორს მალევე დაუპირისპირდა.

**ამ კონტექსტში შევარდნაძის ფიგურა უნდა განვიხილოთ, როგორც ძველი ელიტის ინტერესების დაცვის სიმბოლო, რომელიც კონტრელიტას აკავებდა. გიორგი კვირიკაშვილის ხაზგასმული პატივისცემა შევარდნაძის მიმართ, თითქოს შეახსენებს საზოგადოების ზედა ფენას, რომ ივანიშვილის ხელისუფლება ანალოგიურ როლს ასრულებს და ძველ ელიტას მხარდაჭერის სანაცვლოდ იცავს. ამ პოლიტიკის საკვანძო ცნება ყბადაღებული „სტაბილურობაა".**

სოციალური პირამიდის ამოყირავების მცდელობები და მისი დაცვა უშუალოდ აისახა უამრავი ადამიანისა და ოჯახის ბედზე. ბევრმა მათგანმა თითქოს გააკეთა ფსონი კაზინოში, როდესაც საკუთარი მომავალი ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის გამარჯვებას დაუკავშირა და მათ უმრავლესობას დაახლოებით იგივე გრძნობები დაეუფლა, რაც მოთამაშეს, რომელმაც ყველაფერი წააგო. ეს ხელს უწყობს მძიმე ემოციური ფონის შექმნას უახლეს ისტორიაზე საუბრის დროს.

როდესაც ედუარდ შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა, საზოგადოება უკვე გახლეჩილი დახვდა. რამდენად მიუძღვის მას წვლილი დაპირისპირების გაღვივებაში, ცალკე საუბრის თემაა. აქ მთავარია სხვა რამ: სააკაშვილს უკეთესი სასტარტო პირობები ჰქონდა. საზოგადოება ზოგადეროვნულ კონსენსუსთან გაცილებით ახლოს იდგა, ვიდრე 90-იანების დასაწყისში — სერიოზული დაპირისპირება არ არსებობდა მანამ, სანამ მისი გაღვივება თავად სააკაშვილმა არ დაიწყო და გამყოფი ხაზები გაავლო არა მხოლოდ სხვადასხვა შეხედულების მქონე, არამედ (მაგალითად) სხვადასხვა ასაკის ადამიანებს შორის.


Giorgi Kvirikashvili
January 25 at 2:55pm ·

დღეს ქართველ პოლიტიკოსსა და სახელმწიფო მოღვაწეს ედუარდ შევარდნაძეს 90 წელი შეუსრულდებოდა. მისი პოლიტიკური მოღვაწეობა სირთულეებით აღსავსე ეპოქას უკავშირდება. ედუარდ შევარდნაძემ გადადგა ის ნაბიჯები, რომლებითაც საქართველოს რეალური დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების შესაძლებლობები გაუჩნდა.
ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს საქართველო გახდა ევროპის საბჭოს წევრი; მის სახელს უკავშირდება საქართველოს გაწევრიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში; უმნიშვნელოვანესი პროექტები - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-სუფსა, ბაქო-თბილისი-ერზერუმი; სტამბულის ეუთოს 1999 წლის სამიტი - ისტორიული შეთანხმება რუსული სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის

**საზოგადოებაში განხეთქილების შეტანა საქართველოში ხელისუფლების შენარჩუნების ერთ-ერთ მთავარ ტექნოლოგიად ჩამოყალიბდა. ძირითად პრინციპებზე შეთანხმებული და განსხვავებული პოლიტიკური სიმპათიების მიუხედავად, ერთიანი საზოგადოება მთავრობის მიმართ გაცილებით მომთხოვნი გახდება, ამიტომ (დღევანდელი თუ ძველი) მმართველი პარტია ხელმძღვანელობს იდეით «გათიშე და იბატონე» და გულუბრყვილობა იქნება, მოვთხოვოთ, რომ პატიოსნად მოიქცეს — მას ეს არც ხელს აძლევს და არც ძალუძს**

**საზოგადოებაში განხეთქილების შეტანა საქართველოში ხელისუფლების შენარჩუნების ერთ-ერთ მთავარ ტექნოლოგიად ჩამოყალიბდა. ძირითად პრინციპებზე შეთანხმებული და განსხვავებული პოლიტიკური სიმპათიების მიუხედავად, ერთიანი საზოგადოება მთავრობის მიმართ გაცილებით მომთხოვნი გახდება. ამიტომ (დღევანდელი თუ ძველი) მმართველი პარტია ხელმძღვანელობს იდეით „გათიშე და იბატონე" და გულუბრყვილობა იქნება, მოვთხოვოთ, რომ პატიოსნად მოიქცეს — მას ეს არც ხელს აძლევს და არც ძალუძს.**

„ქართული ოცნების" 2012 წლის საარჩევნო პროგრამის პირველივე პუნქტში ეწერა, რომ ის „დაასრულებს ავტორიტარულ მმართველობას და პოლიტიკურ მესიანიზმს საქართველოში, რისთვისაც განავითარებს ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ ინსტიტუტებს, დაძლევს სამოქალაქო დაპირისპირების მემკვიდრეობას და განამტკიცებს ეროვნულ თანხმობას". რა მივიღეთ ხუთი წლის შემდეგ? ავტორიტარიზმი დარჩა, მესიანიზმიც დარჩა. მართალია, ერთმაც და მეორემაც გარკვეული სახეცვლილება განიცადა, მაგრამ არსებითი მნიშვნელობა ამას არ აქვს. რაც შეეხება ეროვნული თანხმობის განმტკიცებას, ქვეყანა ლამის „ცივი სამოქალაქო ომის" რეჟიმში ცხოვრობს.

ეს ძალიან საინტერესო ფენომენია: ერთი მხრივ, „ქართული ოცნების" ლიდერები მშვენივრად თანამშრომლობენ „ნაციონალურ მოძრაობასთან" და „ევროპულ საქართველოსთან" და აკეთებენ იმას, რამაც მათი მხარდამჭერების დიდ ნაწილს სიტყვა „კოაბიტაცია" შეაძულა. მეორე მხრივ, ისინი ხელს უწყობენ ძველი და ახალი ხელისუფლების რიგით მხარდამჭერებს შორის დაპირისპირების გაღრმავებას, ხოლო არჩევნებზე სააკაშვილის რევანშის საფრთხობელას იყენებენ. ქართულ სოცქსელებსა და მასმედიაში არ არსებობს უფრო მახინჯი და მანკიერი მოვლენა, ვიდრე ე.წ. ნაცებისა და „ქოცების" დაპირისპირებაა, რომელიც პოლიტიკის, და მასში საზოგადოების მონაწილეობის, სრულ პროფანაციას ახდენს.

**თუმცა ბოლო დროს ეს დაპირისპირება ფრიად მოსაბეზრებელი გახდა. ამომრჩეველთა დიდი ნაწილი ალტერნატივას, რომ იტყვიან, „მესამე გზას" ეძებს, რასაც სოციოლოგიური გამოკითხვები ადასტურებს. როდესაც ცხადი შეიქმნა, რომ „ნაც-ქოცური" დაპირისპირების მოდელი კარგად აღარ მუშაობს, წინა პლანზე ისევ გამოვიდა (თუ გამოიყვანეს?) ლიბერალებისა და კონსერვატორების კონფლიქტი. ამ ნიადაგზე საქართველოში, დიდი ხანია, სიძულვილის ნამდვილი ინდუსტრია შეიქმნა, რომელსაც ასეულობით ადამიანისთვის სერიოზული შემოსავალი მოაქვს.**

როგორც კი, საზოგადოება ყურადღებას აქცევს გაზრდილ ფასებს ან ადამიანის უფლებების მდგომარეობას, მყისიერად ხდება შესაბამისი თემების შემოგდება. საზოგადოება ეკონომიკის ნანგრევებს ყურადღებას არ აქცევს და (მაგალითად) ერთნაირსქესიანთა ქორწინების ნიუანსებზე მსჯელობს. ხანდახან იქმნება შთაბეჭდილება, რომ მას საერთოდ არ აინტერესებს მოყვასთა გაჭირვება ან მომაკვდავი ქვეყნის ბედი, არამედ მხოლოდ ანალურ სექსთან დაკავშირებული პრობლემატიკა. ამ თემაზე საუბრისას ათასობით ადამიანი ერთმანეთს ლანძღავს და წყევლის. ფსიქოლოგები ადასტურებენ, რომ სოციალურ ქსელებში „დაბადებული" აშლილობების რაოდენობამ მკვეთრად მოიმატა.

შეიძლება დიდხანს ვისაუბროთ იმაზე, რომ ეს სიძულვილი საყოველთაო ფრუსტრაციისა და სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსის შედეგია, თუმცა მთავარი პოლიტიკის კონტექსტში ისაა, რომ სიძულვილი „წვავს" იმ ენერგიას, რომელიც, იდეაში, ქვეყნის განვითარებას, ცხოვრების გაუმჯობესებას უნდა მოხმარდეს. კონსერვატორები და ლიბერალები, „ბიძინისტები" და „მიშისტები", „ზვიადისტები" და „შევარდნაძისტები", „შავები" და „წითლები"... მეტსაც გეტყვით, ამას წინად, 14 წლის მოზარდს, „ბარსელონას" ფანს, ძლივს გამოჰგლიჯეს ხელიდან კლასელი, რომელიც მადრიდის „რეალს" გულშემატკივრობდა — კლავდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

16 იანვარს „პალიტრანიუსის" ეთერში პრეზიდენტმა მარგველაშვილმა თქვა: „ჩვენ მოგვწონს აგრესია. ამას ძალიან ბევრ ადგილას ნახავთ. შეგვიძლია დავაკვირდეთ, თუ რამდენად აგრესიულები არიან ადამიანები სოციალურ ქსელებში. პრობლემა არის ის, რომ ადამიანები არა პოლიტიკური მიზეზით, არამედ გულწრფელად აგრესიულები არიან". ზოგი დაეთანხმება მარგველაშვილს, ზოგიც იკითხავს: „აქამდე რას მიკეთებდი?" თუმცა, ალბათ, მთავარია იმის გააზრება, რომ პოლიტიკოსებს უდიდესი წვლილი მიუძღვით იმაში, რომ საზოგადოება ასეთ მდგომარეობამდე მივიდა. სამოქალაქო ომი თითქოს დასრულდა, მაგრამ სამოქალაქო ომის მატრიცა დარჩა. სამოქალაქო ომი, როგორც ფსიქოლოგიური მდგომარეობა, არ დაიძლია და პოლიტიკურმა ელიტამ ეს სათავისოდ გამოიყენა. ის, რომ რუსთაველის გამზირზე ჭურვები არ სკდება, არსებითად არაფერს ცვლის.

**ლუკა ნემსაძე**

„სავარაუდოდ, და რაშიც მე პირადად ღრმად ვარ დარწმუნებული, ეს აქციები მიზნად ისახავდა პროკურატურის ხელში ჩაგდებას „კახური კლანის“ წარმომადგენლების მიერ. ასევე, ეს ეხება სასჯელაღსრულების სამინისტროს, იმიტომ, რომ ჩვენ კარგად ვიცით, სასჯელაღსრულების სამინისტროს რომ ვერ აკონტროლებდნენ თამაზაშვილი და ჯანყარაშვილი“...



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფარული ჩანაწერები — ღია ხვრელები უცხოური სპეცსამსახურებისთვის

**გასულ კვირას სამართალდამცავებმა „ქართული ოცნების“ ყოფილი აქტივისტი გოგიტა დალაქიშვილი დააკავეს. მისი ახლობლები არ გამორიცხავენ, რომ ხელისუფლება მას პოლიტიკური ნიშნით უპირისპირდება.**

25 იანვარს შსს-მ შემდეგი განცხადება გაავრცელა: „ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევის ბრალდებით, 1973 წელს დაბადებული გ. დ. (იგულისხმება გოგიტა დალაქიშვილი — ლ.ნ.) თბილისში დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული მოქალაქე დ.ე.-ს მისთვის საინტერესო კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის უკანონოდ მოპოვებას დაჰპირდა, სანაცვლოდ კი 3000 ლარი მოსთხოვა. სამართალდამცველებმა გ. დ. თბილისში, მეტროსადგურ „რუსთაველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მას შემდეგ დააკავეს, როდესაც მას დ.ე.-მ მოთხოვნილი თანხა გადასცა“. ამ ტექსტს შსს-მ ვიდეომასალა დაურთო, რომელზეც ჩაწერილია ორი პირის საუბარი და ფულის გადათვლა. გაურკვეველია ვინ არის მეორე პირი, ხოლო ზოგიერთი ფრაზა, მათ შორის ახალ ჩანაწერებზე და ვიღაც „ტიპზე“, გაუგებარია და დამატებით განმარტებას საჭიროებს, თუმცა შსს-ში, როგორც ჩანს, ჩათვალეს, რომ ვიდეო ბრალდებას წარმოდგენილი სახითაც ამყარებს.

**„რუსთავი 2“-ის ცნობით, „სახლიდან ჩხრეკის შედეგად დალაქიშვილის კომპიუტერი და რამდენიმე ჩანაწერიც ამოიღეს. გავრცელებული ინფორმაციით, აუდიო მასალაში მმართველი გუნდის მაღალჩინოსნებიც ფიგურირებენ, რასაც დაკავებულის ადვოკატი, ირმა ჭკადუა, არ ადასტურებს“.**

26 იანვარს, ჟურნალისტებთან საუბრისას, ადვოკატმა განაცხადა: „არანაირ ფარულ ჩანაწერებს არ ფლობს ბატონი დალაქიშვილი“ და დასძინა, რომ, საქმის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ხელი გაუთქმელობის ხელწერილზე მოაწერინეს. ირმა ჭკადუამ, აგრეთვე, თქვა, რომ დალაქიშვილი საკუთარ პოზიციას სასამართლოზე, აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების განხილვისას, გამოხატავს, მაგრამ სხდომა დახურულ კარს მიღმა გაიმართა. „პირველი არხის“ ცნობით, სხდომის დახურვის შუამდგომლობა სასამართლოზე ბრალდებულის ადვოკატმა, ირმა ჭკადუამ, დააყენა. ამ გარემოებამ შეიძლება კითხვები გააჩინოს, რადგან, ერთი შეხედვით, მედიისა და საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა ამ საქმეში ბრალდებულის ინტერესებშია, დალაქიშვილი კი ერთგვარ საინფორმაციო ვაკუუმში მოექცა.

მას აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება ასე დაასაბუთა: „ბრალდებულის მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის, საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების, მტკიცებულებათა მოპოვებისა და მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის საფრთხეთა თავიდან აცილების მიზნით“. განცხადებაში, აგრეთვე, ნათქვამი იყო, რომ „საქმის მასალების თანახმად, მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ბრალდებული დაუკავშირდა დ.ე.-ს და მასთან კონფლიქტურ ურთიერთობაში მყოფი პირის სატელეფონო კომუნიკაციის ფარული ჩანაწერი მოასმენინა, რის სანაცვლოდ 3000 ლარი მოსთხოვა. 2018 წლის 24 იანვარს, შეთანხმებისამებრ, ბრალდებულმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მოპოვებული კერძო კომუნიკაციის ჩანაწერი 3000 ლარის სანაცვლოდ გადასცა დ.ს.-ს“.

ამგვარად, **შსს-ს განცხადებაში ნახსენებია „ჩანაწერის უკანონო მოპოვება“, სასამართლოს განცხადებაში კი „დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მოპოვებული“ ჩანაწერი, რაც ერთმანეთთან გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის. გაუგებარია ისიც, დ.ე. და დ.ს. სასამართლოს განცხადებიდან ორი სხვადასხვა პიროვნებაა თუ მექანიკური შეცდომა ოფიციალურ საიტზე.**

შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ამ საქმეზე „სალვუს დეველოპმენტის“ დამფუძნებელი **გიორგი სოზაშვილი** დაკითხეს. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დეტალებზე ვერ ისაუბრებს, რადგან გაუთქმელობაზე ხელი მოაწერინეს, თუმცა დაადასტურა, რომ აუდიოჩანაწერში მისი ხმა ისმის და ივარაუდა, რომ ჩანაწერი მის სახლში გაკეთდა. ეს პიროვნება ბოლო თვეებში ორი სკანდალის ეპიცენტრში აღმოჩნდა. გასული წლის ოქტომბერში „სალვუს დეველოპმენტის“ ერთ-ერთმა კლიენტმა დავით ეჟიშვილმა (ინიციალები დ.ე. დალაქიშვილის საქმეშიც ფიგურირებს, თუმცა ეს შეიძლება უბრალო დამთხვევა იყოს) განაცხადა, რომ სოზაშვილმა საქმის გარჩევა დაუწყო, იარაღი მიადო და დახვრეტით დაემუქრა. მაშინ პოლიციამ სოზაშვილი დააკავა, მაგრამ მალევე გაათავისუფლა. რამდენიმე დღის შემდეგ მან გააკეთა განცხადება, რომ ხელისუფლება მასზე ზეწოლას ახდენს იმის გამო, რომ „რუსთავი 2“-ში რეკლამა განათავსა და ამაზე საგადასახადო შემოწმების დროს მიანიშნეს. სოზაშვილი, აგრეთვე, ამბობდა, რომ შსს-ს მაღალჩინოსნებმა ნუცუბიძეზე მშენებარე კორპუსი ზეწოლით გადააფორმებინეს და ერთ-ერთი მათგანის, სოსო სიგუას, ინტერესებზე მიუთითა. **დალაქიშვილის საქმეში სოზაშვილის გვარის გაჩენამ ვითარება უფრო ბუნდოვანი გახადა.**

გოგიტა დალაქიშვილი აქტიურად უპირისპირდებოდა სააკაშვილის რეჟიმს. 2013-ში კი, მისი თქმით, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებთან კონფლიქტი მოუვიდა, რომელიც ჟურნალისტ ირაკლი კორძაიას ვიდეობლოგში (27.05.2017) ასე აღწერა: „2013 წელს დამიკავშირდნენ ჩემი მეგობრის მეშვეობით. შეხვედრა უნდოდა თამაზ თამაზაშვილს თავის საკუთარ ოფისში, რომელიც მდებარეობს კოლმეურნეობის მოედანზე... იყო ასეთი შემოთავაზება, რომ გამეკეთებინა ჯგუფები, მობილური ჯგუფები, რომლებიც მოაწყობდნენ აქციებს. კონკრეტულად იყო დასახელებული... პრეზიდენტის ადმინისტრაცია... მთავარი პროკურატურა და სასჯელაღსრულების სამინისტრო, სადაც უნდა გამართულიყო აქციები“.

**ჟურნალისტის კითხვაზე — პრეზიდენტის სასახლის გარდა, რომელსაც მაშინ ჯერ კიდევ სააკაშვილი იკავებდა, რატომ უნდა გამართულიყო აქციები იმ უწყებებთან, რომლებიც უკვე ახალი ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარებოდა? — დალაქიშვილმა უპასუხა: „სავარაუდოდ, და რაშიც მე პირადად ღრმად ვარ დარწმუნებული, ეს აქციები მიზნად ისახავდა პროკურატურის ხელში ჩაგდებას „კახური კლანის“ წარმომადგენლების მიერ. ასევე, ეს ეხება სასჯელაღსრულების სამინისტროს, იმიტომ, რომ ჩვენ კარგად ვიცით, სასჯელაღსრულების სამინისტროს რომ ვერ აკონტროლებდნენ თამაზაშვილი და ჯანყარაშვილი, ასევე, ეს ეხება პროკურატურასაც და განსაკუთრებით პრეზიდენტის რეზიდენციას, სადაც, უბრალოდ, ხელი არ მიუწვდებოდათ მათ“.**

დალაქიშვილის თქმით, თამაზაშვილმა უთხრა, რომ დეტალების დასაზუსტებლად გიორგი ზედელაშვილს უნდა შეხვდეს, რომელიც იმ პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს ხელმძღვანელობდა: „პირდაპირ შემომთავაზა (ზედელაშვილმა. — ლ.ნ.), რომ ალმადგენდნენ სამსახურში იმ პირობით, თუ ინფორმაციას მივიტანდი ჩემს მეგობრებზე, ხაზს ვუსვამ, ჩემს მეგობრებზე, რომლებიც ცხრა წლის განმავლობაში ებრძოდნენ სააკაშვილის რეჟიმს... რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის შეურაცხმყოფელი იყო და მანაც ადეკვატური პასუხი მიიღო ჩემგან — შეურაცხმყოფელი უარი და აი ასე დავშორდით ერთმანეთს“. დალაქიშვილმა, აგრეთვე, გაავლო პარალელი იმ კონფლიქტთან, რომლის გამო თავის დროზე სამართალდამცავი ორგანოებიდან წამოსვლა მოუხდა: „წამოვედი კონფლიქტით ვანო მერაბიშვილთან და სოდ-ის მაღალჩინოსნებთან, რომლებიც მავალებდნენ იმავეს, რაზეც მაშინ ისინიც შეურაცხმყოფელ უარს იღებდნენ... დავწერე პატაკი და წამოვედი სამსახურიდან. ეს რომ მდომებოდა, 2007-შივე გავაკეთებდი და ვიქნებოდი, ალბათ, იმ დროსაც კარგად და, როგორც იცით, ახლა „პორტირებული“ ვიქნებოდი და ახლაც კარგად ვიქნებოდი, როგორც არიან იქ სამინისტროებში — ძველი „ზონდერები“ მუშაობენ და მშვენივრად გრძნობენ თავს“.

**დალაქიშვილმა ამ ინტერვიუში თქვა, რომ მის მიერ ნახსენები ჯგუფები შეიქმნა და აქციებიც გაიმართა. აღსანიშნავია, რომ თანაგუნდელების წინააღმდეგ მოქმედებაში გიორგი ზედელაშვილი ღიად 2014 წელსაც დაადანაშაულეს, როდესაც ყვარელში აქციებისა და ხმაურიანი დაპირისპირების ფონზე გამგებელი დავით ქევხიშვილი გადააყენეს. მაშინ პოლიციამ გამგებელი და მასთან ერთად 17 პირი წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით დააკავა. საკრებულომ ის თანამდებობიდან გადააყენა, ხოლო ერთ-ერთმა დაკავებულმა, ლევან ხუციშვილმა, თქვა, რომ მომხდარის უკან შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ზედელაშვილი დგას.**

ბოლო დროს დალაქიშვილი ხშირად აქვეყნებდა მწვავე კომენტარებს „ფეისბუქში“ და აკრიტიკებდა შსს-სა და სუსის ხელმძღვანელების მოქმედებას, აგრეთვე, „ქართული ოცნების“ ლიდერების განცხადებებს. ის საპროტესტო აქციებშიც მონაწილეობდა. მაგალითად, 16 იანვარს მან მონაწილეობა მიიღო პროკურატურასთან გამართულ აქციაში, პოლიციასთან კონფლიქტის დროს გარდაცვლილი პაატა პავლიაშვილის საქმესთან დაკავშირებით.

ამის გათვალისწინებით, **შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ დალაქიშვილის საქმეში მაღალჩინოსნების შურისძიების მოტივიც არსებობს, რომელიც თავისთავად არ გამორიცხავს მაკომპრომენტირებელი ჩანაწერების არსებობას.** „დალაქიშვილის დაკავება პოლიტიკური სარჩულის მატარებელია. ამ ეტაპზე მის უდანაშაულობაზე საუბარს ვერ დავიწყებ, მაგრამ გეტყვით, რომ ძალიან ბევრი მაღალჩინოსანი მეგობარი ჰყავს. შესაბამისად, არ გამოვრიცხავ, რომ მას გარკვეული ჩანაწერები გაეკეთებინა, რაც დაკავების მიზეზი გახდა, — განაცხადა „ნიუპოსტთან“ საუბარში სამოქალაქო აქტივისტმა **მიხეილ კაჭკაჭიშვილმა**, რომელსაც დალაქიშვილთან ახლო ურთიერთობა აკავშირებს, — არც იმას გამოვრიცხავ, რომ ის გარკვეული ინფორმაციის სანაცვლოდ გაათავისუფლონ“.



გოგიტა დალაქიშვილი

**ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ეტაპზე, ალბათ, ისაა, რომ საზოგადოებას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია საქმის დეტალებზე. ამას ხელს უწყობს, ერთი მხრივ, სახელმწიფო უწყებებისა და ადვოკატის მოქმედება და, მეორე მხრივ, ის სიტუაცია, რომელიც ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით ბოლო წლებში შეიქმნა. ახალმა ხელისუფლებამ დემონსტრაციულად გაანადგურა სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოპოვებული კომპრომატი, მაგრამ საზოგადოების უდიდესი ნაწილი დარწმუნებულია, რომ მაღალჩინოსნები მას ჩუმად, საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ. პოლიტიკოსების ამორალურობის ამსახველი კომპრომატი პირადი ცხოვრების კატეგორიაში გადის, მისი გამოქვეყნება დასჯადია. რაც შეეხება მაღალჩინოსნების კორუფციასთან და კანონის დარღვევასთან დაკავშირებულ ჩანაწერებს, ხელისუფლებამ შეიძლება თქვას, რომ ასეთი ფირები საიდუმლოს შეიცავს, დახუროს სასამართლო პროცესი და მიმართოს სხვა ზომებს, რომლებიც ინფორმაციის გადინებას შეზღუდავს.**

**ჩვენ მივიღეთ სიტუაცია, როდესაც კომპრომატით პოლიტიკოსებს შეიძლება აშანტაჟებდნენ მხოლოდ სხვა პოლიტიკოსები ან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები, მაგრამ საზოგადოებას პრაქტიკულად არ აქვს უფლება, მას გაეცნოს და მის საფუძველზე პოლიტიკოსის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს**

საბოლოოდ, ჩვენ მივიღეთ სიტუაცია, როდესაც კომპრომატით პოლიტიკოსებს შეიძლება აშანტაჟებდნენ მხოლოდ სხვა პოლიტიკოსები ან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები, მაგრამ საზოგადოებას პრაქტიკულად არ აქვს უფლება, მას გაეცნოს და მის საფუძველზე პოლიტიკოსის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს. ნაკლებად სავარაუდოა, გოგიტა დალაქიშვილის საქმემ ამ მხრივ რამე შეცვალოს, თუმცა მოქალაქეებმა ნამდვილად უნდა იცოდნენ, რა ჩანაწერზე საუბრობდა შსს თავის განცხადებაში და ამოიღეს თუ არა დალაქიშვილის სახლიდან აუდიო თუ ვიდეო ფაილები, რომლებიც მაღალჩინოსნების მიერ კანონის დარღვევას ადასტურებს.

ანალიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ივანიშვილი სერიოზულ შეცდომას უშვებს, თუკი სახელმწიფოს განიხილავს, როგორც კომერციულ ფირმას, კერძო კომპანიას, რომელშიც მას აქციათა თითქმის 100-პროცენტიანი პაკეტი აქვს და რომელშიც მინისტრები, დეპუტატები არიან მისი თანაშემწეები, კლერკები, ნება-სურვილის შემსრულებლები. მისი განცხადებები იმის თაობაზე, რომ დატოვებს „საინტერესო“ პრეზიდენტსა და „საინტერესო“ პრემიერს, ხოლო თვითონ გარედან გააკონტროლებს სიტუაციას, არის ბიზნესმენის ტიპური მიდგომა ბიზნესსტრუქტურისადმი: შევქმნი კომპანიას, დავნიშნავ ჩემს ხალხს და გავაკონტროლებო, მაგრამ სახელმწიფო კერძო კომპანია არ არის. სახელმწიფოს მართვაში სულ სხვა პრინციპები მოქმედებს, რომლებიც, როგორც ჩანს, ივანიშვილს არ ესმის“.**

# სიცრუე და ორპირობა ხელისუფლებაში

## სავალალო შედეგი, რომელზეც 5 წლის წინათ გვაფრთხილებდა პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია

**სააკაშვილისა და მისი სისხლიანი რეჟიმისგან გაწამებულმა საქართველოს მოსახლეობამ 2012 წლის არჩევნებში მხარი დაუჭირა „ქართულ ოცნებასა“ და მის ლიდერს — ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც, ხალხის გულის მოსაგებად, ამ არჩევნების წინ და არჩევნების შემდეგ რამდენიმე თვის განმავლობაში უამრავი დაპირება გასცა:**
*** სამართლიანობის აღდგენა — ხელისუფლების იმ პირებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს; ბიზნესმენებისა და მოქალაქეებისთვის იმ ქონების დაბრუნება, რომლებიც მათ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში წაართვეს;**
*** ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ტარიფების მნიშვნელოვნად შემცირება;**
*** საწვავის, ფარმაცევტული პროდუქციისა და სხვა საქონლის გაიაფება ჯანსაღი კონკურენციის გზით;**
*** საარსებო მინიმუმის მნიშვნელოვნად მომატება;**
*** პენსიის მომატება 220 ლარამდე;**
*** ყველა რეგიონში 1000-ზე მეტი საწარმოს აშენება (მხოლოდ 2013 წელს 60-ზე მეტი საწარმო უნდა აშენებულიყო) და უმუშევრობის აღმოფხვრა;**
*** სოფლის მეურნეობის აღორძინება;**
*** რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება, პარალელურად, ნატოში შესვლა და სხვ.**



**«მრავალი წელია, ვამბობ, რომ აუცილებელია კანონი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების საქმიანობის შედეგებზე მათი პირადი პასუხისმგებლობის შესახებ. სანამ ასეთი კანონი არ არსებობს, მოვუწოდებ ამომრჩევლებს, მოითხოვონ ამა თუ იმ კანდიდატისგან თუნდაც საჯარო დაპირება, რომ, თუ ორი წლის შემდეგ იგი არ წარმოადგენს თავისი საქმიანობის კონკრეტულ შედეგებს, მაშინ გადადგება»**

„პირველი წელიწადი იქნება რთული, მეორე იქნება საგრძნობლად უკეთესი, მესამე წელს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკეთესობას საკუთარ თავსა და ჯიბეზე იგრძნობს, მეოთხე წელიწადი იქნება ძალიან კარგი“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა 2012 წლის 24 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე.

მას შემდეგ 5 წელიწადზე მეტი გავიდა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არათუ გაუმჯობესდა, პირიქით — მნიშვნელოვნად გაუარესდა: კატასტროფულად გაუფასურდა ლარი; სამართლიანობა არათუ აღდგა, ქართველი ხალხის ცემა-ტყეპას, წამებას, ბიზნესის წართმევასა და მკვლელობებში ეჭვმიტანილები, ჯალათი რეჟიმის — „ნაცმოძრაობის“ — წევრები დღესაც თავისუფლად დასეირნობენ (ზოგი საქართველოში, ზოგი — უცხოეთში), დასავლეთისგან თავსმოხვეული ე.წ. კოაბიტაციის წყალობით და ეს დამნაშავე პოლიტიკური ორგანიზაცია და მისი განაყოფი ორგანიზაციები მთავარ ოპოზიციურ ძალებად ითვლებიან. ივანიშვილმა, სხვათა შორის, თავისთვის კი აღიდგინა სამართლიანობა — ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე დაიბრუნა სააკაშვილის მიერ წართმეული 80 მილიონი.

**ქვეყნის სათავეში მოსვლიდან მეხუთე წელს, როცა საქართველოს მოსახლეობას, ივანიშვილის დაპირების მიხედვით, თაფლისა და რძის მდინარეებში უნდა ებანავა, ელექტროენერგიაც გაძვირდა, ბუნებრივი აირიც და წყალიც, შესაბამისად — პროდუქტებიც და სამომხმარებლო საგნებიც. დღეს საარსებო მინიმუმი 173,5 ლარია(!), ხოლო პენსია — 180 ლარი და მის მომატებას 20 ლარით (?!) მხოლოდ 2019-2020 წლებისთვის გვპირდება ბიძინა ივანიშვილის მიერ დატოვებული ხელისუფლება, რომლის წევრებიც ყოველთვიურად უზარმაზარ ხელფასებსა და პრემია-დანამატებს იღებენ.**

სხვათა შორის, საარსებო მინიმუმისა და პენსიების მხრივ საქართველო აუტსაიდერია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში და, საერთოდ, მსოფლიოში. ამასთანავე, 2017 წლის მეორე კვარტალში 617 მლნ დოლარით მოიმატა საქართველოს საგარეო ვალმა და 16,4 მლრდ შეადგინა.

მიუხედავად რუსეთის ხელისუფლების პირველი პირების განცხადებებისა, რომ მზად არიან საქართველოსთან დიალოგის დასაწყებად, საქართველოს „პლასტელინა“ და „ქსლის მბეჭველმა“ პრეზიდენტმა **გიორგი მარგველაშვილმა**, რომელიც ბიძინა ივანიშვილის დაჟინებული მოწოდებით აირჩია მოსახლეობამ, განაცხადა: ჯერ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორისგან — აშშ-ისგან უნდა ავიღოთ ნებართვა რუსეთთან დიალოგის გამართვაზეო;

**ყველა რეგიონში 1000 საწარმოს აშენების დაპირება ხომ, საერთოდ, დაივიწყა ივანიშვილის „ქართულმა ოცნებამ“. შესაბამისად, სოციალურ-ეკონომიკური და დასაქმების მაჩვენებელი არ გაუმჯობესებულა. და 2016 წლის „საქსტატის“ მონაცემებით, საქართველოში 235,1 ათასი კაცია უმუშევარი (11%).**

**სამაგიეროდ, თბილისში, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე, რომელიც 1 ლარად გაიყიდა, ბიძინა ივანიშვილმა გახსნა ბიტკოინების მწარმოებელი კომპანია BitFury, რომელიც უზარმაზარ ელექტროენერგიას მოიხმარს და რომლის გამოც ელექტროენერგიის მომატებული ტარიფის გადახდა საქართველოს მოსახლეობას დააწვა კისერზე. ისიც აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 2014 წელს ბიძინა ივანიშვილის ბანკ „ქართუს“ შემოსავალმა 14-ჯერ მოიმატა, ხოლო თვითონ ივანიშვილის შემოსავალმა მხოლოდ 2017 წელს — 380 მილიონი დოლარით და ახლა მისი ქონება, სააგენტო „ბლუმბერგის“ შეფასებით, 5,87 მლრდ-ია.**

ჩანს, ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ მალე დატოვა პრემიერმინისტრის პოსტი, ქვეყანას კი თავზე დაასვა „საინტერესო“ პრეზიდენტი, მინისტრები და დეპუტატები, საქართველოს თავის შპს-დ განიხილავს და სულაც არ ანაღვლებს არც მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და არც ქვეყანა, რომელსაც გაზულუქებული მაღალჩინოსნები „სტრატეგიული მოკავშირის“ მითითებებით უფსკრულისკენ მიაქანებენ.

ეს ყველაფერი დღეს, წლების შემდეგ, გამოჩნდა ნათლად, თორემ 2012 წელს, არჩევნების წინ, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ვერც იფიქრებდა, რომ ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ ფეხებზე დაიკიდებდა დაპირებებს, თუმცა იმაზე, რომ საქართველო შეიძლებოდა ასეთ ვითარებაში აღმოჩენილიყო, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე ლაპარაკობდა ცნობილი ქართველი პოლიტოლოგი **ალექსანდრე ჭაჭია.**

* აი რა განაცხადა მან 5 წლის წინათ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარ რედაქტორთან საუბარში ივანიშვილის მიერ ძლიერი მთავრობის დატოვებაზე, რომელსაც მისი პოლიტიკური კურსი და აღორძინების პროგრამა უნდა განეხორციელებინა (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №34, 2013 წლის 18-24 სექტემბერი):

**„ჯერ ერთი, არ ვიცი, რა არის „ივანიშვილის პროგრამა“ და ვფიქრობ, საქართველოში ეს არც არავინ იცის, თვით ივანიშვილის ჩათვლით; მეორე — ივანიშვილი სერიოზულ შეცდომას უშვებს, თუკი სახელმწიფოს განიხილავს, როგორც კომერციულ ფირმას, კერძო კომპანიას, რომელშიც მას აქციათა თითქმის 100-პროცენტიანი პაკეტი აქვს და რომელშიც მინისტრები, დეპუტატები არიან მისი თანაშემწეები, კლერკები, ნება-სურვილის შემსრულებლები. მისი განცხადებები იმის თაობაზე, რომ დატოვებს „საინტერესო“ პრეზიდენტსა და „საინტერესო“ პრემიერს, ხოლო თვითონ გარედან გააკონტროლებს სიტუაციას, არის ბიზნესმენის ტიპური მიდგომა ბიზნესსტრუქტურისადმი: შევქმნი კომპანიას, დავნიშნავ ჩემს ხალხს და გავაკონტროლებო, მაგრამ სახელმწიფო კერძო კომპანია არ არის. სახელმწიფოს მართვაში სულ სხვა პრინციპები მოქმედებს, რომლებიც, როგორც ჩანს, ივანიშვილს არ ესმის. საერთოდ, ბიზნესი და პოლიტიკა მოღვაწეობის სრულიად განსხვავებული სფეროებია. სიტყვამ მოიტანა და, პირადად, მე ვერ ვიხსენებ ისტორიაში შემთხვევას, როდესაც ბიზნესმენი წარმატებული სახელმწიფო მოღვაწე გახდა; უფრო მეტიც — კერძო ბიზნესი და ქვეყნის ეკონომიკა ძალიან განსხვავებული სფეროებია“.**

ბიძინა ივანიშვილის მიერ ჩამოყალიბებული „საინტერესო“ გუნდი და მის მიერ დატოვებული „საინტერესო“ პრეზიდენტი, ბოლო წლებია, ერთმანეთს ებრძვიან — პარლამენტი დასამტკიცებლად გამოიტანს კანონს, „მდიდარი სექსის მქონე“ „პლასტილინი“ პრეზიდენტი ვეტოს დაადებს, მაგრამ „ოცნების“ დეპუტაცია ძლევს ვეტოს... და ასე გრძელდება, უკვე 4 წელიწადია. „საინტერესო“ პრემიერმინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა** თავი იმით გამოიჩინა, რომ ჯერ თურქეთი მოიხსენია „საქართველოს ისტორიულ მეგობრად“, შემდეგ დეპუტატ **ნიკა მელიას** კეთილები აგინა, ახლა კი გამზრდელი **ედუარდ შევარდნაძისადმი** ხოტბა-დიდება არ დაიშურა. ივანიშვილმა კი პრემიერის პოსტიდან გადადგომისთანავე პასუხისმგებლობა მოიხსნა მის მიერ დატოვებულ „საინტერესო“ პრეზიდენტსა და პრემიერზე.

* აი როგორ გამოეხმაურა **ალექსანდრე ჭაჭია** ზემონახსენებ ინტერვიუში ივანიშვილის განცხადებას, რომ ძალაუფლებას გადასცემს ძალიან ძლიერ სამთავრობო გუნდს, რომელიც ააღორძინებს საქართველოს. და რომ ამ გუნდზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე დაიკისრებს:

**„რა ფორმის პასუხისმგებლობაზეა საუბარი? როგორ აგებს ივანიშვილი პასუხს თავისი გუნდის ნამოქმედარზე? გადადგომის შემდეგ ივანიშვილი იქნება რიგითი მოქალაქე, თანაც — საფრანგეთის. უბედურება სწორედ ისაა, რომ ჩვენი მმართველები, თავიანთი შეუსრულებელი დაპირებების გამო, პასუხს არ აგებენ და ვერც აგებენ, რადგან პასუხისმგებლობის არანაირი მექანიზმი არ არსებობს. განაცხადოს ივანიშვილმა ის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრები, რომლებიც მისმა მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სამი წლის შემდეგ, მერე კი საჯაროდ თქვას და ნოტარიულადაც დაამოწმოს, რომ ამ პარამეტრების შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი, როგორც სამთავრობო გუნდის საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირი, ამ პასუხისმგებლობის ფარგ-** ▶

„როგორც ჩანს, სწორედ მაშინ გადაწყდა ოპერაცია „ლოკომოტივის“ ჩატარება. ამერიკელები მოელაპარაკნენ ივანიშვილს, რომ ისინი არ დაუშვებენ არჩევნების მასობრივ ფალსიფიკაციას, მაგრამ სანაცვლოდ ივანიშვილს თავისთან ერთად პარლამენტში ის პარტიები უნდა შეეთრია, რომლებსაც რეკომენდაციას ამერიკელები მისცემდნენ. ივანიშვილმა ამგვარად იძია შური სააკაშვილსა და მის თანამზრახველებზე, დაიკმაყოფილა საკუთარი თავმოყვარეობა, ხოლო ამერიკელებმა მიიღეს სასურველი პარლამენტი“.

ანალიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბიძინა ივანიშვილმა მხოლოდ თავისი სურვილები დაიკმაყოფილა — მისთვის ფულის გამომძალველი, ხოლო ხალხისთვის სისხლის მწოველი სააკაშვილი ხელისუფლებას ჩამოაშორა, მაგრამ ამერიკელების მითითებებით, ჯერ კოაბიტაცია გამოაცხადა და, ერთი-ორი მაღალჩინოსანი ნაცის გარდა, მისმა სასამართლომ პასუხისმგებლობა არავის დააკისრა, შემდეგ კი «ნაცმოძრაობისა» და მისი განაყოფი პარტიების წარმომადგენლებით გაავსო საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლება, ქვეყანა თავის შპს-დ გადააქცია, ხალხის ინტერესები კი ფეხებზე დაიკიდა...

◀ ლებში საქართველოს თითოეულ მოქალაქეს გადაურიცხავს ათას დოლარს. სულ 4 მილიარდი დოლარი გამოდის. აი, ეს იქნება მისი პირადი პასუხისმგებლობის რეალური ზომა. მზად არის ივანიშვილი ასეთი პასუხისმგებლობისთვის?“

* აი რას ამბობს ბატონი ალექსანდრე 2013 წლის კიდევ ერთ ინტერვიუში („საქართველო და მსოფლიო“ №31, 21 აგვისტო-4 სექტემბერი, 2013 წ.) მმართველი გუნდის მიერ წარმოებულ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პოლიტიკაზე, საინტერესო პრეზიდენტზე და, საერთოდ, მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებზე:

„მე, სხვათა შორის, ვთავაზობდი, დაევალდებულებინათ პრეზიდენტი, უკვე 1-2 წლის შემდეგ თავისი საქმიანობის კონკრეტული შედეგები წარედგინა საზოგადოებისთვის. გარწმუნებთ, რომ ამ შემთხვევაში პრეზიდენტობის პრეტენდენტთა რიცხვი არ იქნებოდა ორი-სამის მეტი და მათთვისაც თხოვნა იქნებოდა საჭირო, რათა კენჭი ეყარათ. მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მოსახლეობის კისერზე დასვას მაღალი რანგის უსაქმური, რომელიც დახვდება უცხოელ სტუმრებს, ხელს მოაწერს მთავრობის მიერ მომზადებულ ქაღალდებს და პერიოდულად ტელევიზორის ეკრანიდან მოგვიყვება, როგორ ძლიერ, დემოკრატიულ ქვეყანას აშენებს ეს ხელისუფლება...

საერთოდ, ივანიშვილის ქცევიდან, მისი საკადრო პოლიტიკიდან, რიტორიკიდან გამომდინარე, ნათელია, რომ კონფლიქტების მოგვარება არც პირადად მისთვის და არც ამ ხელისუფლებისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს. თუ თქვენ შენიშნეთ, აფხაზეთის თემა საქართველოს საჯარო პოლიტიკიდან შეუმჩნევლად ამოვარდა. არც ხელისუფლება, არც ოპოზიცია, არსებითად, ამ საკითხს არ ეხება. რაკი აცნობიერებენ, რომ მათგან ვერც ერთი ახერხებს, თუნდაც შეუდგეს ამ პრობლემების მოგვარებას, ცდილობენ, მათ გვერდი აუარონ, ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლონ, არ გაამახვილონ საზოგადოების ყურადღება ამ, მათი აზრით, უიმედო თემებზე.

თუთიყუშივით იმეორებენ ივანიშვილის გაუგებარ სენტენციას: „ჩვენს ძმებ აფხაზებსა და ოსებთან ერთად ავაშენებთ აყვავებულ საქართველოს“. რომელმა აფხაზმა გიწოდა ძმა? რომელი ოსი დაგთანხმდა ერთად ქვეყნის აშენებაზე? გაიხსენეთ სააკაშვილის მმართველობის პირველი წლები, ისიც ლაყბობდა ძმობაზე, უკვეთავდა ისეთ სამარცხვინო კლიპებს, როგორიცაა „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“, სადაც დაქირავებული მომღერლები ყველას აფხაზეთში ეპატიჟებოდნენ. სოხუმში სიამოვნებით აჩვენებდნენ ამ კლიპს, რათა დაეცინათ ბრიყვი ქართველებისთვის. არავის სჭირდება ძმობის შესახებ მტკიცებები, ამის არავის სჯერა, ეს არაფრის მომცემია, საკუთარი ღირსების დამცირების გარდა. საჭიროა პრაგმატული, არსებითი დიალოგი რუსეთის დაინტერესებული მონაწილეობით, მაგრამ ამგვარი დიალოგის დაწყების არც სურვილი და არც შესაძლებლობები ახალ ხელისუფლებას არ აქვს, ისე, როგორც არ ჰქონდა არც სააკაშვილს და არც შევარდნაძეს.

მრავალი წელია, ვამბობ, რომ აუცილებელია კანონი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების საქმიანობის შედეგებზე მათი პირადი პასუხისმგებლობის შესახებ. სანამ ასეთი კანონი არ არსებობს, მოვუწოდებ ამომრჩევლებს, მოითხოვონ ამა თუ იმ კანდიდატისგან თუნდაც საჯარო დაპირება, რომ, თუ ორი წლის შემდეგ იგი არ წარმოადგენს თავისი საქმიანობის კონკრეტულ შედეგებს, მაშინ გადადგება.

მაგალითად, კანდიდატი გპირდებათ, რომ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენს, მოითხოვეთ მისგან საჯარო განცხადება, რომ, თუ იგი პირველი ორი წლის მანძილზე ორჯერ-სამჯერ მაინც არ ჩავა სოხუმში, არ შეხვდება იქაურ ხელმძღვანელობას, ადგილობრივ საზოგადოებას, არ ჩაატარებს მოლაპარაკებებს ამ თემაზე მოსკოვთან, მაშინ გადადგება თავისი წინასაარჩევნო დანაპირების შეუსრულებლობის გამო. გპირდებათ კანდიდატი მილიონ სამუშაო ადგილს? ე.ი., 2 წლის შემდეგ იგი ვალდებულია, წარმოადგინოს თუ 400 ათასი არა, 200 ათასი სამუშაო ადგილი მაინც; წინააღმდეგ შემთხვევაში მან უნდა დატოვოს თანამდებობა და ა. შ. მოდით, ამ ხერხით მაინც ვცადოთ, ვაიძულოთ პოლიტიკოსები, პასუხისმგებლობით მოეკიდონ საკუთარ მოვალეობებს“.

ამდენი შეუსრულებელი დაპირებისა და მოსახლეობის უკიდურესი გაჭირვების ფონზე, მართლაც აუცილებელია, ქვეყანაში შემუშავდეს კანონი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების პასუხისმგებლობის შესახებ. ხოლო ვითარების გარედან, შუშის სასახლიდან, გაკონტროლებას, როგორც ამას ბიძინა ივანიშვილი აკეთებს, შედეგი რომ არ მოაქვს (ყოველ შემთხვევაში, საქართველოს მოსახლეობისთვის), უკვე მეექვსე წელიწადია, ვხედავთ.



* ივანიშვილის განცხადებას, რომ გადადგება, გარედან გააკონტროლებს სიტუაციას და ყველა დაპირებას შეასრულებს, ალექსანდრე ჭაჭია ასე აფასებდა:

„ეს შეუძლებელია. საქართველო ჩინეთი არაა და არც ივანიშვილია დენ სიაოპინი. ბიჭები, რომლებსაც იგი დაუტოვებს ძალაუფლებას, ორიოდე თვეში დაივიწყებენ მის არსებობას. როგორც კი ჩაიგდებენ სახელმწიფო ბიუჯეტს ხელში, მათ აღარ დასჭირდებათ მისი სუბსიდიები. მას საჭიროების შემთხვევაში მოუწევს მიმართოს ამერიკის ელჩს, რათა მისი მეშვეობით მოახდინოს გავლენა გარკვეული საკითხების გადასაწყვეტად, მაგრამ ელჩსაც ეს ყველაფერი მალე მობეზრდება („საქართველო და მსოფლიო“, №31, 21 აგვისტო-4 სექტემბერი, 2013წ.).

* აი რას ამბობდა ცნობილი ქართველი პოლიტოლოგი პრემიერმინისტრის პოსტიდან ივანიშვილის გადადგომის რეალურ მიზეზებსა და ოპერაცია „ლოკომოტივზე“:

„თუ ივანიშვილი მართლაც გადადგება, მაშინ დადასტურდება ვერსია, რომელიც ერთხელ გამოვთქვი, მაგრამ რომლის დაჯერებაც არ მინდა. მისი არსი იმაშია, რომ ივანიშვილს არანაირი პრინციპული უთანხმოება სააკაშვილსა და მის რეჟიმთან არ ჰქონდა, მაგრამ ეს თავხედი ახალგაზრდები მისგან სულ მეტ ფულს მოითხოვდნენ, ამასთანავე, მადლობის თქმითაც არ იწუხებდნენ თავს. უცერემონიო სააკაშვილმა, ეტყობა, აწყენინა მას, არ გამოვრიცხავ, რომ შეურაცხყო კიდეც. ივანიშვილი თავმოყვარე ადამიანია, ღირსების გამძაფრებული გრძნობით. შეუძლებელია, ამერიკელებს ყურადღება არ მიექციათ ამ ურთიერთობებისთვის. მათ თავიანთი პრობლემა ჰქონდათ: ცხადი შეიქნა, რომ სააკაშვილისა და მისი გუნდის შემდგომი დარჩენა ხელისუფლებაში შეუძლებელი იყო — უკმაყოფილება მოიცავდა მოსახლეობის სულ უფრო ფართო მასებს, მწიფდებოდა მასშტაბური სტიქიური ბუნტი, „ნაცმოძრაობის“ სასარგებლოდ კიდევ ერთი არჩევნების გაყალბებას ხალხი ვერ მოითმენდა, იქმნებოდა სოციალური აფეთქების რეალური საფრთხე. ეს არა მხოლოდ აშშ-ის იმიჯს ურტყამდა, რომელიც ბოლო 9 წლის განმავლობაში საქართველოს „დემოკრატიის შუქურად“ აღიარებდა, არამედ შეუძლებელს ხდიდა კონტროლს დაქვემდებარებული პოლიტიკური ძალების შემდეგი ეშელონის ხელისუფლებაში მოყვანას, რადგან ამერიკელ „ბახალებს“ სოროსის სტრუქტურებიდან ხალხი უკვე აღარ მიიღებდა. როგორც ჩანს, სწორედ მაშინ გადაწყდა ოპერაცია „ლოკომოტივის“ ჩატარება. ამერიკელები მოელაპარაკნენ ივანიშვილს, რომ ისინი არ დაუშვებენ არჩევნების მასობრივ ფალსიფიკაციას, მაგრამ სანაცვლოდ ივანიშვილს თავისთან ერთად პარლამენტში ის პარტიები უნდა შეეთრია, რომლებსაც რეკომენდაციას ამერიკელები მისცემდნენ. ივანიშვილმა ამგვარად იძია შური სააკაშვილსა და მის თანამზრახველებზე, დაიკმაყოფილა საკუთარი თავმოყვარეობა, ხოლო ამერიკელებმა მიიღეს სასურველი პარლამენტი. თუ ეს ვერსია მართალია, მაშინ ივანიშვილი მართლაც გადადგება. მან მიზანს მიაღწია, მაგრამ ხალხი მის წასვლას შეაფასებს, როგორც არასერიოზულობისა და უპასუხისმგებლობის უმაღლეს გამოვლინებას“.

როგორც ხედავთ, ალექსანდრე ჭაჭიას ეს პროგნოზიც, ისევე, როგორც სხვა მრავალი, ზედმიწევნით შესრულდა: ბიძინა ივანიშვილმა მხოლოდ თავისი სურვილები დაიკმაყოფილა — მისთვის ფულის გამომძალველი, ხოლო ხალხისთვის სისხლის მწოველი სააკაშვილი ხელისუფლებას ჩამოაშორა, მაგრამ, ამერიკელების მითითებებით, ჯერ კოაბიტაცია გამოაცხადა და, ერთი-ორი მაღალჩინოსანი ნაცის გარდა, მისმა სასამართლომ პასუხისმგებლობა არავის დააკისრა, შემდეგ კი „ნაცმოძრაობისა“ და მისი განაყოფი პარტიების წარმომადგენლებით გაავსო საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლება, ქვეყანა თავის შპს-დ გადააქცია, ხალხის ინტერესები კი ფეხებზე დაიკიდა...

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

P.S. ბიძინა იმანიშვილისა და მის მიერ დატოვებული „საინტერესო“ გუნდის მოღვაწეობის შედეგებზე მიუთითებს ენ-დი-აი-ს მიერ რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნებული კვლევის შედეგებიც: შეკითხვაზე — „რომელი ეროვნული საკითხებია თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის მნიშვნელოვანი?“ — გამოკითხულთა 54%-მა სამუშაო ადგილები დაასახელა, 35%-მა — ფასების ზრდა და ინფლაცია, 30%-მა — სიღარიბე, 25%-მა — პენსიები, 23%-მა — ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება, ამდენივემ — ტერიტორიული მთლიანობა, 20%-მა კი — ხელფასები (დანარჩენი პასუხები 20%-ს ქვემოთაა, მაგალითად, სამართლიანობის აღდგენა — 10%). არსებითი ცვლილება პრიორიტეტებში, წინა კვლევასთან შედარებით, არ მომხდარა, თუმცა ტერიტორიული მთლიანობის მაჩვენებელი 5%-ით შემცირდა და ტოპსამეულიდან ამოვარდა, სოციალურ-ეკონომიკური საკითხების პრიორიტეტულობა კი გაიზარდა. ვითარება ამ მხრივ მართლაც დამძიმდა და, პრაქტიკულად, გაუსაძლისი გახდა; ადამიანი, რომელიც თვითგადარჩენისთვის იბრძვის, ეროვნულ საქმეზე იშვიათად ფიქრობს.

გამოკითხულთა 39% მიიჩნევს, რომ საქართველო არასწორი მიმართულებით ვითარდება, 26% თვლის, რომ — სწორი მიმართულებით, ხოლო პასუხში „საქართველო საერთოდ არ იცვლება“, ალბათ, უფრო მეტი პესიმისტური ირონიაა, ვიდრე სტაბილურობის განცდა.

**ქვეყნის სათავეში მოსვლიდან მეხუთე წელს, როცა საქართველოს მოსახლეობას, ივანიშვილის დაპირების მიხედვით, თაფლისა და რძის მდინარეებში უნდა ებანავა, ელექტროენერგიაც გაძვირდა, ბუნებრივი აირიც და წყალიც, შესაბამისად — პროდუქტებიც და სამომხმარებლო საგნებიც. დღეს საარსებო მინიმუმი 173,5 ლარია(!), ხოლო პენსია — 180 ლარი და მის მომატებას 20 ლარით(?!) მხოლოდ 2019-2020 წლებისთვის გვპირდება ბიძინა ივანიშვილის მიერ დატოვებული ხელისუფლება, რომლის წევრებიც ყოველთვიურად უზარმაზარ ხელფასებსა და პრემია-დანამატებს იღებენ**

## გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სატელეფონო საუბარში სტალინმა უსაყვედურა ბერიას: „როდემდე უნდა ფრიალებდეს იალბუზზე გერმანული დროშა. გადაეცით სვან ალპინისტებს, რომ სხვა ვერავინ ჩამოაგდებს მას“. ამ სატელეფონო საუბრიდან მალე, 1943 წლის 9 თებერვალს, ყინულის გიგანტურ სამყაროს გაბრიელ და ბექნუ ხერგიანებმა შეუტიეს. ყინულთან რამდენიმესაათიანი გააფრთებული ბრძოლის შემდეგ ვეფხის სადარი ბექნუ ხერგიანი ნახტომით მიწვდა დროშას, ჯერ ჩამოხია, შემდეგ კი ტარი ძირშივე გადატეხა.**

# სტალინი და საქართველო

# კავკასიონის დაცვა

**მამაჩემის მამიდაშვილი ევაკ ნიჟარაძე სვანეთის ერთ-ერთი ძლიერი ოჯახის შვილი იყო. ხუთი ძმა და გამრჯე დედ-მამა თავიანთი დიდ ადგილ-მამულში მთელი წლის სარჩოს უპრობლემოდ აგროვებდნენ. ჰყავდათ თხების დიდი ჯოგი, რომელსაც, ძირითადად, 5 ძმიდან ბოლოდან მეორე მწყემსავდა და პატრონობდა — ევაკ ნიჟარაძე. ის 1904 წელს იყო დაბადებული და ადგილობრივი სოფლის ოთხწლიანი სკოლა ჰქონდა დამთავრებული.**





## როგორც დიდ სამამულო ომში ვერ გავიმარჯვებდით უსტალინოდ, ისე ვერ დავიცავდით კავკასიონს ლავრენტი ბერიას გარეშე

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც თხის ჯოგი ლატფარის ალპური ზონის საძოვრებზე იყო გაშლილი და **ევაკ ნიჟარაძე** კავკასიონის თეთრ მწვერვალებს ოცნებით გაჰყურებდა, ევაკს უეცრად უყივლა სისხლმა და ახალგაზრდული ჟინი დაეუფლა. წელზე შემორტყმული ქამარი მოიხსნა, ყველაზე დიდ ვაცს რქებზე მოაბა და ორბელისკენ (სოფელი ცაგერის რაიონში) მიმავალ ვიწრო ბილიკს ჩქარი ნაბიჯით ჩაუყვა. მეზობელ მეჯოგეს კი დაუბარა, თხები სახლში მიერეკა და ოჯახის წევრებისთვის ეთქვა: ევაკი ქალაქში წავიდაო. სოფელ ორბელში პირველივე შემხვედრს, ყოველგვარი ვაჭრობის გარეშე, იაფად მიჰყიდა უშველებელი ვაცი და ცოტაოდენი ფულით გეზი ჯერ ქუთაისისაკენ, შემდეგ კი თბილისისკენ აიღო.

მაღალი, ახოვანი და სხარტი ახალგაზრდა, ყოველგვარი შემოწმებისა და გამოცდების გარეშე, ჩარიცხეს თბილისის საარტილერიო სასწავლებელში, სადაც დაუმეგობრდა შემდგომში სახელგანთქმული პიროვნებები: გენერალ-ლეიტენანტი **ვასილ მჟავანაძე**, გენერლები: **კობერიძე, თავართქილაძე, ყურაშვილი** და სხვ.

კურსდამთავრებულებმა საბრძოლო ნათლობა მონღოლეთში, ხანხილ-გოლის ბრძოლებში მიიღეს, საიდანაც ორდენებით მკერდდამშვენებული დაბრუნდნენ. მალე დიდი სამამულო ომიც დაიწყო. ევაკ ნიჟარაძე, როგორც ახალგაზრდა და გამოცდილი მეთაური, წარადგინეს ნომენკლატურულ თანამდებობაზე და შემოწმების „ფილტრი“ უნდა გაევლო. სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა სასწრაფოდ წარუდგინა წითელი არმიის პოლიტსამმართველოს ევაკისა და მისი ოჯახის ეკონომიკური თუ პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ სრული ინფორმაცია.

„ევაკ ნიჟარაძის ოთხი ძმა იარაღით ხელში ერთი კვირის განმავლობაში უმკლავდებოდა წითელი არმიის ნაწილებს ცხენისწყლის მისადგომებთან, რათა კომუნისტები არ შესულიყვნენ ლაშხეთის თემში. როგორც იმხანად, ახლაც ითვლებიან საკოლმეურნეო წყობისა და სოციალისტური სამშობლოს მტრებად. ოთხივე ძმა დაპატიმრებულია. ევაკი შეიარაღებულ შეტაკებაში არ მონაწილეობდა, ამჟამად იგი მსახურობს წითელ არმიაში“.

ეს ცნობა წითელი არმიის პოლიტსამმართველოს უფროს **ლევ მეხლისის** კაბინეტში სხვა საქმიან ქაღალდებთან ერთად შეიტანეს. ევაკ ნიჟარაძის დახასიათება მეხლისის რეზოლუციამ „დაამშვენა“:

„დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქნას წითელი არმიიდან“.

იმავე მთებითა და გზებით, რომლებითაც 15 წლის წინათ ლატფარის უღელტეხილისა და ორბელის გავლით თბილისში გაემგზავრა, ევაკი ახლა თავშესაფრის საძებნელად მშობლიურ სოფელს უბრუნდებოდა, ოღონდ მალულად. შინ დაბრუნებული ყოველ ღამეს ელოდებოდა დაპატიმრებას, მაგრამ მის დაჭერას რატომღაც არ ჩქარობდნენ.

1942 წლის თებერვალში სტალინის პირადი თვითმფრინავი დაეშვა თბილისის აეროპორტში, სადაც დასახვედრად თავი მოეყარათ ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის ცეკას პირველ მდივნებს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალსა და სხვა მაღალი თანამდებობის პირებს. თვითმფრინავიდან პირველი **ლავრენტი ბერია** გადმოვიდა, მას მოჰყვა თვრამეტი მაღალჩინოსანი და ერთი პატარა ცელქი ბიჭუნა — ლავრენტი ბერიას არასრულწლოვანი ვაჟი **სერგო.** კავკასიონზე შექმნილი ტრაგიკული მოვლენებისა და გერმანელთა დივიზიების შეუჩერებელი სვლით შეწუხებული ამიერკავკასიის რეაპუბლიკების მთავრობების წარმომადგენლები სამგლოვიარო პროცესზე მყოფთ უფრო ჰგავდნენ, ვიდრე საპატიო სტუმრის დამხვედრთ. ბერიას ხელი არავისთვის გაუწოდებია. დამხვდურთა დამწუხრებულ სახეებს რომ შეხედა, ისედაც უშიშარ და გაბედულ ბერიას გამბედაობა კიდევ უფრო მოემატა:

— რა ცხვირ-პირი ჩამოგტირით, რა ხელები ჩამოგიყრიათ, ომი თუ არ გინახავთ, მის შესახებ არც წაგიკითხავთ მაინც? დღეს ისინი გვიტევენ, ხვალ ჩვენ შევუტევთ, — ომახიანად წარმოთქვა ლავრენტი პავლოვიჩმა და ბრძანა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში წასულიყვნენ. ამის შემდგომი ეპიზოდი ჩემს წინა წერილებში მაქვს აღწერილი, რომლებშიც, ძირითადად, ვიხელმძღვანელე კა-გე-ბე-ს გენერლის, **ვარლამ ქაქუჩაიას,** მემუარებით, რომელიც მისმა შვილიშვილმა გამოსცა და გამომიგზავნა მოსკოვიდან. ამ თათბირიდან გაგაცნობთ მხოლოდ ერთ ფაქტს, რომელიც სხვადასხვა გარემოების გამო განხილული არ მქონდა (მიზეზთა გამო, რომლებსაც ოდესმე შეიტყობთ):

როდესაც ბერია ბეჩოს სამხედრო ბაზაზე შექმნილ ვითარებას იხილავდა, ორ თითს შუა ფანქრის ნერვიული ტრიალით **კანდიდ ჩარკვიანს** ჰკითხა:

— სად იბრძვის ამჟამად ევაკ ნიჟარაძე? კანდიდ ჩარკვიანმა თავი ჩაღუნა და უპასუხა: — ევაკ ნიჟარაძე მეხლისმა ხელიდან გამოგვტაცა და ჯარიდან დაითხოვაო.

— გლახაკები ხართ და იმიტომ! — თქვა გაცეცხლებულმა ბერიამ და იკითხა: სად არის ამჟამად ევეკ ნიჟარაძეო. კანდიდ ჩარკვიანმა ამ კითხვით ზემო სვანეთის რაიკომის პირველ მდივანს მიმართა, მან კი უპასუხა, რომ ევაკ ნიჟარაძე ქვემო სვანეთის მცხოვრებია და არ იცის ვინ არის. ამით ცეცხლზე ნავთი დაასხეს და ბერიას განრისხებას საზღვარი არ ჰქონდა:

**— რამხელაა საქართველო, რომ ერთ პატარა მხარეს ზემო და ქვემო კუთხეები ჰქონდეს და, რამდენი პოლკოვნიკი ჰყავს სვანებს, რომ რაიკომის მდივანმა არ იცოდეს მისი ვინაობა? გიბრძანებთ, ხვალ, 9 საათზე, ჩემთან იყოს ევაკ ნიჟარაძე!**

შუაღამეს გადაცილებული იყო, როდესაც ევაკ ნიჟარაძის სახლის ეზოში მსუბუქი ავტომანქანა „ემ-1“ გაჩერდა. მანქანის რახრახმა სოფელი გააღვიძა და ყველამ იფიქრა, რომ ევაკის დასაპატიმრებლად იყვნენ მოსულნი. ტირილით, ვაითა და გოდებით გამოაცილა სოფელმა ახალგაზრდა პოლკოვნიკი. მძღოლმა არც რამე იცოდა და ვერც ვერაფერს ეტყოდა ევაკს. როდესაც ლენტეხში, ციხესთან მანქანა არ გაჩერდა, ევაკის შეკითხვას — სად მივდივართ? მძღოლმა უპასუხა: — ნაბრძანები მაქვს, გათენებამდე ქუთაისში ჩაგიყვანოთო.

ქუთაისის შესასვლელში მილიციის საგუშაგოზე გააჩერეს მანქანა, რომელშიც ევაკი იჯდა, საბუთების გულდასმით შემოწმების შემდეგ ის კომფორტულ მანქანაში გადასვეს და ქალაქისკენ წაიყვანეს. ჯერ კარგად გათენებული არ იყო, რომ ქუთაისის ქალაქკომის პირველი მდივანი **გრიგოლ ნარსია** ევაკს თავის კაბინეტში ელოდებოდა. დანახვისთანავე ერთმანეთს გადაეხვივნენ და გადაკოცნეს. გრიგოლ ნარსიამ ევაკს უთხრა, რომ ახლავე აეროდრომზე უნდა წასულიყვნენ და 9 საათზე ევაკი პარტიის ცეკას შენობაში ბერიას უნდა შეხვედროდა. შემდეგ რაც მოხდა, ევაკმა დაწვრილებით მიამბო და დასძინა: — იცი რა, გრიშა, კაცი გაბერილი გუდაა, როდის ჩაიფუშება, არავინ იცის და, რასაც გეტყვი, მხოლოდ შენ იცოდე, ყოველი შემთხვევისთვის ამის ცოდნა რას დაგიშავებს, იქნებ ოდესმე გამოიყენოო.

და აი 40 წლის შემდეგ დადგა დრო, ამ შესანიშნავი პიროვნების, უპატიოსნესი, პრინციპული მეცნიერის ნაამბობი გავასაჯაროო:

— ბერიამდე ისე მიმიყვანეს, არავის მივსალმებივარ. მან პატარა დასასვენებელ ოთახში მიმიღო. როგორც კი შევედი, წამოხტა, გადამეხვია, გადამკოცნა და ჯიქურ მკითხა:

— რატომ ხარ ასე გამხდარი?

— მსუქანი არასდროს ვყოფილვარ, ლავრენტი პავლესძევ, — ვუპასუხე.

აქ მინდა, ცოტა გადავუხვიო და მკითხველს გავაცნო ის რთული მდგომარეობა, რომელიც საქართველოში და, კერძოდ, კავკასიონზე ტრიალებდა.

ჰიტლერის დავალებით, კავკასიონის გადალახვა ვერმახტის 49-ე მსროლელ კორპუსს დაევალა გენერალი **რუდოლფ კონრადის** მეთაურობით. საბრძოლო დავალება, რომელიც ჰიტლერმა დაამტკიცა და ხელი მოაწერა, ასეთი იყო:

**პირველი** — დარტყმა უნდა განხორციელებულიყო საქართველოს სამხედრო გზით თბილისზე;

**მეორე** — დარტყმა უნდა განხორციელებულიყო სამხედრო გზით ქუთაისზე, ხოლო **მესამე დარტყმა** ითვალისწინებდა კავკასიონის დასავლეთი უღელტეხილის გადალახვას და სოხუმზე გასვლას. ამ ოპერაციის კოდური სახელწოდება იყო **„ედელვაისი“.**

კავკასიონს ჯერ გერმანელთა 2 სამთო დივიზია მოადგა.

გენერალმა კონრადმა ჰიტლერის მიერ ახალდანიშნული ამიერკავკასიის მთავარმართებელი იახლა, რადგან აღებულ ქალაქებს პატრონი და განმკარგულებელი ჰყოლოდა. გერმანელმა გენერლებმა ამიერკავკასიის ფრონტის გაცნობა არა საბრძოლო პოზიციების, არამედ ადგილმდებარეობისა და კლიმატის შესწავლით დაიწყეს. სტალინი კი კრემლში დინჯად დაჰყურებდა ცენტრალური კავკასიონის ოპერატიულ რუკას.

კაბინეტში გამოძახებულ ბერიას სტალინმა უთხრა:

**— უნდა დავასრულოთ კავკასიონის სტრატეგიის შემუშავება ახლა, ამ წუთას. კავკასიონზე მდგომარეობა კატასტროფულია, კავკასიონის დაკარგვა მოსკოვის აღების ტოლფასია, შეგიძლია თუ არა დაიცვა კავკასიონი და შენი ქვეყანა? სვანეთის უღელტეხილებისა და, კერძოდ, ბეჩოს გადასასვლელის დაცვა უპირველესი საქმეა, წაიყვანე ჯგუფი 18 კაცის შემადგენლობით, შეთანხმებული სია პოსკრებიშევთანაა. თუ შვილსაც, პატარა სერგოსაც წაიყვან, კარგი იქნება, ხალხს იმედი გაუჩნდება.**

ბერია მიხვდა, რომ სტალინი ჯგუფის ყველა წევრს უკვე შეხვდა და დაელაპარაკა. ხუთ საათზე სტალინის თვითმფრინავმა კურსი თბილისისკენ აიღო. 22 საათზე თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაეშვა.

— თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს ვაცნობე მეხლისის განკარგულების გაუქმების თაობაზე თქვენი ჯარიდან დათხოვნის შესახებ, ეკიპირებაზე ნუ იფიქრებთ, ყველაფერი თან გვაქვს. ხვალ დილით, 4 საათზე, თბილისიდან უნდა გავიდეთ, არავინ არაფერი უნდა იცოდეს, — განუცხადა ბერიამ ევაკ ნიჟარაძეს.

კავკასიონის მწვერვალებზე ახალი დილა თენდებოდა, ახალი იმედებითა და ახალი ძალებით. სამი დღის განმავლობაში ბერია ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, არავინ იცოდა, იგი მტრისა და მოყვრისთვისაც დაკარგული იყო.

ამ სამი დღის განმავლობაში მონადირის ტანსაცმელში გამოწყობილი და დამცავი სათვალით სახედაფარული ბერია, რომელსაც ერთადერთი კაცი, ევაკ ნიჟარაძე, ახლდა, სვანი მონადირეებისა და ალპინისტების თანხლებით ყველა ნაწილში მივიდა და ყველა ბატალიონი დაათვალიერა. დაწვრილებით შეისწავლა ფრონტის ყველა უბნის საბრძოლო მზადყოფნა და მომარაგება, როგორც საბრძოლო მასალებით, აგრეთვე, სურსათით. გაუჩინარების შემდეგ ბერია კვლავ გამოჩნდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის რეზიდენციაში და კავკასიის ფრონტის ჯარების ყველა დანაყოფის მეთაური სასწრაფოდ მოიწვია თათბირზე. მათ შორის იყო გენერალი ქაქუჩაია.

თათბირის დაწყებამდე ბეჩოს ბაზაზე უშუალო პასუხისმგებელი ქაქუჩაია **ქობულოვმა** მიიწვია თავის ოთახში და გამოჰკითხა ფრონტის ამბავი. ქაქუჩაიამ მოახსენა, რომ კავკასიონზე მტრის უშუალო გამანადგურებელი და მოწინააღმდეგე არის სვანი მონადირეებისა და ალპინისტების ბატალიონები, სვან მოსახლეობასთან ერთად, და მათი შეიარაღება ჩვენი უპირველესი მოვალეობააო.

ამ სიტყვებმა ისტერიკაში ჩააგდო ქობულოვი, რომელმაც ყვირილით მიმართა ქაქუჩაიას:

**— როგორ შეიძლება სვანების ნდობა და მათი შეიარაღება?! ეს იარაღი ჩვენ შემოგვიტრიალდება. თუ შენ ამას**

**უსასტიკეს მტერთან საბრძოლველად მომზადება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. კავკასიის მწვერვალებზე მოსალოდნელი დიდთოვლობა ძალზე ართულებდა დაცვის პოზიციებს. სპეცბატალიონი, რომელიც სვანი ალპინისტებისა და მონადირეებისგან იყო დაკომპლექტებული, განლაგებული იყო სიმაღლეებზე, საიდანაც ზღუდავდა მტრის წინ წამოწევას. სვანების სპეცბატალიონს შეუერთდა ბერიას მიერ მოსკოვიდან ჩამოყვანილი 150 სნაიპერი უხმო შაშხანებით. ისინი, მამაც სვან მონადირეებთან ერთად, ფხიზლად იცავდნენ ყველა ბილიკს კავკასიონზე.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ ლავრენტი პავლოვიჩს მოახსენებ, შეიძლება სამშობლოს ღალატში დაგადანაშაულოს და დაგხვრიტოს!**

თათბირი დაიწყო, ფრონტის სარდლები მოახსენებდნენ ბერიას ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას, მესამე მომხსენებლად გამოიძახეს ქაქუჩაია, რომელმაც დაწვრილებით გააცნო ბერიას ყველაფერი:

— სვანების დახმარება კავკასიის დაცვაში უპირველესი საქმეა. კავკასიას იცავს არა მხოლოდ წითელი არმია, არამედ სვანეთის მოსახლეობა, რომელიც თავგანწირვით იბრძვის სამშობლოსთვის. როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, ჩვენ გვეხმარებიან საბჭოთა წყობილებაზე განაწყენებული ადამიანები, რომლებიც, ტყეში ყაჩაღებად გავარდნილნი, აქტიურად იბრძოდნენ საბჭოთა წყობის წინააღმდეგ. სწორედ ის ხალხია დღეს ჩვენი საიმედო დამრტყმელი ძალა, რომელიც მიუვალ ადგილებში გამაგრებული მტრის საცეცხლე წერტილებს ანადგურებს. ჩვენ მივიღეთ ყველა საჭირო ზომა, კარგად შეგვეიარაღებინა ასამდე სვანი მონადირე და მოხალისე, ამით შეიქმნა ერთობლივი სურვილი მტრის განადგურებისა.

— ეს ძალიან ცოტაა, — განაცხადა ბერიამ, — სასწრაფოდ შექმენით სპეციალური დანიშნულების ბატალიონი, რომელიც მთლიანად სვანებით იქნება დაკომპლექტებული და გადაეცით სრული სამხედრო აღჭურვილობა და სახელმწიფო უზრუნველყოფა, როგორც წითელი არმიის ერთ-ერთ ქვედანაყოფს.

ბერიას ბრძანებაში ეწერა:

„**1.** სვან მებრძოლს, რომელიც მოკლავს გერმანელ ოკუპანტს, გადაეცეს ჯილდოდ 500 მანეთი და მოკლულის მთელი აღჭურვილობა იარაღის ჩათვლით;

**2.** თუ მოკლული გერმანელი უნტერ-ოფიცერია, ჯილდო გაორმაგდეს და მიეცეს მოკლულის იარაღი;

**3.** სვან მებრძოლს, რომელიც მოიტაცებს მოენეს და ტყვედ აიყვანს გერმანელ ოფიცერს, ჯილდო გაეზარდოს;

**4.** განსაკუთრებული მამაცობის გამოჩენისათვის სპეცდანიშნულების ბატალიონის წევრები წარდგენილნი იქნან სახელმწიფო ჯილდოებსა და ორდენებზე. ასევე დაჯილდოებულნი იქნან სამახსოვრო იარაღით წარწერით: „ლ. პ. ბერია“.

ბერიას წახალისებით სვანეთის მოსახლეობა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად აღდგა. მოხუცები, ქალები და ბავშვები ხარებით, ცხენებითა და სახედრებით ჭიუხებში საბრძოლო მასალასა და სურსათს აწვდიდნენ გმირ სვან მებრძოლებს. სვანეთში გუგუნებდა სიმღერა ბერიაზე — „დარიალს კარი შეაბი, კავკასიონი შეჰკარი“.

სატელეფონო საუბარში სტალინმა უსაყვედურა ბერიას: „როდემდე უნდა ფრიალებდეს იალბუზზე გერმანული დროშა. გადაეცით სვან ალპინისტებს, რომ სხვა ვერავინ ჩამოაგდებს მას“.

ამ სატელეფონო საუბრიდან მალე, 1943 წლის 9 თებერვალს, ყინულის გიგანტურ სამყაროს **გაბრიელ** და **ბექნუ ხერგიანებმა** შეუტიეს. ყინულთან რამდენიმესაათიანი გააფრთებული ბრძოლის შემდეგ ვეფხის სადარი ბექნუ ხერგიანი ნახტომით მისწვდა დროშას, ჯერ ჩამოხია, შემდეგ კი ტარი ძირშივე გადატეხა.

როგორც დიდ სამამულო ომში ვერ გავიმარჯვებდით უსტალინოდ, ისე ვერ დავიცავდით კავკასიონს ლავრენტი ბერიას გარეშე.

1942 წლის 27 აგვისტოს სტალინმა ხელი მოაწერა დირექტივას, რომლითაც 46-ე არმიის სარდალი **სერგაცკოვი** გათავისუფლებული იქნა თანამდებობიდან და მის ადგილას დაინიშნა გენერალ-მაიორი **კონსტანტინე ლესელიძე.** ამ პერიოდში გერმანელებს უკვე დაკავებული ჰქონდათ კავკასიონის სტრატეგიული ობიექტები, რომლებიც მტერმა არცთუ დიდი წინააღმდეგობის შედეგად ჩაიგდო ხელში.

46-ე არმიის სარდლად ლესელიძის დანიშვნასა და კავკასიის ფრონტის ბერიასათვის ჩაბარებას სწრაფად უნდა შეეცვალა მდგომარეობა. 242-ე და 392-ე შენაერთები გენერლების — **გიორგი ყურაშვილისა** და **ისიდორე სილაგაძის** — მეთაურობით ახალ საბრძოლო დავალებებს იღებდნენ უღელტეხილის დასაბრუნებლად და მტრის გასანადგურებლად.

ომის დამთავრების შემდეგ გენერალი გიორგი ყურაშვილი საქართველოს სამხედრო კომისრად დაინიშნა. სხვადასხვა გარემოების გამო დასვენების დღეებს ყველა რანგის მოხელე ადგილობრივ კურორტებზე ატარებდა. გიორგი ყურაშვილიც ჩვენს სოფელში არსებული საუცხოო წყლითა და ჰაერით დაჯილდოებულ აგარაკ „მუაშის“ რეგულარული სტუმარი გახლდათ. ის სვანეთის ახალგაზრდებს ომის ეპიზოდებს გვიყვებოდა. მე ბევრი რამ მახსოვს მისი მონათხრობიდან, რომლის ფრაგმენტები ჩაწერილიც კი მაქვს თორმეტფურცლიან სასკოლო რვეულში. ჩემი წერილების ნაწილი გენერალი ყურაშვილის მონათხრობზეა აგებული, თუმცა გენერლის მონაყოლი შემდგომ ბევრ ბეჭდურ გამოცემასა და მემუარულ ლიტერატურაშიც გამოჩნდა.

46-ე არმიის ახალდანიშნულ სარდალს მაღალი სიხშირის ტელეფონთან უხმეს, — თქვენ სტალინი დაგელაპარაკებათ. რამდენიმე წუთში კონსტანტინე ლესელიძეს ახალი თანამდებობა სტალინმა მიულოცა და წარმატება უსურვა:

— **იცით, ამხანაგო ლესელიძევ, როგორ იბრძოდა ნაპოლეონი ალპებში? მან პირველმა გამოიყენა არტილერია მიუვალ მთებში. უღელტეხილები გადალახა და ზურგში დაარტყა ავსტრიის არმიას. თქვენც უნდა აიტანოთ დაშლილი ზარბაზნები მწვერვალებზე, იქ ააწყოთ და იქიდან დაარტყათ მტერს. ჩვენ ყველაფრით დაგეხმარებით.**

**როგორც ყოველთვის, სტალინის სიტყვას საქმე მოჰყვა. გაიცა განკარგულება კავკასიონზე 4 000 სახედრისა და მათი 1 000 გამყოლის გადაყვანის თაობაზე; ქვეყანაში 1 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე დაემზადებინათ 80 000 მეტრი სპეციალური ქსოვილი ალპინისტის თბილი ტანსაცმლის 30 000 კომპლექტის შესაკერავად, აგრეთვე, 15 000 წერაყინი, 2 000 კლდის ჩაქუჩი, 50 000 წრიაპი, კავი, 30 000 მეტრი ალპინისტური წნული და გრეხილი თოკი, 1 600 000 ტრიკონი — ფეხსაცმლის ლანჩაზე დასაჭედებელი სამკბილა. სტალინის დავალება 1 ოქტომბრისთვის შესრულებული იყო და აღჭურვილობა გაიგზავნა ფრონტზე. ჰიტლერის მიერ კავკასიის დაპყრობის გეგმა, რომელიც წარმატებით მიმდინარეობდა, შემაშფოთებელი იყო. ჰიტლერელებთან ერთად კავკასიონს უტევდა ჰიტლერის მიერ შეკოწიწებული და მსოფლიო პროპაგანდისთვის ესოდენ საჭირო „ქართული ლეგიონი“, რომელიც მდინარე ბაქსანის ნაპირზე იყო გამაგრებული.**

უსასტიკეს მტერთან საბრძოლველად მომზადება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. კავკასიის მწვერვალებზე მოსალოდნელი დიდთოვლობა ძალზე ართულებდა დაცვის პოზიციებს. სპეცბატალიონი, რომელიც სვანი ალპინისტებისა და მონადირეებისგან იყო დაკომპლექტებული, განლაგებულნი იყო სიმაღლეებზე, საიდანაც ზღუდავდა მტრის წინ წამოწევას. სვანების სპეცბატალიონს შეუერთდა ბერიას მიერ მოსკოვიდან ჩამოყვანილი 150 სნაიპერი უხმო შაშხანებით. ისინი, მამაც სვან მონადირეებთან ერთად, ფხიზლად იცავდნენ ყველა ბილიკს კავკასიონზე. მთავარი ბანაკიდან დაშიფრული ტელეგრამა მოვიდა, მოითხოვდნენ, რომ ბატალიონი და სხვა სამხედრო ნაწილები სასწრაფოდ დაშვებულიყვნენ ბარში და ზამთარი ბეჩოში გაეტარებინათ. მებრძოლებმა და მათმა მეთაურებმა გადაწყვიტეს, არ დამორჩილებოდნენ დირექტივას და დაშიფრული ტალეგრამითვე უპასუხეს ფრონტის სამხედრო საბჭოს, რომ ისინი დაკავებულ სიმაღლეებს არ დატოვებდნენ, როგორი პირობებიც უნდა შექმნილიყო. ეს წინააღმდეგობა სამხედრო საბჭოსთვის გამაოგნებელი იყო. პასუხად იმავე დღეს დაშიფრული ტელეგრამა მიიღეს: **„გამოგზავნილ დირექტივას არ ვამტკიცებთ. თქვენთან ჩამოვლენ არმიის სარდალი ლესელიძე და ვალერი ბაქრაძე, ადგილზე შეთანხმდით და გადაწყვიტეთ ჯარების გამოზამთრების საკითხი. ბერია“.**

სამი დღის შემდეგ კოსტანტინე ლესელიძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვალერი ბაქრაძე,** რომელიც ფრონტის საბჭოს წევრიც გახლდათ, ბეჩოს მიადგნენ. გიორგი ყურაშვილმა (დივიზიის მეთაურმა) დეტალურად ილაპარაკა უღელტელხილზე მიმდინარე ბრძოლაზე, რომელიც კარგად ჩანდა ოპერატიულ რუკებზე.

— ქაღალდზე ყველაფერი კარგად არის, მაგრამ უნდა ვნახოთ ადგილზე, — განაცხადა ლესელიძემ.

ბაქრაძემ გზის გაგრძელება ვერ შეძლო, რადგან კენჭის გავლის გამო ძლიერი ტკივილები ჰქონდა და ხანდახან გონებასაც კი კარგავდა. ლესელიძე და ყურაშვილი ორი დღის განმავლობაში გულდასმით ათვალიერებდნენ საოცარ გამოქვაბულებს და ერთმანეთთან დაკავშირებულ მიწისქვეშა გასასვლელებს, რომლებიც სვან ალპინისტებსა და მონადირეებს შეექმნათ ამ ურთულეს პირობებში. **კლდის ღრმა ჯურღმულებში განთავსებულ ჯარისკაცთა საცხოვრებელს, იარაღისა და სურსათის საწყობებს რომ ათვალიერებდა, სარდალი ლესელიძე აღფრთოვანებას ვერ მალავდა, როგორ და რა ძალამ შეძლო ამ სამუშაოს შესრულება ჭიუხების სიღმეებში.** ერთობ კმაყოფილმა და ამაყმა სარდალმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ეს უნიკალური თავშესაფარი შექმნა და გამოთქვა რწმენა, რომ ეს ხალხი მალე გაათავისუფლებდა კავკასიას ფაშიტი დამპყრობლებისგან.

— სამხედრო საბჭოს დირექტივას შევცვლი, — განაცხადა ლესელიძემ, — თქვენ, რა თქმა უნდა, მართალი იყავით, როცა მწვერვალები არ დატოვეთ და დაბლა არ ჩახვედით.

ამით დამთავრდა კონსტანტინე ლესელიძის ორდღიანი სტუმრობა ბეჩოში.

1943 წლის 7 მარტს ლავრენტი ბერია კვლავ კავკასიონზეა და მარტის ბოლომდე დარჩა ფრონტზე. მისივე ინიციატივით, სტალინმა ხელი მოაწერა დირექტივას კონსტანტინე ლესელიძის მე-18 არმიის სარდლად დანიშვნის თაობაზე.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**



**სამი დღის განმავლობაში მონადირის ტანსაცმელში გამოწყობილი და დამცავი სათვალით სახედაფარული ბერია, რომელსაც ერთადერთი კაცი, ევაკ ნიჟარაძე, ახლდა, სვანი მონადირეებისა და ალპინისტების თანხლებით ყველა ნაწილში მივიდა და ყველა ბატალიონი დაათვალიერა. დაწვრილებით შეისწავლა ფრონტის ყველა უბნის საბრძოლო მზადყოფნა და მომარაგება, როგორც საბრძოლო მასალებით, აგრეთვე, სურსათით**



კავკასიის დამცველი ქართველი მეომრები

**P.S. „საქართველო და მსოფლიოს“ ამა წლის 1-ელ ნომერში დაბეჭდილ მასალაში ნახსენები პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის ჟურნალის სახელწოდება ნაცვლად „კრესტიანსკი ვოსტოკისა“-ისა უნდა ყოფილიყო „ხრესტიანსკი ვოსტოკ“.**




# ყურადღება!

**„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.**

ანალიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA) მიერ ჩასწორებულ ციფრებს რომც დავუჯეროთ და ისიც ვირწმუნოთ, რომ NDI-ს კვლევის ცდომილება +/- 1,9%-ს შეადგენს, დღეს საქართველოში „პრორუსულად“ განწყობილია 30%-40%. მოქალაქეთა ასეთი რაოდენობის სულელებად და „პუტინის ჯაშუშებად“ გამოცხადება, დაშინება, დაპატიმრება, წამებით სულის ამოხდა ან დახოცვა, როგორც ამას სააკაშვილი აკეთებდა, უკვე აღარ გამოვა.**



## არნო ხიდირბეგიშვილი:

# საქართველოში რუსეთი აირჩიეს — NDI-ს კვლევას ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო დირექტივა №66-6G-ით პასუხობს

**2018 წლის 17 იანვარს მოხდა ორი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლებიც ქართველი საზოგადოების სათანადო ყურადღების გარეშე დარჩა: პირველი — საერთაშორისო ურთიერთობის ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI, USA) საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევის შედეგები გამოაქვეყნა. გამოკვლევა საქართველოში 2017 წლის 29 ნოემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდა; მეორე — საქართველოში აშშ-ის საელჩომ თავის „ფეისბუქ-გვერდზე“ საქართველოში აშშ-ის ელჩის, იან კელის, ვიდეომიმართვა გამოაქვეყნა.**

ხელისუფლებამ უგულებელყო NDI-ს კვლევის შედეგები, როგორც არასანდო. „ჩვენ გვაქვს საკუთარი კვლევები და ისინი ყოველთვის გვაძლევს შესაძლებლობას, ზუსტი პროგნოზები გავაკეთოთ, როგორც არჩევნების თვალსაზრისით, ისე სხვა მიმართულებებითაც“, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძემ.**

საზოგადოებამ ყურადღება არ მიაპყრო იმ ამერიკული ინსტიტუტის მორიგ საეჭვო ოპუსს, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზეც კი გამარჯვებას სააკაშვილის პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ უწინასწარმეტყველებდა. მით უმეტეს, რომ საველე სამუშაოების ჩასატარებლად NDI-მ „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი“ (CRRC) მიიწვია დიდი ბრიტანეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, პროგრამა UK Aid Direct-ის ფარგლებში.

ოპოზიცია ამჯერად ორიოდე დუნე შენიშვნით შემოიფარგლა „საქართველოში რუსული პროპაგანდის შედეგად პრორუსულად განწყობილი მოსახლეობის ზრდაზე“, ხოლო კვლევის შედეგების პრეზენტაცია ნახევრადცარიელ დარბაზში გაიმართა, მხოლოდ ტელეკამერებისა და რამდენიმე ჟურნალისტის თანდასწრებით.

კიდევ უფრო ყალბი, ვიდრე NDI-ს „გამოკვლევის“ შედეგები, იყო **იან კელის** ზემოხსენებული ვიდეომიმართვა სახელწოდებით „რატომ მიყვარს თბილისი“. ამერიკის ელჩები — მენტორები, ხომ საქართველოს მოსახლეობას ტრადიციულად ისე მიმართავდნენ, როგორც მისიონერები — ველურ აბორიგენებს, რომლებსაც ჰიგიენისა და „დემოკრატიის“ ელემენტარული წესების დაცვა უნდა აიძულო! ამიტომ კელის მოულოდნელი „გულითადი“ აღიარება, რომ 40 წლის შემდეგ ის უწინდებურად აღფრთოვანებულია მულტიეთნიკური თბილისით და თბილისელებისგან ტოლერანტობას, დამოუკიდებლობას, გულთბილობასა და სიამაყეს სწავლობს, ყურს „ჭრიდა“...

**ზემოთ მითითებული ორი ეპიზოდის თარიღის დამთხვევა სულაც არ ყოფილა შემთხვევითობა — ისინი ურთიერთდაკავშირებულია, რადგან ლენგლიში, აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში (Central Intelligence Agency, CIA) ერთსა და იმავე კაბინეტში მომზადდა 2017 წლის დეკემბრის დასაწყისში, დირექტივაზე №66/6-G მუშაობის პროცესში.** სწორედ ამიტომ NDI-ს მიერ 2017 წლის 29 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები მხოლოდ თვე-ნახევრის შემდეგ, 2018 წლის 17 იანვარს, გამოქვეყნდა, სოციალურ ქსელში აშშ-ის ელჩის ვიდეომიმართვის განთავსების პარალელურად.

## ორიოდე სიტყვა ცნებებზე

სანამ დირექტივა ?66/6-G-ზე მოგიყვებით, მინდა, მკითხველს ილუზიები გავუფანტო ორ ცნებაზე, რომლებიც ქართველ საზოგადოებაში ორი პრეზიდენტის — **შევარდნაძისა** და **სააკაშვილის** — წყალობით ჩამოყალიბდა.

**პირველი ცნება— „მეგობრობა“.** „ჩემი მეგობარი“, „ჩვენი მეგობრები“ — შევარდნაძისა და სააკაშვილის ყველა გამოსვლას რეფრენად გასდევდა. ასე უწოდებდნენ ისინი აშშ-ის პრეზიდენტებსა და ევროპის ქვეყნების ხელმძღვანელებს, ცნობილი დასავლური ინსტიტუტებისა და ფონდების დირექტორებს, ისინიც ამითვე პასუხობდნენ.

თუმცა ცნება „მეგობრობას“ დასავლეთსა და საქართველოში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, **როდესაც ამერიკელი პოლიტიკოსი „მეგობარს“ გიწოდებთ, ეს ნიშნავს, რომ აშშ-ს ან თქვენი ქვეყნის ტერიტორია სჭირდება სამხედრო ბაზის ასაშენებლად, ანდა მისი ბუნებრივი სიმდიდრეები, მაგალითად — ნავთობი.**





ქვეყნები, რომელთა ხელისუფლებები ამერიკელების პირობებს თანხდებიან, აშშ-ის ვასალები ხდებიან (პოლონეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები), ხოლო, ვინც არ ნებდება — მტრები, რომლებიც მოსაშორებელია ომითა და „ფერადი რევოლუციებით“ (ან დაუყოვნებლივ, როგორც დსთ-ის, აღმოსავლეთი ევროპისა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში მოხდა, ან გარკვეულ ხანში, ძალების მოკრების შემდეგ — ჩრდილოეთ კორეა, ირანი, რუსეთი, ჩინეთი).

ვასალი ან მტერი — სხვა ვარიანტს ამერიკელი პოლიტიკოსის ტვინი არ ითვალისწინებს, ერთ ნაბიჯზე უფრო შორს განჭვრეტაზე ის გათვლილი არ არის.

**მეორე ცნება — „აშშ“.** საქართველოში დამკვიდრდა მცდარი მოსაზრება, რომ აშშ თანამედროვე ძლიერი სუვერენული სახელმწიფოს კლასიკური მოდელია, ეტალონი, რომელთან მიახლოებას ყველა უნდა ესწრაფვოდეს. პრეზიდენტი **ტრამპის** წყალობით, უეცრად აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში აშშ-ს უამრავი მმართველი ჰყავს (ამ ლუსტრაციასა და რევოლუციურ საგადასახადო რეფორმაში მდგომარეობს ტრამპის ორი მთავარი მიღწევა პრეზიდენტობის პირველ წელიწადს. სწორედ ამის გამო ამოქმედდა მის წინააღმდეგ საქართველოსა და უკრაინაში გამოცდილი „შავი პიარი“ — „კრემლის ოკუპანტების პრორუსი აგენტისა“ და „სისხლისმსმელი პუტინის მეგობრის“ სტიგმა).

აშშ-ის საგარეო და საშინაო პოლიტიკას რეალურად მართავენ პრეზიდენტი, სახელმწიფო დეპარტამენტი, კონგრესი, პენტაგონი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და დოლარი, კორპორაციებისა და ბანკების სახით. ყველა ჩამოთვლილი ინსტიტუტი ხშირად უგულებელყოფს აშშ-ის ჭეშმარიტ სახელმწიფო ინტერესებს, მუდმივი კონკურენციის რეჟიმში იმყოფება და ერთმანეთს დეზინფორმაციით კვებავს, ამიტომ ერთობლივი თვალსაზრისი ცნება „აშშ“-ზე დღეს არ არსებობს (შეგახსენებთ: საქართველომ ტერიტორიების 20% იმიტომ დაკარგა, რომ სახელმწიფო მდივანი **რაისი** საგანგებოდ ჩამოფრინდა თბილისში 2008 წლის ივლისში სააკაშვილის გასაფრთხილებლად — არ გაებედა სამხრეთ ოსეთში ომის დაწყება. ორი კვირის შემდეგ კი მისმა ქვეშევრდომმა — საქართველოში აშშ-ის იმჟამინდელმა ელჩმა **ჯონ ტეფტმა** — სააკაშვილს ამ სამხედრო ავანტიურაზე კურთხევა მისცა).

ზემოთ ჩამოთვლილმა ამერიკულმა ინსტიტუტებმა გადაწყვიტეს, საქართველო გადაეცათ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA) მმართველობის ქვეშ, რომლის მზვერავი თბილისში ჯერ კიდევ 40 წლის წინათ შემოგზავნეს, როგორც სტუდენტი, სახელად **იან კელი.**

**ამერიკულმა ინსტიტუტებმა გადაწყვიტეს, საქართველო გადაეცათ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA) მმართველობის ქვეშ, რომლის მზვერავი თბილისში ჯერ კიდევ 40 წლის წინათ შემოგზავნეს, როგორც სტუდენტი, სახელად იან კელი**





## დირექტივა №66/6-G

**რატომ აღმოჩნდა საქართველო CIA-ს კომპეტენციაში და რას ნიშნავს დირექტივა №66/6-G?**

2017 წლის დეკემბერში მიღებული დირექტივა №66/6-G არის აშშ-ის CIA-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს—CIA) საქართველოში მოქმედების 2018 წლის გეგმა.

ცსს-ს კომპეტენციაში საქართველოს გადაცემა კი მას შემდეგ გადაწყდა, როცა აშშ-ის ზემოთ ჩამოთვლილმა თითქმის ყველა ინსტიტუტმა (საქართველოს ისეთმა „მეგობარმაც“ კი, როგორიც **ჯონ მაკეინია**) მის მიმართ ინტერესი დაკარგა: **„აშშ-ს არაფერი ესაქმება სხვადასხვა ქვეყნის „ფერად რევოლუციებთან“!** — განაცხადა ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ტრამპმა. ამიტომ ცსს-მ იკისრა, დაერწმუნებინა ტრამპი, განეგრძო გრანტების გამოყოფა „რუსულ რბილ ძალასთან“ საბრძოლველად და „კრემლთან ჰიბრიდულ ომში“ გასამარჯვებლად ერთადერთი მიზნით — საქართველოში სამხედრო ბაზის გასახსნელად, რასაც პენტაგონი პრობლემად მიიჩნევს ქართველ საზოგადოებაში შექმნილი „არახელსაყრელი ატმოსფეროს“ გამო, რომელიც ცსს-ს ▶

ანალიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამერიკა ადამიანური სახით“ — პირობითად ასე დაარქვეს დირექტივა №66/6-G-ს, რომელიც საქართველოში რიგ ღონისძიებებს ითვალისწინებს. მათგან პირველი იყო აშშ-ის ელჩ იან კელის ზემოხსენებული „გულისამაჩუყებელი“ ვიდეომიმართვა და NDI-ს კვლევის შედეგები, რომლებიც, ამერიკის მთავარი დაზვერვის შტაბ-ბინაში რევიზიის შემდეგაც კი, „უმადური ქართველების ერთმორწმუნე რუსი ძმებისკენ სწრაფვაზე“ მიუთითებს.**

◀ აგენტი სააკაშვილის უკრაინაში გადაბარგებამ გამოიწვია.

ამ ამოცანას ცსს წარმატებით გაუმკლავდა — დოლარები ვაშინგტონიდან და ევროები ლონდონელი პარტნიორებისგან მტკვარივით ისევ წამოვიდა თბილისისკენ კარგად აპრობირებული სქემით.

## რისთვის სჭირდება აშშ-ს სამხედრო ბაზა საქართველოში

„Русский с китайцем — братья навек!“ — ეს პირველი სტრიქონია სიმღერისა „მოსკოვი-პეკინი“, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც „Сталин и Мао слушают нас“, ის ქართველმა კომპოზიტორმა **ვანო მურადელმა** 1949 წელს დაწერა პოეტ **მიხაილ ვერშინინის** ლექსზე და მას შემდეგ ამერიკისთვის რეკვიემივით ჟღერს...

2011 წლის 4 აპრილს News-24.az-თან ექსკლუზიურ ინტერვიუში განვაცხადე: „ყველა რევოლუცია, რომლებიც „არაბული გაზაფხულის“ სახელწოდებით არის ცნობილი, აშშ-ის მიერ იყო პროვოცირებული ერთადერთი მიზნით — ხელი შეეწყო ისლამური სამყაროს სახელმწიფოთა ახალ არაბულ სახალიფოში გაერთიანებისთვის ჩინეთის საპირწონედ. ჩინეთის დიდი კედლის წინაშე აღმართულმა გაერთიანებული ისლამური სახელმწიფოებისგან შექმნილმა ფუნდამენტურმა ბარიკადამ, ვაშინგტონის იდეით, უნდა გაანეიტრალოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მზარდი ძლევამოსილება და აშშ მისგან დაიცვას. ამ პროექტის დაწყებით აშშ გარკვეულ დროს მოიგებს, მაგრამ შემდგომ ახალი არაბული სახალიფოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან დაჯახების მცდელობა, შესაძლოა, კრახით დამთავრდეს“.

ასეც მოხდა: **ამერიკამ შექმნა ახალი არაბული სახალიფო — „ისლამური სახელმწიფო“ (ISIS), მაგრამ სირიაში მისი განადგურების შემდეგ ამერიკას უწინდებურად ეშინია ჩინეთის, ეკონომიკის განვითარების ბობოქარი ტემპების გამო, და კიდევ რუსეთის — რაკეტებისა და ატომური იარაღის გამო.** ჩინეთს საკმარისი სამხედრო რესურსი არ აქვს, რუსეთს კი — ეკონომიკური, იმისათვის, რომ ცალ-ცალკე დაუპირისპირდნენ აშშ-ს, მაგრამ კავშირში ისინი ერთმანეთს ავსებენ, ამასთანავე, რუსეთს ჩინეთში ნავთობი გააქვს, **ჩინეთი კი აშშ-ის ხაზინის ფასიანი ქაღალდების საკონტროლო პაკეტს ფლობს — 1,25 ტრილიონ დოლარზე მეტი ღირებულების ობლიგაციებს.**

ამიტომ **აშშ-ის მიზანია, ხელი შეუშალოს ჩინეთისა და რუსეთის კავშირს, აგრეთვე, ჩინეთის პარტნიორობას ნებისმიერ ქვეყანასთან, რომელიც რაღაცით მაინც უწყობს ხელს ჩინეთის ეკონომიკის განვითარებას. ერთ-ერთი ასეთი ქვეყანაა საქართველო.**

ღმერთმა რუსეთს ნავთობი მისცა, საქართველოს კი — გეოსტრატეგიული ტერიტორია, ამიტომ **საქართველოში სამხედრო ბაზის შექმნით აშშ:**

**1.** პრობლემებს შეუქმნის რუსეთს შავ ზღვასა და ჩრდილოეთ კავკასიაში;

**2.** პრობლემებს შეუქმნის საქართველოსა და ჩინეთის პარტნიორობას ფარგლებში პროექტისა „ერთი გზა — ერთი სარტყელი“;

**3.** სრულ კონტროლს დაამყარებს აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით თურქეთში და შემდეგ ევროპაში მიმავალ მილსადენებზე;

**4.** სრულ კონტროლს დაამყარებს ახლო აღმოსავლეთიდან საქართველოს გავლით თურქეთში და შემდეგ ევროპაში მიმავალ ნარკოტრანზიტზე;

**5.** გააკონტროლებს ახალ რკინიგზას „ყარსი-ახალქალაქი-ბაქო“, რომლის გამოყენებით შეძლებს სამცხე-ჯავახეთში შეტაკებების, ხოლო ყარაბაღში სრულმასშტაბიანი ომის პროვოცირებას, ამ კონფლიქტებში რუსეთის ჩასათრევად.

## ლორა ტორნტონის ტორტი

საერთაშორისო ურთიერთობათა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) „განვითარებად ქვეყნებში დემოკრატიის წინ წასაწევად“ აშშ-ის მთავრობის მიერ შექმნილი და დემოკრატიის ეროვნული ფონდის (NED) მიერ დაფინანსებული ამერიკული ორგანიზაციაა; დემოკრატიის ეროვნული ფონდი (NED) — ეს არის აშშ-ის კონგრესის მიერ „მსოფლიოში დემოკრატიისა და თავისუფლების ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობის“ მიზნით დაფუძნებული ამერიკული ორგანიზაცია. NED-ის დამფუძნებელმა **ალენ ვაინშტაინმა** 1991 წელს აღიარა: **„ბევრი რამ, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ადრე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საქმე იყო“.**

NDI-ს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, ჩეხი ებრაელი **იანა კორბელოვა** მსოფლიოში ცნობილია, როგორც აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი **მადლენ ოლბრაიტი,** რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა იუგოსლავიის დაბომბვას.

**NDI წარმოადგენს „აზრის ფაბრიკას“ (brains trust), იმიტომ, რომ მისი „გამოკვლევები“ სინამდვილეში საზოგადოებრივ აზრს კი არ იკვლევს, არამედ იმ რეალობის მოდელირებას ახდენს, რომლის ხილვა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს და CIA-ს უახლოეს მომავალში სურთ, ანუ სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგებს დამკვეთთა სურვილისამებრ და მათ სასარგებლოდ ერთი ნაბიჯით წინ აყალბებს (უფრო შორს ამერიკელ პოლიტიკოსთა და ანალიტიკოსთა ტვინები, როგორც უკვე ითქვა, „ვერ ქაჩავს“). ამით იყო დაკავებული საქართველოში NDI-ს წარმომადგენლობის ყოფილი ხელმძღვანელი ლუის ნავარო, ასეთივე „ტორტებს“ აცხობს მისი მემკვიდრე ლორა ტორნტონიც.**

## საქართველოს მოქალაქეები რუსეთს ირჩევენ

NDI-ს მიერ საქართველოში 29 ნოემბრიდან 1 დეკემბრის ჩათვლით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევის რეალური შედეგების მიღების შემდეგ, CIA-ში აღშფოთდნენ — **აშშ-ის მიერ საქართველოში ანტირუსულ პროპაგანდაზე დახარჯული ასობით მილიონი დოლარის მიუხედავად, საქართველოს „უმადური“ მოქალაქეები ხელისუფლებას არა აშშ-სა და ნატოსთან ვასალურ კავშირს უკვეთავენ, არამედ რუსეთთან და ევრაზიულ კავშირთან მეგობრობას.** ჩაფლავების გამოსასწორებლად CIA-ს პიარტექნოლოგებმა გადაწყვიტეს, აშშ-ის იმიჯი საქართველოს მოსახლეობისთვის უფრო მიმზიდველი გაეხადათ: **„ამერიკა ადამიანური სახით“ — პირობითად ასე დაარქვეს დირექტივა №66/6-G-ს, რომელიც საქართველოში რიგ ღონისძიებებს ითვალისწინებს. მათგან პირველი იყო აშშ-ის ელჩ იან კელის ზემოხსენებული „გულისამაჩუყებელი“ ვიდეომიმართვა და NDI-ს კვლევის შედეგები, რომლებიც, ამერიკის მთავარი დაზვერვის შტაბ-ბინაში რევიზიის შემდეგაც კი, „უმადური ქართველების ერთმორწმუნე რუსი ძმებისკენ სწრაფვაზე“ მიუთითებს.**




 აი, როგორ გამოიყურება NDI-ს ბოლო „გამოკვლევის“ ციფრები ლენგლიში დამუშავების შემდეგ:

*** გამოკითხულთა 29% საქართველოს „ევრაზიულ კავშირში“ შესვლის მომხრეა, ხოლო 60% — ევროკავშირში (1 წლის წინათ NDI-ს 2016 წლის გამოკვლევაში პროპორცია, შესაბამისად, 20% 77%-ზე იყო, ხოლო 2015 წლის გამოკვლევაში „ევრაზიულ კავშირში“ შესვლას გამოკითხულთა 31% ემხრობოდა, 41% კი წინააღმდეგი იყო).**

**ჩემი კომენტარი:** 1. ევროკავშირი არასდროს დაჰპირებია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს, მათ შორის, საქართველოს, ორგანიზაციის წევრობას — მხოლოდ ევროსაბჭოს წევრობას, ასოცირებას და ე.წ. ვიზალიბერალიზაციას დაჰპირდა, ამიტომ შეკითხვა დასაწყისშივე უაზროა;

**2.** „ევრაზიული კავშირისა“ და ევროავშირის დაპირისპირება, ანუ არჩევანის წინაშე დაყენება — ან რუსეთი, ან ევროპა — არაკორექტულია; იმიტომ, რომ რუსეთი საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის წინააღმდეგი არ არის;

**3.** შეკითხვა ამერიკულად უმეცრად არის დასმული — „ევრაზიული კავშირი“, რომელიც წევრი-ქვეყნების სრულფორმატიან ინტეგრაციას ითვალისწინებს, ჯერ ბუნებაში არ არსებობს. დღეს არსებობს მხოლოდ ევრაზიის ეკონომიკური კავშირი (ЕАЭС);

**4.** საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის ფასეულობა ასოცირდება მხოლოდ შენგენის ქვეყნებში უვიზოდ გამგზავრების შესაძლებლობასთან, დაბალკვალიფიციური შრომით არალეგალური საშოვრისთვის. დანარჩენი „ევროპული ფასეულობები“ საქართველოს მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის უცხოა.




*** გამოკითხულთა 26%-სთვის საქართველოს ნატოში შესვლა მიუღებელია, 64%-სთვის — მისაღები (NDI-ს 2016 წლის გამოკვლევაში პროპორცია იყო 19% 68%-ზე).**

**ჩემი კომენტარი:** 1. ნატოში არაერთხელ გაუსვეს ხაზი, რომ საქართველო ალიანსის სტანდარტებს ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს, ხოლო გაურკვეველ მომავალში მისი მისაღებად აუცილებელი იქნება ალიანსის ყველა წევრის თანხმობა. **იმის გათვალისწინებით, რომ ნატო აღიარებს „საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, რომელიც რუსეთმა ხელყო“, წესდების მე-5 პარაგრაფი კი ტერიტორიული პრობლემების მქონე ახალი წევრების მიღებას კრძალავს, საქართველოს მიღება ორგანიზაციის წესდების დარღვევასა და რუსეთთან ნატოს კონფლიქტს ნიშნავს, რაზეც ალიანსის არც ერთი წევრი ქვეყანა არ წავა;**

**2.** შეკითხვების დასმის საგანგებო მეთოდიკით საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება NDI-ს საფირმო საიდუმლოა ანგაჟირებულ გამოკითხვებში საჭირო პასუხების მისაღებად. მაგალითად, **„ნატოს წევრობა მისაღებია“** სულაც არ ნიშნავს, რომ „ალიანსში საქართველოს შესვლის მომხრეა“, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა მომდევნო შეკითხვაზე პასუხებმა, კერძოდ:

*** გამოკითხულთა 41%-ს მიაჩნია, რომ, სამხედრო თვალსაზრისით, რუსეთი აშშ-ზე ძლიერია, 15% თვლის, რომ რუსეთი და აშშ თანაბრად ძლიერები არიან, ხოლო 36% — აშშ რუსეთზე ძლიერია (NDI-ს 2016 წლის გამოკვლევაში შეკითხვაზე — რომელი ორგანიზაცია ან ქვეყანა უზრუნველყოფს ყველაზე უკეთ საქართველოს უსაფრთხოებას, 13%-მა რუსეთი დაასახელა, 10%-მა — აშშ, 23%-მა — ნატო, 13%-მა — ევროკავშირი).**

**ჩემი კომენტარი:** შეუძლებელია, რესპონდენტთა 64%-ს საქართველოს ნატოში შესვლა უნდოდეს, თუკი გამოკითხულთა უმეტესობა — 41% რუსეთს სამხედრო თვალსაზრისით უფრო ძლიერად მიიჩნევს, რაც პენტაგონმა ცოტა ხნის წინათ ორჯერ ოფიციალურად დაადასტურა და საპირისპიროდ სასწრაფოდ წარმოადგინა აშშ-ის ახალი ბირთვული დოქტრინა. არალოგიკურია აპრიორი უფრო სუსტი სამხედრო მოკავშირის არჩევა, როცა შეგიძლია, უფრო ძლიერი აირჩიო, რომელმაც სირიაში „ისლამური სახელმწიფო“ დაამარცხა.

*** გამოკითხულთა 39%-ის აზრით, საქართველო არასწორი მიმართულებით ვითარდება, 26%-ის აზრით — სწორი მიმართულებით, ხოლო 32% მიიჩნევს, რომ საქართველო საერთოდ არ ვითარდება.**

**ჩემი კომენტარი:** 2 298 გამოკითხულიდან უმრავლესობა არ ეთანხმება საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მიერ არის დეკლარირებული, როგორც უალტერნატივო. მათი რიცხვი უფრო მეტი იქნებოდა, თუ NDI თავს შეიწუხებდა და „პირდაპირი ინტერვიუს მეთოდით“ აფხაზებსა და ოსებსაც გამოჰკითხავდა და არ ჩაატარებდა „გამოკვლევას ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით“.

**რეზიუმე:**

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (CIA) მიერ ჩასწორებულ ციფრებს რომც დავუჯეროთ და ისიც ვირწმუნოთ, რომ NDI-ს კვლევის ცდომილება +/-1,9%-ს შეადგენს, დღეს საქართველოში „პრორუსულად“ განწყობილია 30%-40%. მოქალაქეთა ასეთი რაოდენობის სულელებად და „პუტინის ჯაშუშებად“ გამოცხადება, დაშინება, დაპატიმრება, წამებით სულის ამოხდა ან დახოცვა, როგორც ამას სააკაშვილი აკეთებდა, უკვე აღარ გამოვა.

**არნო ხიდირბეგიშვილი,**
**„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი**

ჩევლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„პოროშენკო და იაცენიუკი დამპირდნენ, რომ გადადგამდნენ ნაბიჯს გენერალური პროკურორის შესაცვლელად, მაგრამ ეს არ გააკეთეს. პრესკონფერენციაზე განვაცხადე: ჩვენ არ მოგცემთ მილიარდ დოლარს. მათ მითხრეს: არ გაქვთ ასეთი უფლებამოსილება. თქვენ პრეზიდენტი არ ხართ. პრეზიდენტმა თქვა, რომ მოგვცემს. ვუპასუხე: მაშინ დაურეკეთ მას. თქვენ ვერ მიიღებთ მილიარდ დოლარს. მე 6 საათის შემდეგ მივემგზავრები და, თუ ამ ხნის განმავლობაში გენერალურ პროკურორს არ გაათავისუფლებთ, ფულს ვერ მიიღებთ. და ეს ძაღლიშვილი გაათავისუფლეს. მის ადგილას კი დანიშნეს ის, ვისაც იმხანად ვენდობოდით“.**

# ...მამა ნახე, შვილი ისე გამონახე!





**საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა სოციალურ ქსელში სახოტბო სიტყვები არ დაიშურა საქართველოს ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მიმართ, რომელსაც 25 იანვარს 90 წელი შეუსრულდებოდა.**

„დღეს ქართველ პოლიტიკოსსა და სახელმწიფო მოღვაწეს, ედუარდ შევარდნაძეს 90 წელი შეუსრულდებოდა. მისი პოლიტიკური მოღვაწეობა სირთულეებით აღსავსე ეპოქას უკავშირდება. ედუარდ შევარდნაძემ გადადგა ის ნაბიჯები, რომლებითაც საქართველოს რეალური დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების შესაძლებლობები გაუჩნდა. ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს საქართველო გახდა ევროპის საბჭოს წევრი; მის სახელს უკავშირდება საქართველოს გაწევრება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში; უმნიშვნელოვანესი პროექტები — ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-სუფსა, ბაქო-თბილისი-ერზერუმი; სტამბოლის ეუთოს 1999 წლის სამიტი — ისტორიული შეთანხმება რუსული სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის თაობაზე, „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა. ედუარდ შევარდნაძის სახელს უკავშირდება პრაღის 2002 წლის ნოემბრის ნატო-ს სამიტზე ოფიციალურად გაცხადებული სურვილი გაწევრიანების თაობაზე. ედუარდ შევარდნაძე იყო მნიშვნელოვანი წარმომადგენელი მე-20 საუკუნის მსოფლიო პოლიტიკოსთა იმ თაობისა, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა „ცივი ომის“ დასრულების, ბერლინის კედლის დანგრევისა და ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების საქმეში. მისი სახელი მსოფლიოს დიდ პოლიტიკოსთა შორის დარჩება“, — დაწერა სოციალურ ქსელში **გიორგი კვირიკაშვილმა** თავის პოლიტიკურ მამაზე, რომელმაც, **მიხეილ სააკაშვილის** რეკომენდაციით, „მოქალაქეთა კავშირში“ მიიღო, დააფრთიანა და გზა გაუხსნა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსასვლელად, თუმცა კვირიკაშვილს, ეტყობა, დაავიწყდა (როგორც თავის დროზე „დაავიწყდა“, ვინ იყო თურქეთი საქართველოსთვის — მტერი თუ ისტორიული მეგობარი) შევარდნაძის სხვა დამსახურებები საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე. მაგალითად, მასობრივი დაჭერები ცკ-ის მდივნობის პირველ წლებში; 1991-92 წლებში სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების მხარდაჭერა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის — **ზვიად გამსახურდიას** განდევნა სამშობლოდან, შემდეგ კი მისი დევნა და მკვლელობა; უცხო ქვეყნების ჯარების შემოყვანა აფხაზეთსა (345-ე სადესანტო პოლკი) და სამეგრელოში (რუსი ადმირალის, ბალტინის საზღვაო ფლოტის ქვედანაყოფების); თბილისში ჩამოსვლის შემდეგ (1992 წ.) თვითმფრინავის ტრაპიდან იმ „ინტელიგენციისთვის“ მადლობის გადახდა, რომელმაც პუტჩი მოაწყო; სამეგრელოს ძარცვა-აოხრება „მხედრიონის“ მიერ, რომლის ხელმძღვანელ **ჯაბა იოსელიანთან** ერთად ე.წ. სამხედრო საბჭოს მეშვეობით მართავდა ქვეყანას. **თენგიზ კიტოვანის** ჯარების გაგზავნა აფხაზეთში და იქ ძმათამკვლელი ომის გაჩაღება, რომელიც ამ კუთხის დაკარგვად დაუჯდა ქვეყანას. უშუქობა, უდენობა, კუპონისა და ვაუჩერების შემოღება, შედეგად — სრულიად საქართველოს ძარცვა და მოსახლეობის გაღატაკება, ხოლო მისი „ბიზნესის კეთების ნიჭის“ მქონე ახლობლებისა და ნათესავების გამდიდრება; „მოქალაქეთა კავშირის“ შექმნა და იქიდან „რეფორმატორთა გუნდის“, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა, დაფრთიანება, რომელმაც 9 წლის განმავლობაში სისხლით კალო დააატრიალა ქვეყანაში...

ნათქვამია: „გარდაცვლილზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს, სიმართლის გარდა“, მაგრამ სიმართლის თქმით კვირიკაშვილი ხომ წყალში ჩაუყრიდა ედუარდ შევარდნაძეს იმ უზარმაზარ ღვაწლს, რომელიც მას საქართველოს „განვითარებაში“ აქვს შეტანილი?!

...მამა ნახე, შვილი ისე გამონახე!

**ნიკოლოზ აბაშიძე**

# ამერიკელების მიერ თავხედური მეთოდებით მართული უკრაინა

**როდესაც საუბრობენ, უკრაინის გარედან მართვაზე, მხედველობაში აქვთ ის, რომ ქვეყანას დასავლეთი აკონტროლებს გადამცემი მექანიზმების — საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროპის საბჭოსა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით, ხელისუფლებაზე გავლენის მოსაპოვებლად კი მათრახსა და თაფლაკვერის მეთოდს იყენებენ, თუმცა სხვა მეთოდებსაც.**



**ჯო ბაიდენის გულახდილობა მიუთითებს, რომ ამერიკა, ჩვეულებრივ, ცერემონიებს არ მიმართავს მათ მიმართ, ვინც ნებაყოფლობით თმობს თავის სუვერენიტეტს ამა თუ იმ მიზეზით**

ეს მეთოდები „ჯდება“ ხელით მართვის მკაცრ რეჟიმში, როცა მაღალი რანგის ამერიკელ მოხელეს თავხედურად შეუძლია, თავისი მითითებების შესრულება მოსთხოვოს ქვეყნის პირველ პირებს, თანაც, ოდესმე კი არა, აქვე და ახლავე.

**ჯო ბაიდენის გულახდილობა მიუთითებს, რომ ამერიკა, ჩვეულებრივ, ცერემონიებს არ მიმართავს მათ მიმართ, ვინც ნებაყოფლობით თმობს თავის სუვერენიტეტს ამა თუ იმ მიზეზით.** აშშ-ის საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოში გამოსვლისას ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა დახატა ისეთი გამაოგნებელი სურათი, რომელშიც თავხედობა, ცინიზმი და გულუბრყვილობა ადამიანისა, რომელსაც ვერ შეუგნია, რომ ასეთ რაღაცებზე, სჯობს, არ ილაპარაკოს, ერთმანეთში იყო არეული.

აი რა განაცხადა **ბაიდენმა:** „უკიდურესად შეშფოთებული ვარ კიევში კორუფციასთან ბრძოლის რეგრესიით. **აი ერთი კონკრეტული მაგალითი:**

მე უკრაინის დახმარება დამავალეს. როგორც მახსოვს, იქ ჩავედი, რათა დამერწმუნებინა ჩვენი გუნდი, რომ უკრაინისთვის გრძელვადიანი საკრედიტო გარანტიები მიგვეცა. კიევში 12-13-ჯერ მომიწია ჩასვლა. ბოლოს უნდა განმეცხადებინა, რომ ჩვენ ვთავაზობდით კიდევ მილიარდის კრედიტის გარანტიას. **პოროშენკო და იაცენიუკი დამპირდნენ, რომ გადადგამდნენ ნაბიჯს გენერალური პროკურორის შესაცვლელად, მაგრამ ეს არ გააკეთეს. პრესკონფერენციაზე განვაცხადე: თქვენ არ მოგცემთ მილიარდ დოლარს. მითხრეს: არ გაქვთ ასეთი უფლებამოსილება. თქვენ პრეზიდენტი არ ხართ. პრეზიდენტმა თქვა, რომ მოგვცემს. ვუპასუხე: მაშინ დაურეკეთ მას. თქვენ ვერ მიიღებთ მილიარდ დოლარს. მე 6 საათის შემდეგ მივემგზავრები და, თუ ამ ხნის განმავლობაში გენერალურ პროკურორს არ გაათავისუფლებთ, ფულს ვერ მიიღებთ. და ეს ძაღლიშვილი გაათავისუფლეს. მის ადგილას კი დანიშნეს ის, ვისაც იმხანად ვენდობოდით“.**

ბაიდენმა ისიც მოყვა, როგორ მოაწერა ხელი **ვიქტორ იანუკოვიჩის** განაჩენს მაიდანის მიმდინარეობისას და დაემუქრა, რომ ისტორია დასჯიდა. ის თავის მემუარებში იხსენებს, როგორ დაურეკა უკრაინის აწ უკვე ყოფილ პრეზიდენტს მას შემდეგ, რაც მაიდანზე აქტივისტების დახვრეტა დაიწყო, და ის ამ დახვრეტის ორგანიზებაში დაადანაშაულა. **მან ეს ეპიზოდიც თავხედური მანერით შეასრულა, ოღონდ, თუ პროკურორის შემთხვევაში ბაიდენს, შესაძლოა, შემთხვევით რაღაც წამოსცდენოდა სიტყვით გამოსვლისას, იანუკოვიჩთან საუბრისას მშვენივრად ესმოდა, რასაც აკეთებდა.**

კიდევ ერთი ციტატა: „იანუკოვიჩთან ჩემი მრავალი ზარიდან ბოლო 2014 წლის თებერვალში იყო. როცა მისი სნაიპერები უკრაინის მოქალაქეებს ხოცავდნენ და ჩვენ გვქონდა სარწმუნო ცნობები, რომ აპირებდნენ კიდევ უფრო სასტიკ დარბევას. რამდენიმე თვის განმავლობაში მივაპყრობდი მის ყურადღებას იმაზე, რომ თავშეკავებულობა გამოეჩინა თავისი მოქალაქეების მიმართ, მაგრამ იმ ღამეს, საპროტესტო აქციის დაწყებიდან სამი თვის თავზე, ვუთხარი, რომ ყველაფერი დასრულებულია. დადგა დრო, გაეწვია თავისი „ბოევიკები“ და ისიც წავიდა. მე შევახსენე იანუკოვიჩს, რომ მისი ერთადერთი რეალური მხარდამჭერები იყვნენ პოლიტიკური მხარდამჭერები და მანიპულატორები კრემლში და არ უნდა ელოდოს, რომ რუსი მეგობრები იხსნიან კატასტროფისგან. აღვნიშნე, რომ იანუკოვიჩმა დაკარგა უკრაინელი ხალხის ნდობა და ისტორია მკაცრ სასჯელს გამოუტანდა, თუ განაგრძობდა ადამიანების ხოცვა-ჟლეტას. დამცირებული იანუკოვიჩი მეორე დღეს უკრაინიდან გაიქცა“.

**გასაგებია, რომ იანუკოვიჩი ამერიკელებში სიმპათიას არ იწვევდა, მაგრამ ის სახელმწიფოს კანონიერად არჩეული პრეზიდენტი იყო და მასთან საუბრისას ელემენტარული თავაზიანობა მაინც უნდა გამოეჩინა, მაგრამ არც ბაიდენი და უკრაინის არც სხვა კურატორები ამის საჭიროებას ვერ ხედავდნენ. საერთოდ კი, როდესაც საუბარია ვასალებზე, ამერიკელები ზრდილობას არაფრად აგდებენ.** ამ საკითხზე შეიძლება გავიხსენოთ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე **ვიქტორია ნულანდისა** და უკრაინაში აშშ-ის ყოფილი ელჩის — **ჯეფრი პაიეტის** საუბრის აუდიოჩანაწერი, რომელიც ინტერნეტში გამოქვეყნდა.

**მოსაუბრეებს არც კი უცდიათ, შეენიღბათ თავიანთი ზრახვები რაღაც ფორმულირებებით. დაუფარავად და პირდაპირ მსჯელობდნენ საკითხზე, ვინ უნდა ჩასდგომოდა სათავეში უკრაინის მთავრობას და რომელი ფიგურები არ უნდა შესულიყვნენ მთავრობაში. ხოლო როდესაც პაიეტმა მიუთითა ევროკავშირის პოზიციაზე, რომელიც ამერიკელების პოზიციისგან განსხვავდებოდა, ნულანდმა ევროპელები სამ ასოზე გაგზავნა.**

თუმცა **ეს იყო კერძო საუბარი, რომლის მონაწილეებს ეჭვიც არ ჰქონდათ, რომ ის იწერებოდა და საზოგადოებისთვის ცნობილი შეიქნებოდა. ბაიდენმა კი გამოამზეურა დეტალები, როგორ აშანტაჟებდა უკრაინის მმართველებს, და არც დაფიქრებულა, რომ ეს ყველაფერი ღორული საქციელია.**

მაგალითები იმისა, რომ ამერიკელები მათი გავლენის ზონაში მყოფი ქვეყნების ხელისუფლებას ადამიანური მოპყრობის ღირსად არ თვლიან, საკმარისზე მეტია, მაგრამ უკრაინის შემთხვევა გვიჩვენებს, რომ თვით ამერიკელების თანამოსაუბრეებისადმი ასეთი მოპყრობა მისაღებია.

ერთნი ალაგებენ ჩემოდნებს და გარბიან, როცა ეუბნებიან, რომ დაისჯებიან, სხვები ეტევიან იმ რამდენიმე საათში, რომლებსაც აძლევენ გენპროკურორის გასათავისუფლებლად, რათა დაპირებული მილიარდიანი კრედიტი მიიღონ.

ბევრი რამ უცნობია, მაგრამ ეს რამდენიმე ეპიზოდიც საკმარისი საფუძველია, ვივარაუდოთ, რომ ადრე ჩართული ხელით მართვის რეჟიმი დღესაც მოქმედებს. იცვლებიან მხოლოდ პერსონები და არ იცვლება ურთიერთობის ხასიათი მსოფლიოს მბრძანებლობას მოწყურებულებსა და სატელიტ სახელმწიფოებს შორის.

**ანდრეი ბაბიცკი,**
ukraina.ru

სიმართლის გზით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მტერი კავკასიის მთებისკენ მოიწევდა. გერმანელმა ფაშისტებმა ფრონტის ხაზი გაარღვიეს და სერიოზულ წინააღმდეგობას აღარ აწყდებოდნენ. როდესაც მდგომარეობა კრიტიკული შეიქნა, სტალინმა კავკასიის დასაცავად მარშლები კი არ გაგზავნა, არამედ ბერია, მიუხედავად იმისა, რომ ის არასდროს ყოფილა პროფესიონალი სამხედრო.**

# ვინ და რატომ მალავდა ბერიას გაკეთებულ საქმეებს?

**ისტორია შეიძლება გიყვარდეს ან არ გიყვარდეს. ეს პირადი საქმეა, მაგრამ, თუ ადამიანს ნამდვილად სურს, პიროვნებად ჩამოყალიბდეს, თავისი ქვეყნის ისტორიას პატივი უნდა სცეს და არ დაყოს ის ცუდ და კარგ ისტორიად. მისი შეცვლა დიდი სისულელეა. ჩვენ მხოლოდ მომავლის შეცვლა შეგვიძლია. ადამიანს, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში (და არამხოლოდ) სხვადასხვანაირად აფასებენ (საინტერესოა, რომ სსრკ-ის, რუსეთის მტრები მის პიროვნებას მხოლოდ უარყოფითად აფასებენ), რუსმა რეჟისორმა იური როგოზინმა დოკუმენტური ფილმი მიუძღვნა — „ლავრენტი ბერია. დაბრუნება არარსებობიდან“. სწორედ ამ დოკუმენტური ფილმის ტექსტურ ვერსიას გთავაზობთ, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, შემდგომ — სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილისა და სსრკ-ის სახალხო კომისრების საბჭოს თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის მარშლის — ლავრენტი ბერიას პიროვნების უკეთ გასაცნობად.**



## სად იყო ბერია ომის დროს?

ომს ბერია სახალხო კომისრების საბჭოს (მინისტრთა საბჭო — ლ. მ.) თავმჯდომარის მოადგილის, ანუ ვიცეპრემიერის რანგში შეხვდა. რჩებოდა რა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად, ამასთანავე, კურატორობდა ქვანახშირის, ნავთობის, ხეტყის, ელექტროტექნიკურ მრეწველობებს, აგრეთვე, ფერად და შავ მეტალურგიას.

1941 წლის 30 ივნისს საბჭოთა კავშირში შეიქმნა მართვის საგანგებო ორგანო — თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი (თსკ), შედეგად ქვეყანაში ძალაუფლება მის ხელში იყო. თსკ-ში შევიდა ქვეყნის 5 უმაღლესი ხელმძღვანელი: **სტალინი** — კომიტეტის თავმჯდომარე, **მოლოტოვი** — თავმჯდომარის მოადგილე, **ვოროშილოვი, მალენკოვი და ბერია. 1953 წლის შემდეგ გამოცემულ ისტორიის სახელმძღვანელოებში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრების სიიდან ბერიას გვარი გააქრეს, თითქოს დიდი სამამულო ომის პერიოდში, ის, საერთოდ, არ არსებობდა.**

ომის დასაწყისში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა ბერიას დაავალა უაღრესად საჭირო საქმე — **ქარხნების ევაკუაცია.** მათი გადატანა რომ ვერ მოესწროთ, სსრკ ფაშიზმზე გამარჯვებას ვერაფრით გამოჭედავდა. მხოლოდ დილეტანტებს შეეძლოთ, სერიოზულად ელაპარაკათ, რომ ევაკუაცია იყო გმირული ექსპრომტი, ქარხნები ციმბირის თოვლში ღია ცის ქვეშ მუშაობდნენ. სინამდვილეში **ჯერ კიდევ 1920-იანი წლების ბოლოდან საბჭოეთის მთავრობას შემუშავებული ჰქონდა (და მასში რეგულარულად შეჰქონდა შესწორებები) სტრატეგიული ობიექტების ევაკუაციის საიდუმლო გეგმა ომის შემთხვევაში.** ამის მიუხედავად, ომის ქაოსურ პირობებში ყველაფრის თავმოყრა ბოლო ხრახნამდე, შეფუთვა, დატვირთვა და უმოკლეს ვადაში უზარმაზარი ქარხნების გადატანა ქვეყნის ერთი ბოლოდან მეორეში წარმოუდგენლად რთული საქმე იყო, მაგრამ **ბერიამ ეს შეძლო.**

**საინტერესო ეპიზოდი:** ბერია ჩუმად აპარებდა ხოლმე სტალინს ხელმოსაწერად ანგარიშებს ასიათასობით თექის ჩექმაზე, რომელთა საფასურიც უნდა გადაეხადა თავდაცვის კომიტეტს, რომელსაც ამასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა, მაგრამ სხვა უწყებებთან შედარებით ჰქონდა გაცილებით მეტი ფული და სახსრები. სტალინი კი ტექნიკურ საბუთებს გაუცნობლად აწერდა ხელს, თუ ადამიანს სრულად ენდობოდა. შემდეგ ეს თექის ჩექმები იგზავნებოდა ურალსა და ციმბირში, რადგან ადამიანებს, რომლებიც იქ მუშაობდნენ, თბილი ფეხსაცმელი არ ჰქონდათ.

გამოდის, **ბერია, რომელიც ყოველდღიურად წყვეტდა მასშტაბურ საკითხებს, ისეთ წვრილმან საკითხებსაც არ ივიწყებდა, როგორიც არის ჩექმები მუშებისთვის.**

1942 წლის თებერვალში ბერიას, აგრეთვე, დაავალეს თვითმფრინავების, ნაღმსატყორცნების, ქვემეხების, ძრავების, საომარი მასალების წარმოება, შემდეგ კი — ტანკებისაც. ბერიამდე ტანკების წარმოების ორგანიზებით დაკავებული იყო მოლოტოვი — სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. ერთ-ერთ თათბირზე სტალინმა ბერიას ჰკითხა: „როგორ ართმევს თავს ამ საქმეს მოლოტოვი?“ ბერიამ ყოველგვარი დიპლომატიის გარეშე უპასუხა, რომ მოლოტოვს კავშირი არ აქვს ქარხნებთან, ღრმად არ არის ჩახედული საწარმოების საქმეებში და ნაცვლად იმისა, რომ საკითხები ოპერატიულად გადაწყვიტოს, იწვევს ხანგრძლივ თათბირებს. ეს, რა თქმა უნდა, არ მოეწონა მოლოტოვს, მაგრამ დიდად არ უნაღვლია, რადგან სტალინმა ტანკების წარმოება ბერიას დაავალა და საქმეც სწრაფად დაიძრა ადგილიდან — **არნახულად მოკლე პერიოდში, 45 დღეში, ამუშავდა ახალი ტანკების კონვეიერი. ამასთანავე, ბერია კვლავ რჩებოდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პოსტზე. ის აკონტროლებდა დაზვერვას, კონტრდაზვერვას, დივერსიებს, პარტიზანულ მოძრაობას, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს. კარგად აღჭურვილი საჯარისო შენაერთები გმირულად იბრძოდნენ ფრონტზე, ხოლო კომისარიატის თანამშრომლები უზრუნველყოფდნენ წესრიგს ზურგში.**

1941-ში გერმანელებმა თავდაცვითი ზღუდეები გაარღვიეს და 10-15 კმ-ით მიუახლოვდნენ მოსკოვს, მაგრამ თვით დედაქალაქში ფაშისტების აგენტებმა ვერც ერთი დივერსიის მოწყობა ვერ შეძლეს.

ჰიტლერი იმედოვნებდა, რომ ომის დასაწყისში სსრკ-ში მწყობრიდან გამოვიდოდა ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და ქაოსი დაისადგურებდა. მართლაც ასე მოხდა. გზების სახალხო კომისარი **კაგანოვიჩი** საქმეს ვერ გაუმკლავდა და პოსტს ჩამოაშორეს. **თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში ტრანსპორტზე პასუხისმგებლობა ბერიას დააკისრეს და სატრანსპორტო სისტემა სწრაფად აღდგა.**

**ომის დასაწყისისთვის გერმანიას, რომლისთვისაც მუშაობდა ქედმოხრილი ევროპა, ჰქონდა 43 ათასი ქვემეხი, სსრკ-ს — 36 ათასი. ერთი წლის შემდეგ სსრკ დაეწია გერმანიას. 1944 წლის იანვარში კი ჰიტლერს 55 ათასი ქვემეხი ჰქონდა, სსრკ-ს — 89 ათასი. ამ იარაღის მწარმოებელ სახალხო კომისარიატებს ბერია კურატორობდა**

1942 წელს გერმანელები ვოლგამდე მივიდნენ და გადაჭრეს სარკინიგზო მაგისტრალი მდინარის მარჯვენა ნაპირზე. მაშინ **ბერიამ რელსები და შპალები მოხსნა ბაიკალ-ამურის მშენებლობიდან და მცირე ხანში ვოლგის მარცხენა ნაპირის გასწვრივ გაიყვანა სარკინიგზო ხაზი — ყიზლარი-ასტრახანი-სარატოვი. სწორედ ამის წყალობით, სტალინგრადთან კონტრშეტევის დაწყების წინ იქ გადაიტანეს ათასობით ვაგონი აუცილებლად საჭირო ტვირთისა.**

კიდევ ერთი მაგალითი: ომის ორი წლის განმავლობაში გერმანელებმა ვერ შეძლეს ზაპოროჟიეში დნეპრზე გამავალი სარკინიგზო ხიდის აღდგენა. გერმანელების სამხრეთის არმია დნეპროპეტროვსკის ერთადერთი ხიდის მეშვეობით მარაგდებოდა. **ამ საქმეში ყველაზე სწრაფებად ამერიკელები ითვლებოდნენ. მათ მდინარე რაინზე გადასასვლელი ხიდი შენების დიდი ტემპით (დღე-ღამეში 56 მეტრის) ააგეს. ბერიას მშენებლები კი 1943 წლის ნოემბერში დნეპრზე გადასასვლელ ხიდებს 1,5-ჯერ სწრაფად აშენებდნენ.**

**ომის დასაწყისისთვის გერმანიას, რომლითვისაც მუშაობდა ქედმოხრილი ევროპა, ჰქონდა 43 ათასი ქვემეხი, სსრკ-ს — 36 ათასი. ერთი წლის შემდეგ სსრკ დაეწია გერმანიას. 1944 წლის იანვარში კი ჰიტლერს 55 ათასი ქვემეხი ჰქონდა, სსრკ-ს — 89 ათასი. ამ იარაღის მწარმოებელ სახალხო კომისარიატებს ბერია კურატორობდა.** დიახ, ბერიას განკარგულებაში იყო შინაგან საქმეთა კომისარიატისა და სასაზღვრო ჯარები; დიახ, თვითონაც არაერთხელ გასულა ფრონტის წინა ხაზზე, მაგრამ სრულიად გაუგებარია, როდის მოასწრო მან სამხედრო საქმის ისე ზედმიწევნით შესწავლა, რომ შეძლო კავკასიის გადარჩენა 1942 წლის აგვისტოში. დაპყრობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ბაქო და ნავთობსაბადოები. მტერი კავკასიის მთებისკენ მოიწევდა. გერმანელმა ფაშისტებმა ფრონტის ხაზი გაარღვიეს და სერიოზულ წინააღმდეგობას აღარ აწყდებოდნენ. როდესაც მდგომარეობა კრიტიკული შეიქნა, სტალინმა კავკასიის დასაცავად მარშლები კი არ გაგზავნა, არამედ ბერია, მიუხედავად იმისა, რომ ის არასოდეს ყოფილა პროფესიონალი სამხედრო.

გაფრენამდე რამდენიმე საათით ადრე ბერიამ განკარგულება გასცა, სხვადასხვა ფრონტიდან შეეკრიბათ ქართველი ოფიცრები, მათი ნაწილი ბერიასთან ერთად ჩაჯდა თვითმფრინავში. დღე-ღამეში შეგროვდა 150 ალპინისტი, რომლებმაც შემდეგ ადგილზე გაანადგურეს გერმანელთა მოტორიზებული ქვეითი ჯარი. მისი ბრძანებით, კავკასიაში გადაისროლეს შინაგან საქმეთა კომისარიატის რამდენიმე სასაზღვრო ნაწილი. ბერიამ თანამდებობიდან გაათავისუფლა ფრონტის სარდალი, მარშალი **ბუდიონი,** სამხედრო საბჭოს წევრი **კაგანოვიჩი** და რამდენიმე გენერალი, რომელთა ბრალიც იყო კავკასიაში თავდაცვის ჩაფლავება. ბერიამ გამოიძახა ყველა რანგის მეთაური და პირადად მათგან მიიღო ინფორმაცია ვითარების შესახებ. ამის შემდეგ კი გადაწყვიტა, შეექმნა ორი არმია, რადგან ერთობლივი ფრონტით ყველა ამოცანას ვერ უმკლავდებოდნენ. მისი ბრძანებით, გადაიკეტა უღელტეხილები, რათა ხელი შეეშალათ მტრის გადაადგილებისთვის. დახმარების მისვლამდე საჭირო იყო დროის მოგება. შეკრიბეს სნაიპერების მობილური ჯგუფები, მისცეს მათ ახალდამზადებული უხმაურო შაშხანები ინფრაწითელი სამიზნეებით და ეს ჯგუფები მხოლოდ 1 დღე-ღამის განმავლობაში 500-ჯერ ჩაუსაფრდნენ მტერს. სნაიპერებმა გაანადგურეს გერმანელი მზვერავები და ფაშისტების სვლა დამუხრუჭდა. ამ დღეების განმავლობაში საბჭოთა კავშირის სარდლობამ შეძლო კავკასიაში ტანკებისა და რამდენიმე სამხედრო შენაერთის გადასროლა. გერმანელების საბოლოოდ შეჩერებამდე და ვითარების შეცვლამდე ბერია კავკასიაში იმყოფებოდა.

**სტალინმა ტანკების წარმოება ბერიას დაავალა და საქმეც სწრაფად დაიძრა ადგილიდან — არნახულად მოკლე პერიოდში, 45 დღეში, ამუშავდა ახალი ტანკების კონვეიერი. ამასთანავე, ბერია კვლავ რჩებოდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პოსტზე. ის აკონტროლებდა დაზვერვას, კონტრდაზვერვას, დივერსიებს, პარტიზანულ მოძრაობას**

1943 წლის 30 სექტემბერს იარაღის წარმოებაში შეტანილი საგანგებო წვლილისთვის ბერიას საბჭოთა კავშირის შრომის გმირის წოდება მიანიჭეს, 1944 წლის მაისში კი დანიშნეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ და ოპერატიული ბიუროს თავმჯდომარედ, რომელიც განიხილავდა ყველა მთავარ მიმდინარე საკითხს. ამრიგად, 1944 წლის გაზაფხულიდან ბერია ოფიციალურად გახდა მეორე კაცი საბჭოთა კავშირში.

**ეს ფილმი არის მე-20 საუკუნის ყველაზე საშინელი მისტიფიკაციის შესახებ, ყველაზე ბინძურ სიცრუეზე, რომელიც ოდესმე თავს დაუტეხავთ ერთი ადამიანისთვის. ისინი კი, ვინც ეს გააკეთა, კიდევ დიდხანს ცოცხლობდნენ, გემრიელად მიირთმევდნენ და მშვიდად ეძინათ. სიმართლის გზა გრძელი და მტანჯველია, მაგრამ, როგორც უნდა მალონ ის, როგორ ღრმადაც დამარხონ, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გამომზეურდება და მივა ადამიანებამდე. ბერიას არქივი განადგურებულია, მის შესახებ არსებული დოკუმენტები — ფალსიფიცირებული, მაგრამ ჩვენ არ შევეცდებით რაღაცის მტკიცებას ან უარყოფას. ჩვენ, უბრალოდ, მოგითხრობთ მის საქმეებზე, რომელთა უარყოფაც შეუძლებელია, ისევე, როგორც შეუძლებელია პატარა გორაკს დაარქვა ცასაწვდენილი იალბუზი“.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბოინგი“, რომელზეც ვსაუბრობთ, მიფრინავდა საფრენ ზონაში, რომელიც იმ მომენტში დახურული არ იყო — იქ შეუზღუდავად ფრენდა ყველა თვითმფრინავი — სამოქალაქო, საბრძოლო... „ბოინგმა“, სამოქალაქო დისპეტჩერებთან შეთანხმებით, მოულოდნელად შეცვალა ფრენის მარშრუტი — ეს ნამდვილად ასე იყო. ამას მე, ისევე, როგორც ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც შეეძლო, ინდიკატორს დააკვირვებოდა, პირადად ვხედავდი“.**

# ვინ ჩამოაგდო მალაიზიის «ბოინგი»?

**ტელეარხ „ზვეზდას“ მიმომხილველმა ალექსეი სამოლეტოვმა სენსაციური ინტერვიუ ჩამოართვა უკრაინის შეიარაღებული ძალების ყოფილ მაიორს — იური ბატურინს, რომელიც 2014 წლის ივნისში ხარკოვთან უკრაინის შეიარაღებული ძალების საზენიტო-სარაკეტო ნაწილს (A-1215) მეთაურობდა. ბატურინმა განაცხადა, რომ მოწმე იყო მალაიზიის „ბოინგის“ კატასტროფისა — ლაინერს მისი ჩამოგდების მომენტში, 2014 წლის 17 ივლისს, რადარებზე აკვირდებოდა და კავშირი ჰქონდა იმ სამხედრო მოსამსახურეებთან, რომლებსაც გადაჰქონდათ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „ბუკი“, რომლითაც, სავარაუდოდ, ჩამოაგდეს „ბოინგი“ რეისით MH17 — ამსტერდამი - კუალა-ლუმპური. დაიღუპა თვითმფრინავში მყოფი ყველა ადამიანი — 298 კაცი.**

**„ — როგორ მოხვდით უკრაინაში, რას საქმიანობდით?**

— ისტორია ტრადიციულია იმ ოჯახებისთვის, რომლებიც ცხოვრობდნენ პოსტსაბჭოთა სივრცეში. მამა ოფიცერი იყო, დედა — აღმზრდელი, მსახურობდნენ ციმბირში. მე იქ დავიბადე — ქალაქ კრასნოიარსკ-26-ში, მშობლების პენსიაზე გასვლის შემდეგ საცხოვრებლად გადავედით ხარკოვში, სადაც მოგვისწრო სსრკ-ის დაშლამ. იქ დავამთავრე სკოლა და ჩავაბარე სამხედრო უნივერსიტეტში, შემდეგ კი ვმსახურობდი ხარკოვში, სამხედრო ნაწილ A-1215-ში.

**— იმ მომენტში უკრაინაში რა თანამდებობა გეკავათ?**

— ჩემს თანამდებობას იმ მომენტში ეწოდებოდა სამხედრო ნაწილ A-1215-ის სამეთაურო პუნქტის უფროსი, ეს არის საზენიტო-სარაკეტო ჯარები.

**— როგორ მოიპოვეთ ინფორმაცია, რომლის შესახებ დღეს ვსაუბრობთ. თქვენი თანამდებობიდან გამომდინარე, ხელი მიგიწვდებოდათ საჰაერო სივრცის კონტროლის საშუალებებზე?**

— დიახ, როგორც სამეთაურო პუნქტის ხელმძღვანელი, ყველა ინფორმაციას ვიღებდი ამ რეგიონის საჰაერო სივრცეში ვითარების შესახებ.

**— ანუ თქვენ რადარზე ხედავდით ყველა თვითმფრინავს, რომლებიც ფრენდნენ იმ მომენტში?..**

— სამხედროები და სამოქალაქო დისპეტჩერები თვალს ადევნებენ ყველა საავიაციო საშუალებას, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქოს, რომლებიც ჰაერშია.

**— ე.ი., თქვენ, პირადად ხედავდით „ბოინგს“...**

— დიახ, ასე იყო.

**— ის ერთ ეშელონში მიფრინავდა, შემდეგ უცებ გადაიყვანეს სხვა ეშელონში...**

— „ბოინგი“, რომელზეც ვსაუბრობთ, მიფრინავდა საფრენ ზონაში, რომელიც იმ მომენტში დახურული არ იყო — იქ შეუზღუდავად ფრენდა ყველა თვითმფრინავი — სამოქალაქო, საბრძოლო... „ბოინგმა“, სამოქალაქო დისპეტჩერებთან შეთანხმებით, მოულოდნელად შეცვალა ფრენის მარშრუტი — ეს ნამდვილად ასე იყო. ამას მე, ისევე, როგორც ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც შეეძლო ინდიკატორს დაკვირვებოდა, პირადად ვხედავდი.

**— როდის მიაპყარით ყურადღება იმას, რაც დაემართა „ბოინგს“?**

— ჩვენი ყურადღების არეალში იყო ყველა თვითმფრინავი, რომლებიც საბრძოლო მოქმედებების ზონის თავზე ფრენდა, რადგან, ჩემი აზრით, ეს ნონსენსია, ყურადღება კი მაშინ მივაპყარით იმ მომენტში, როდესაც თვითმფრინავი დაიკარგა ინდიკატორებიდან — იყო აღნიშვნა, ნიშანი, და უცებ აღარ იყო.

**— თქვენ დაინახეთ, რომ ნიშანი დაიკარგა რადარების ეკრანებიდან, მაგრამ ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, „ბოინგს“ მიაცილებდა მეორე თვითმფრინავი, იყო კი ეს თვითმფრინავი?**

**— ინფორმაციის მიხედვით, რომელსაც ჩვენ ვხედავდით, იქ მხოლოდ სამოქალაქო თვითმფრინავი იყო. ინფორმაცია, რომელიღაც სამხედრო თუ სამოქალაქო თვითმფრინავზე, რომელიც მიაცილებდა რეის MH17-ს, ჩვენ არ გვქონია.**

**— მაშ ასე: ეკრანზე დაიკარგა „ბოინგის“ აღმნიშვნელი ნიშანი, შეგიძლიათ, ახსნათ, რატომ მოხდა ასე?**

— არის ორი ვარიანტი: პირველი — თვითმფრინავი დედამიწიდან გაშვებული საზენიტო რაკეტით ჩამოაგდეს, მეორე — თვითმფრინავმა ტექნიკური მიზეზების გამო განიცადა კატასტროფა. იქიდან გამომდინარე, შემდგომ როგორ განვითარდა მოვლენები, შემდეგ კი ჩემი სამეთაურო პუნქტის ტერიტორიაზე შემოვიდა 6-7 ტვირთგამწევი მანქანისგან შემდგარი კოლონა...

**— როდის მოხდა ეს?**

— „ბოინგის“ ჩამოვარდნიდან რამდენიმე დღის შემდეგ. მძღოლებთან საუბრის შემდეგ შევიტყვე, რომ ისინი დაკავებული იყვნენ 156-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკის ტექნიკის გადატანით სოფელ ზაროშჩენსკოეს რაიონში. ჩემი სამეთაურო პუნქტის ტერიტორიაზე კი იმიტომ გაჩერდნენ, რომ ის მოსახერხებელი გზაჯვარედინია, აგრეთვე, ტერიტორია, რომელზეც არის დიდგაბარიტებიანი მანქანების მანევრირების შესაძლებლობა. ისინი შემოვიდნენ ჩემს ტერიტორიაზე, როგორც მოსახერხებელ სატრანზიტო ადგილზე, რათა მოეწესრიგებინათ ტექნიკა, ცოტა დაესვენათ და განეგრძოთ გზა. სამხედროებთან საუბრის შემდეგ გასაგები შეიქნა, რომ სოფელ ზაროშჩენსკოეში იყო 156-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „ბუკი“.

**— 156-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკი — ესენი არიან უკრაინელი სამხედრო მოსამსახურეები.**

— დიახ, უკრაინელი სამხედრო მოსამსახურეები.

**— „ბუკი“, რომელზეც ვსაუბრობთ, იყო კოლონის შემადგენლობაში?**




**«მსოფლიოს მასობრივი საინფორმაციო საშუალებები, პრაქტიკულად, ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავეს გაჰყვიროდნენ, რომ რუსეთმა ჩამოაგდო სამგზავრო თვითმფრინავი და ამ მომენტში მოდის კოლონა, რომელიც დაკავებული იყო საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის ბაზის გადატანით. აქედან დასკვნას მხოლოდ ბრიყვი ვერ გამოიტანს»**



— ის იყო, როგორც ერთეული, რომლის ტრანსპორტირებასაც ეწეოდნენ. გადაჰქონდათ დაყენების წერტილში...

**— შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: რადარის ეკრანზე ლაინერის აღმნიშვნელი ნიშანი დაიკარგა ზუსტად ზაროშჩენსკოეს ტრაექტორიის მიმართულებით. თუ რაღაც სწორად ვერ გავიგე?**

— რადარის ეკრანზე ლაინერის აღმნიშვნელი ნიშანი დაიკარგა სოფელ ზაროშჩენსკოეში განლაგებული საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „ბუკის“ საზენიტო მართული რაკეტის მოქმედების ზონაში.

**— ანუ კატასტროფიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც დაიწყო საუბარი მიზეზებზე, უკვე გასაგები იყო, საიდან გაუშვეს რაკეტა?**

— ჩამოაგდეს „ბოინგი“. ყველა ამაზე ლაპარაკობს. უცებ მოდიან ეს ამხანაგები. ეს კოლონა შედგებოდა პლატფორმიანი „მაზებისგან“. მე მივიღე განკარგულება, შენთან კოლონა გაჩერდებაო. მოვიდნენ კონტრაქტორები... აი ასეთები (სავარძლის ხის სახელურზე აკაკუნებს — ლ.მ.).

საღამოს დაველაპარაკე:

— ბიჭებო, რა ხდება, რა გადაიტანეთ? სად იყავით, რა ნახეთ, რა მოისმინეთ?

— აი, „ბუკი“ გადავიტანეთ.

— სად გადაიტანეთ?

— იქ გადავიტანეთ...

— oო, საინტერესოა.

**— დავუბრუნდეთ დეტალებს. რა თქვეს მძღოლებმა იმ მანქანებისა, რომლებიც იყო კოლონის შემადგენლობაში?**

— ისინი მაინცდამაინც კომპეტენტურები არ იყვნენ ამ საკითხში. მათგან რაც საინტერესო შევიტყვე, იყო ის, თუ რას აკეთებდნენ, ვინ გადაიყვანეს იმ წერტილში, რომელიც, საორიენტაციოდ, იყო რეის MH17-ისკენ რაკეტის გაშვების ადგილი.

**— ანუ მათ ილაპარაკეს ზაროშჩენსკოეზე, იმაზე, რომ იქ იყო „ბუკი“ და იმაზე, რომ ის მათ გადაიტანეს.**

— აბსოლუტური სიმართლეა!

**— და სწორედ მაშინ „დაჯდა“ ფაზლის ყველა დეტალი თავის ადგილზე.**

— სწორედ მაშინ შეიქნა ყველაფერი გასაგები, სწორედ მაშინ დადგა ყველაფერი თავის ადგილას, სწორედ მაშინ შემრცხვა, მეტკინა. სწორედ მაშინ მომწიფდა გადაწყვეტილება, მიმეტოვებინა სამსახური და გადმოვსულიყავი. მსოფლიოს მასობრივი საინფორმაციო საშუალებები, პრაქტიკულად, ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავეს გაჰყვიროდნენ, რომ რუსეთმა ჩამოაგდო სამგზავრო თვითმფრინავი და ამ მომენტში მოდის კოლონა, რომელიც დაკავებული იყო საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის ბაზის გადატანით. აქედან დასკვნას მხოლოდ ბრიყვი ვერ გამოიტანს.

**— თქვენ არ შეგეძლოთ დედამიწიდან რაკეტის გაშვების ფიქსაცია?**

— არა, ჩვენ ეს არ შეგვეძლო.

**— მიუხედავად ამისა, რატომ მაინცდამაინც თქვენ დათანხმდით, დაგესახელებინათ ჭეშმარიტი მიზეზი იმისა, რაც მოხდა?**

— არა იქიდან გამომდინარე, რომ უნიკალური ვარ, არამედ იმიტომ, რომ ნებისმიერი ოფიცრისთვის ისეთი ცნებები, როგორიც არის ღირსება და სინდისი, პირველ ადგილზე უნდა იყოს, უბრალოდ, ჩემი ვალი მოვიხადე.

**— გესმით, რომ იმის გამო, რაც ახლა ილაპარაკეთ, დიდი პრობლემა შეგექმნებათ უკრაინის ტერიტორიაზე?**

— ამიტომაც ვარ აქ.

**— თქვენ ახლა, ფაქტობრივად, კოლოსალურ პრეტენზიას უყენებთ კიევის ხელისუფლებას, როდესაც ამბობთ, რომ ეს მათ ჩაიდინეს. თქვენ პასუხისმგებელი ხართ თითოეულ სიტყვაზე?**

— მე პასუხს ვაგებ ჩემ მიერ ნათქვამ თითოეულ სიტყვაზე და მსოფლიოს გასაგონად ვამბობ იმას, რაც ვიცი.

**— როგორც ვიცი, დღეს უკვე გადამდგარი ხართ, გათავისუფლებული დე ფაქტო.**

— მე ასე ვიტყოდი: გავთავისუფლდი დამოუკიდებლად.

**— რატომ?**

— მორალური პრინციპების გამო... მე მყავს ორი ბაბუა, რომლებიც მონაწილეობდნენ დიდ სამამულო ომში ფაშიზმის წინააღმდეგ. **და იმას, რაც ხდებოდა, ხდება და, ალბათ, ახლო მომავალშიც მოხდება (უკრაინაში — ლ.მ.), ნაციზმის, ფაშიზმის გარდა, ვერაფერს ვუწოდებ. ადამიანებისთვის, რომლებსაც აქვთ მორალური პრინციპები, ამასთან შეგუება მძიმეა. მე, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამას ვერ შევეგუე. და აი გავაკეთე ასეთი არჩევანი.**

**მოამზადებულია ტელეარხ „ზვეზდას“ მასალის მიხედვით**

**ჩვენ ვცხოვრობთ უსამართლო, დამთრგუნველ სისტემაში. „მეოცნებეთა“ ქვეყანაში ნაც-ქოცების საამებლად კახიმ (პატარა კახში არ შეგეშალოთ) თავისი ქვეშევრდომების ხელფასს პრემია-დანამატები მიუერთა, წინასაახალწლო დღეებში დედაქალაქის გასანათებლად კი სამი მილიონი დახარჯა და ახლა ანგარიში 2:0-ია, კახის სასარგებლოდ. თუმცა, საკითხავია, ვის კარში გაიტანა ბურთები თბილისის მერმა — „დიდმა“ კახიმ.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართველ ხალხს ქვეყნის სათავეში ამერიკის კიდევ ერთი მონა არ სჭირდება!

**ქართული ენა, კულტურა და ტრადიციები იდევნება საქართველოდან. ამ პროცესს სათავე დაუდო პირადობის მოწმობიდან ეროვნებისა და მამის სახელის გრაფების ამოღებამ. ეს ყოველივე ევროპული იდეოლოგიის დამსახურებაა, რათა უსქესო, უგულო, თავიანთი იდეების გამხმოვანებელ რობოტებად გვაქციონ. რუსეთში კი ქართულ სიმღერას, კულტურას პატივს სცემენ. რუსეთი ქართული სულიერების გაქრობით არ არის დაინტერესებული...**

დასავლეთის პოლიტიკა მიმართულია ქართველი ერის გენოციდისკენ, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება უწყობს ხელს. ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობაზე „ზრუნვის“ პოლიტიკის შედეგია ის, რომ უცხოელები, ქართველი მოხელეების დახმარებით, ჩვენს მოქალაქეებს კარმიდამოს ართმევენ, როგორც წაართვეს დიდი ხეივნის ქუჩაზე მცხოვრებ **გოჩა ვარდოსანიძეს.** ხარაგაულის რაიონის სოფელ ზვარეში, სადაც ჩინურ კომპანიას გვირაბი გაჰყავდა, ჩინელმა ერთი წლის წინათ სასიკვდილოდ სცემა ქართველ მუშას, მაგრამ ამისთვის პასუხისმგებლობა არ დაუკისრებიათ. აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანიის მესვეურები ქართველებს გაცილებით ნაკლებ ანაზღაურებას უხდიდნენ, ვიდრე ჩინელებს. არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია — „სახალხო ტრიბუნების“ პრეზიდენტი და „ეროვნული ღირსების დარბაზის“ ერთ-ერთი კოორდინატორი **მამისა ჯაფარაშვილი** განგაშის ზარებს არისხებს და აღნიშნავს, რომ უცხოელებს ქართველთა ჩაგვრის ხარჯზე სურთ საქართველოში დამკვიდრება. მისი ინფორმაციით, სიღნაღის რაიონის სოფელ ილიაწმინდაში არაბმა ქართველს ცოლი წაართვა და ბავშვების წართმევითაც იმუქრება. ეს ის არაბია, რომელსაც 2012 წელს **ხელისუფლებამ** 1500 ჰა მიწა გაუფორმა. ახლა კი იორი დააგუბა და არაბული სოფლის აშენებას აპირებს. დიახ, საქართველოს ხელისუფლებას მიზნად აქვს დასახული უცხოელებით ქართველთა ჩანაცვლება. ამ მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ მიწის ნაციონალიზაციით შეიძლება, რადგან, როცა მიწა უცხოელების ხელშია, ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს საფრთხე ექმნება. ჩვენი ხელისუფლება კი ახალი ტიპის მონათმფლობელურ წყობილებაში აბრუნებს ქართველებს. **ვახტანგ გორგასალმა** ირანელთა წინააღმდეგ ომში ჩრდილოკავკასიელები არ გამოიყენა, — საცხოვრებლად საქართველოში დარჩებიანო, რაც ქართველებისთვის საფრთხის შემცველი იქნებოდა. ამ ხელისუფლებამ კი ათასი ჯურის გადამთიელი შემოგვისია.

მივმართავ ნაც-ქოც ლიბერასტებს: **სამშობლოზე ვერასდროს გაიმარჯვებთ და საქართველო კიდევ იტყვის თავის სათქმელს!** ასე რომ, „ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა“.

რუსეთი ერთადერთი ნათელი წერტილია მსოფლიოში, მართლმადიდებლური ქვეყანა, რომელსაც შეიძლება დაეყრდნო და იყო დაცული, მაგრამ „ძალიან ეროვნულები“ გვაფრთხილებენ: ჩვენ არ უნდა ვიქცეთ რუსეთის დირექტივების შემსრულებლადო. **საინტერესოა: რუსეთის რომელმა დირექტივამ დააზიანა საქართველოს ინტერესები, განსხვავებით დასავლეთის დირექტივებისგან, რომლებიც ჩვენი სულიერების დასამარებისკენ არის მიმართული?**

ჩვენ უნდა განვთავისუფლდეთ დასავლეთის დირექტივებისა და იდეოლოგიისგან, მაგრამ საქართველოს არც



**«ძალიან ეროვნულები» გვაფრთხილებენ: ჩვენ არ უნდა ვიქცეთ რუსეთის დირექტივების შემსრულებლადო. საინტერესოა: რუსეთის რომელმა დირექტივამ დააზიანა საქართველოს ინტერესები, განსხვავებით დასავლეთის დირექტივებისგან, რომლებიც ჩვენი სულიერების დასამარებისკენ არის მიმართული?**

ერთ სახელმწიფო მოხელეს არ ჰყოფნის ღირსება და კაცური შემართება, საჯაროდ განაცხადოს ამის შესახებ. საზოგადოებას შევახსენებ ბელგიის პარლამენტის წევრ **ლორან ლუის** სკანდალურ გამოსვლას ბრიუსელში (2014 წელს), რომლითაც სისტემას დაუპირისპირდა: **„წადით, თქვენი... მემარჯვენე, მემარცხენე და ცენტრისტული, ე.წ. კეთილისმყოფელი პარტიებისა, კორუფციული ელიტის ფეხსაცმლის ლანჩის მლოკავებისა; წადით თქვენი, ყველასი... ვინც თამაშობს ბომბებით, წადით თქვენი... ვინც დემოკრატად ასაღებთ თავს და სინამდვილეში სისხლის სამართლის საზიზღარი დამნაშავეები ხართ!“...**

სამწუხაროდ, ჩვენს პარლამენტში „ენძელები“ ყვავიან და ხალხისთვის არ სცალიათ. „საქართველოს სათავეში არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან სამარეში ჩაჰყვნენ ამერიკას და საქართველოც ჩააყოლონ“, — თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში პოლიტოლოგმა **ჰამლეტ ჭიპაშვილმა.** ასეთი ადამიანები ოპოზიციაშიც ლაღად გრძნობენ თავს — „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა **თარხან-მოურავმა** „ობიექტივის“ ეთერში განაცხადა: ჩვენ უნდა ვაღიაროთ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად და ჩვენი პარტნიორი უნდა იყოს ამერიკა და ისრაელიო. საზოგადოებას ეყო გონიერება და მხარი არ დაუჭირა ამ პარტიას. ხელისუფლებაში რომ ყოფილიყო ამერიკასთან უკეთეს პარტნიორობაზე მეოცნებე პატრიოტი, მუსლიმურ სამყაროს მტრად გადაგვკიდებდა, რადგან მუსლიმებმა ტერაქტების მოწყობა დააანონსეს იმ ქვეყნებში, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ამერიკის რეზოლუციას. შემდეგ ტერაქტების გამჩაღებელთა წინააღმდეგ ნატოს ჯარებს (რომელზეც, 20 წელია, ოცნებობენ) შემოიყვანდა და საქართველოს ომის კერად აქცევდა. სამაგიეროდ, ყოველდღე მის ქადაგებას მოვისმენდით და მოძღვარიც აღარ დაგვჭირდებოდა.

**ქართველ ხალხს ქვეყნის სათავეში ამერიკის კიდევ ერთი მონა არ სჭირდება!**

პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე დაბალი საარსებო მინიმუმი საქართველოს მოსახლეობას აქვს, საქართველოს ხელისუფლება კი მაღალი ანაზღაურებით გამოირჩევა. **სტალინის** (სტალინი პოლიტიკური სცენიდან არ უჩინარდება, რადგან მის იდეებს ალტერნატივა არ აქვს და 30-წლიან სტალინურ პერიოდში ქვეყნის გასავითარებლად ისეთი ნახტომები განახორციელდა, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს) პერიოდს ვერ შევადარებთ, როცა მუშის ანაზღაურება ცეკა-ს მდივნის ხელფასს უტოლდებოდა, მაგრამ **ბრეჟნევის** ეპოქასთან შედარებით მინიმალური ხელფასი 700 ლარი უნდა იყოს, პენსია — 400-500 ლარი.

ჩვენ ვცხოვრობთ უსამართლო, დამთრგუნველ სისტემაში. „მეოცნებეთა“ ქვეყანაში ნაც-ქოცების საამებლად **კახიმ** (პატარა კახში არ შეგეშალოთ) თავისი ქვეშევრდომების ხელფასს პრემია-დანამატები მიუერთა, წინასაახალწლო დღეებში დედაქალაქის გასანათებლად კი სამი მილიონი დახარჯა და ახლა ანგარიში 2:0-ია, კახის სასარგებლოდ. თუმცა, საკითხავია, ვის კარში გაიტანა ბურთები თბილისის მერმა — „დიდმა“ კახიმ.

ამ მოვლენებს ჩემი თანამოაზრე, გურჯაანელი მეურნე **მერაბ ზურაბაშვილი** დიდი **ლადო ასათიანის** მკვდრადშობილად შერაცხილი (ლიბერასტ ლევან ბერძენიშვილის მიერ) ლექსის პერიფრაზით გამოეხმაურა:

**„ჰეი, თქვენ, ღორისშვილებო, გაუმაძღარნო ვერცხლითა,**

**თქვენს საფლავებზე მოსვლა და ზედ დაფურთხება მომინდა!“**

აი ეს არის თქვენი განაჩენი, სამშობლოს გამყიდველო ნაცქოცებო! აბა, მუხლს ვინ მოიდრეკს თქვენს საფლავთან, როცა საქართველოს ისტორიულ მტრებს, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლას უამრავმა ქართველმა ვაჟკაცმა შესწირა სიცოცხლე, საქართველოში ამკვიდრებთ?!

დასასრულ, ჩემი თანამოაზრეებისთვის გულისგასახარელ, ხოლო ლიბერასტებისთვის კიდევ ერთ კუჭისამშლელ ანტინატოურ გზავნილს ვთავაზობ საზოგადოებას — **მეტი სტალინი საქართველოში!**

**იზა თამაზაშვილი**

---

# საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი კობახიძეს

# საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს, ქალბატონ მარიამ ჯაშს

# საქართველოს პარლამენტის წევრებს



**პატივცემულო პარლამენტის თავმჯდომარევ,**
**პატივცემულო პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარევ,**
**პატივცემულო პარლამენტის წევრებო!**

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ კაცობრიობის ისტორიაში არაერთი ენა გამქრალა. ფაქტია ისიც, რომ გამქრალ ენებზე მოლაპარაკე ხალხებმაც დროთა განმავლობაში ასიმილაცია განიცადეს, რაც, დამეთანხმებით, გაქრობის ტოლფასია. ალბათ, მოგეხსენებათ, რომ, თუ გაქრება ენა, მოკვდება ხალხიც. ეს პრობლემა, ათასეული წლებია, დამოკლეს მახვილივით კიდია კაცობრიობის თავზე და მომაკვდინებელ საშფრთხეს წარმოადგენს განსაკუთრებით მცირერიცხოვანი ხალხებისა თუ ეთნოსებისთვის. უკვე ოცდამეერთე საუკუნეა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით უკეთესობისკენ ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა, უფრო პირიქით, რადგან გლობალიზაციის ამ ყოვლის მანიველირებელ ეპოქაში უფრო ძალუმად იგრძნობა ამა თუ იმ ენის გაქრობის რეალური საშიშროება. ერთი სიტყვით, რაც დრო გადის, საკითხი უფრო აქტუალური ხდება. კაცობრიობას ისღა დარჩენია, როგორმე წინ აღუდგეს ამ სავალალო ტენდენციას.

ამ მცირე შესავლის გაკეთება იმიტომ მომიწია, რომ აუცილებლად მივიჩნევ, თქვენი ყურადღება გავამახვილო უმნიშვნელოვანეს და უაღრესად პრობლემურ საკითხზე.

ჩვენდა საუბედუროდ, შესაძლოა, უახლოეს ათწლეულებში საერთოდ გაჰქრეს მეგრული, ლაზური, სვანური ენები. თვით სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე ქართულ ენასაც კი ემუქრება სერიოზული საფრთხე, თორემ სავსებით ბუნებრივი და ლოგიკურიცაა ყოველგვარი დამცავი მექანიზმების გარეშე დარჩენილ ქართველურ, ანუ კოლხურ-იბერიულ (მეგრული, ლაზური, სვანური) ენებს მეტად სავალალო ხვედრი რომ ელოდება. მოკლედ, ძალიან რომ არ გამიგრძელდეს, აუცილებელია საერთოეროვნული ტრაგედიის თავიდან აცილება. ქვეყნის ხელისუფლება, **მთავრობა ვალდებულია, სერიოზულად დაფიქრდეს ამაზე და დაუყონებლივ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები გაქრობის საფრთხის წინაშე მდგარი ჩვენი ენობრივი კულტურის, ანუ კოლხურ-იბერიული ენების გადასარჩენად. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პარლამენტის გადაწყვეტილებით დაუყოვნებლივ შეიქმნას სპეციალური და კომპეტენტური კომისია, რომელიც ზემოაღნიშნული ენების დაცვა-განვითარების უზრუნველსაყოფად შეიმუშავებს ყოვლისმომცველ კომპლექსურ პროგრამას.** კომისია დაკომპლექტებულ უნდა იქნას ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით და მასში აუცილებლად უნდა ჩაერთონ ენათმეცნიერები, მწერლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და ა. შ.

დრო არ ითმენს. არ უნდა დავუშვათ არსებული პრობლემატიკის გარშემო ესკალაციის პროვოცირება. პრობლემა გადაწყვეტილ უნდა იქნას ზოგადეროვნულ და ზოგადსახელმწიფოებრივ კონტექსტში.

დასასრულ, იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენი ეს მიმართვა არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

უფალი ფარავდეს ეროვნულ-ტრადიციული ფასეულობებისა და კოლხურ-იბერიული თვითმყოფადობის უმთავრესი გამოხატულების — ენობრივ-ლექსიკური საუნჯის დაცვა-შენარჩუნებაზე ორიენტირებულ საქართველოს.

**პატივისცემით,**

**ზურაბ კვარაცხელია,**
**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ რეგიონული რწმუნებული**

**P.S. ძვირფასო თანამემამულენო, ამ მიმართვის შინაარს თუ ეთანხმებით, გთხოვთ, ტექსტი დააკოპიროთ, მასზე ინდივიდუალურად ან კოლექტიურად ხელი მოაწეროთ და ელექტროფოსტის — contact@parliament.ge მეშვეობით გაგზავნით პარლამენტში. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია სპეციალური კომისიის შესაქმნელად.**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საბჭოთა კავშირში განხორციელებული გარდაქმნა მოსკოვსა და ბალტიის რესპუბლიკებში „ხავერდოვანი“ რევოლუციების კანონებით მიმდინარეობდა. სპეციალურად ცდილობდნენ, აეძულებინათ არმია და მილიცია, გამოეყენებინათ ძალა „რევოლუციონერების“ წინააღმდეგ. პროვოცირება ვერ შეძლეს, რადგან ძალოვან სტრუქტურებში დისციპლინა ჯერ კიდევ მტკიცე იყო. „მხედრიონის“ ძალადობრივი მოქმედების ორგანიზება თვით ხელისუფლებას მოუწია.**

# ნარინჯისფერი ნაღმი

**ახალი მსოფლწესრიგის დოქტრინიდან გამომდინარე იშლება ეროვნული სახელმწიფოებრიობა, რომელსაც მარიონეტული მთავრობები ჩაენაცვლება. ამისთვის გამოყენებული პოლიტტექნოლოგიები „ფერადი“ რევოლუციების სახელით არის ცნობილი.**
**წიგნში, რომლის ადაპტირებულ თარგმანს დღეიდან გთავაზობთ „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს, განხილულია ამ ტიპის რევოლუციების ფილოსოფიური და კულტურული წანამძღვრები, მათი სოციალური ბაზა და ტექნიკური ხერხები, დაფინანსებისა და ორგანიზების საშუალებები, მოკლედ მიმოხილულია „ფერადი რევოლუციების“ წარმოქმნისა და განვითარების დოქტრინის ისტორია და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებრიობის უსუსრობის მიზეზები. მკითხველი უთუოდ დაინტერესდება ამ ნაშრომით, რადგან იგი ნათელს ჰფენს „ვარდების“ რევოლუციის სახელით საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების იმ სიღრმისეულ საკითხებს, რომელთა შესახებ ჩვენთან დუმილს ამჯობინებენ.**





სერგეი ყარა-მურზა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-2 (425-426)

**ინტიფადის მთავარი პრინციპია უწყვეტობა და ძალადობაზე უარის თქმა. მოქმედი პირები არიან ბავშვები და მოზარდები.**

როცა ტელევიზიით გვიჩვენებენ სცენებს, როგორ ესვრიან ბიჭები ქვებს ისრაელელ ჯარისკაცებს, უნდა გავიგოთ, რა ხდება ამ დროს.

როცა ბავშვები და ყმაწვილები გამოდიან შეიარაღებული ჯარისკაცების წინააღმდეგ, ისინი აუტანელ სტრესს განიცდიან. ამ სტრესის განსამუხტავად მათ უფლება მისცეს, ესროლათ ქვები, მაგრამ ისე, რომ არ დაეზიანებინათ ჯარისკაცები. ასეც მოხდა — ისრაელელი ჯარისკაცები ფიზიკურად არ დაზიანებულან, მაგრამ გაირკვა, რომ მათი მორალური სიმტკიცე, ბავშვების მიერ გაწეული წინააღმდეგობის გამო, უაღრესად დასუსტდა. ცნობილმა ისრაელელმა სამხედრო ისტორიკოსმა *(წიგნში მისი გვარი დასახელებული არ არის. — მთარგმნ.)* აღნიშნა, რომ ვითარდება პროცესი, როცა „მსოფლიოში ერთ-ერთი კარგი არმია სწრაფად დეგრადირდება მეოთხე ხარისხის პოლიციურ ძალად“. მისი შეფასებით, ინტიფადის შედეგად ისრაელის არმია ომში იმაზე უკეთესი არ იქნება, როგორიც იყვნენ არგენტინელები მალდივის კუნძულებზე. რით უპასუხეს სიონისტებმა ბავშვების რევოლუციას? თავდაპირველად — სამარცხვინოდ. „ნიუ იორკ თაიმსის“ მიმომხილველმა პალესტინის საკითხებში — **ფრიდმანმა** პალესტინელი მოზარდები გააფრთხილა: „ერთი ჩვენგანიც თუ მოხვდება ჰოსპიტალში, 200 თქვენიანი სასაფლაოზე აღმოჩნდება“. ინტიფადა 1987 წლის დეკემბერში დაიწყო, 1989 წლის დეკემბრისთვის კი, გაეროს ოფიციალური მონაცემებით, ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ორი ათასი ბავშვი და ყმაწვილი დაიღუპა.

სადიზმმა, რომლითაც ბავშვებს ეპყრობოდნენ, შეძრა ისრაელიანები. ფილოსოფოსმა **ავიშეის მარგალიტმა** ასე ახსნა ეს ანომალია: მთავარია, არაბებს გაუღვივონ სიძულვილი და აიძულონ **ძალადობასა და ტერორიზმზე გადასვლა.** ეს იყო ისრაელის დემორალიზებული საზოგადოების კონსოლიდაციისა და მის თვალში ხელისუფლების ლეგიტიმურობის განმტკიცების ხისტი ვარიანტი.

ამრიგად, ინტიფადა წარმატებული იყო: მან გახლიჩა ისრაელის საზოგადოებრიობა.

**საბჭოთა კავშირში განხორციელებული გარდაქმნა მოსკოვსა და ბალტიის რესპუბლიკებში „ხავერდოვანი“ რევოლუციების კანონებით მიმდინარეობდა. სპეციალურად ცდილობდნენ, აეძულებინათ არმია და მილიცია, გამოეყენებინათ ძალა „რევოლუციონერების“ წინააღმდეგ. პროვოცირება ვერ შეძლეს, რადგან ძალოვან სტრუქტურებში დისციპლინა ჯერ კიდევ მტკიცე იყო. „მხედრიონის“ ძალადობრივი მოქმედების ორგანიზება თვით ხელისუფლებას მოუწია.**

1991 წლის „პუტჩი“ ვილნიუსში ასე განხორციელდა: ლიტვის რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელის, **ლანდსბერგისის,** გადაწყვეტილებამ ფასების უაზროდ გაძვირების შესახებ მუშების (უმთავრესად — რუსების) უკმაყოფილება გამოიწვია. ეს გადაწყვეტილება მაინცდამაინც აღდგომას გამოქვეყნდა. მავანთა მიერ გახელებული ბრბო ლიტვის სსრ-ის უმაღლესი საბჭოს შენობისკენ მიემართება. ამ შენობას იმ დღეს რატომღაც არავინ იცავდა. ბრბოს დამატებით პროვოცირებას ახდენენ შენობაში მყოფნი, რომლებიც მოჯარულ ხალხს გათბობის სისტემის ცხელ წყალს ასხამენ. არავინ დაზიანებულა, მაგრამ დაძაბულობა უკიდურესად მძაფრდება. დემონსტრანტები ქვებს უშენენ შენობას, ამსხვრევენ ფანჯრებს.

ფასების გაძვირებას დაუყოვნებლივ აუქმებენ, მაგრამ არეულობა უკვე დაწყებულია, **რადიოთი მოუწოდებენ ლიტველებს, ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ პარლამენტის დასაცავად. ხალხი ჩამოდის, თავდაცვის პოზიციებს იკავებს და ამ დროს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ქვედანაყოფები იწყებენ აბსურდულ მოქმედებას — ტანკების გრუხუნით, ფუჭი გასროლებით, მსუბუქ მანქანებზე გადავლით შეუტევენ ვილნიუსის სატელევიზიო ანძას.** ეს შტურმი უაზრობაა, რადგან მეზობლად, კაუნასში მოქმედებას განაგრძობს მძლავრი ტელეცენტრი, ხოლო ვილნიუსის ტელეანძის დაცვა წინა დღით სამკაციან პატრულს შეეძლო. თვით ვილნიუსში „ოკუპანტები“, რომლებმაც ტელეანძა ხელთ იგდეს, უარს ამბობენ ავტომატური რადიოგადამცემების გათიშვაზე, რომლებითაც ხალხს ბარიკადებისკენ მოუწოდებენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ რადიოგადამცემების მისამართები ცნობილი იყო.

**შტურმის შედეგად იღუპება 14 ადამიანი (რომლებიც „უცნობმა სნაიპერებმა“ მოკლეს და არა სამხედროებმა). ეწყობა რიტუალური დაკრძალვები. პრაქტიკულად ლიკვიდირებულია ლიტვის კომპარტია და ყველა კონსერვატიული ძალა, რომლებსაც საზოგადოებრივი აზრი პუტჩისტებს მიაკუთვნებდა, იწყება რადიკალი დემოკრატების კონტრშეტევა მოსკოვში. ლიტველი „გარდამქმნელების“ მდგომარეობა ძლიერდება ვილნიუსში ხელისუფლების „ძალადობის“ წყალობით, რომლის დროსაც განხორციელდა დემონსტრაციულად უხეში ქმედება და რომელსაც შეეწირა ლიტველების გამაერთიანებელი მსხვერპლი — ადამიანების სიცოცხლე.**

**რაც უფრო ღრმაა საზოგადოებრივი დაპირისპირება, რომელიც «ხავერდოვან რევოლუციაში» ჩაბმულ მოქალაქეთა უკმაყოფილებას იწვევს, მით მეტია თვითორგანიზაციის უკონტროლო ელემენტები; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მით ნაკლებად «ხავერდოვანი» ხდება ასეთი რევოლუცია. ზოგჯერ ეს «არახავერდოვანი» თვისება მალე იჩენს თავს და უპირატესი ხდება**

იმავე სცენარით, მაგრამ ფუჭი გასროლების გარეშე, უბედური შემთხვევის გამო დაღუპული სამი ახალგაზრდით (აგრეთვე — საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრ **პუგოსა** და მისი ცოლის „თვითმკვლელობით“) განხორციელდა მოსკოვში „გე-კა-ჩე-პეს პუტჩი“ 1991 წლის აგვისტოში.

„პუტჩის ლიკვიდაციის“ პირველი დღეების ეიფორიის შემდეგ ცნობილმა პუბლიცისტმა **ა. ბოვინმა** ვოლტერის მიბაძვით განაცხადა: „ეს პუტჩი რომ არ ყოფილიყო, უნდა გამოგვეგონებინა!“

როცა „ხავერდოვანი რევოლუციით“ ხელისუფლების დამხობის პროცესი გადამწყვეტ ფაზაში შედის, ბრბოს მოქცევა არაძალადობრივი მოქმედების ჩარჩოებში ფრიად ძნელი ხდება. **ჯინ შარპის** „სასწავლო საშუალებაში“ ნათქვამია: „რადგან არაძალადობრივი ბრძოლა და ძალადობა პრინციპულად განსხვავებული საშუალებებით ხორციელდება, კამპანიის მსვლელობისას პოლიტიკური დაუმორჩილებლობის შეზღუდული ძალადობრივი წინააღმდეგობის გაწევა მავნებელი იქნება, ეს ბრძოლას გადაიყვანს იმ სფეროში, რომელშიც დიქტატორებს გადამწყვეტი უპირატესობა აქვთ (შეიარაღება). არაძალადობრივი მოქმედების დისციპლინა წარმატების საწინდარია და იგი უნდა დავიცვათ, დიქტატორებისა და მათი აგენტების პროვოკაციებისა და დაუნდობლობის მიუხედავად“.

რაც უფრო ღრმაა საზოგადოებრივი დაპირისპირება, რომელიც „ხავერდოვან რევოლუციაში“ ჩაბმულ მოქალაქეთა უკმაყოფილებას იწვევს, მით მეტია თვითორგანიზაციის უკონტროლო ელემენტები; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მით ნაკლებად „ხავერდოვანი“ ხდება ასეთი რევოლუცია. ზოგჯერ ეს „არახავერდოვანი“ თვისება მალე იჩენს თავს და უპირატესი ხდება. ასე მოხდა, მაგალითად, 1956 წლის უნგრეთის მოვლენებისა და პოლონეთის „სოლიდარობის“ ჩამოყალიბებისას.

სხვა შემთხვევაში „ხავერდოვანი“ ტექნოლოგია ისე ეფექტიანი და საზოგადოების კულტურის შესაბამისი ხდება, რომ მისი რევოლუციური ნაწილი თვითონ მიისწრაფვის არაძალადობრივი მოქმედების ჩარჩოებში დასარჩენად და ამუხრუჭებს რადიკალებს — ასე იყო პალესტინის ინტიფადის დროს და აპარტეიდის რეჟიმის ლიკვიდაციის დროსაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. სწორედ ასეთ შემთხვევაში ცდილობენ რევოლუციის მოწინააღმდეგე ძალები კონფლიქტის რადიკალიზაციას და აწყობენ პროვოკაციებს; სტიმულს აძლევენ, ქმნიან კიდეც შეიარაღებულ ჯგუფებს, რომლებიც ძალადობის აქტებს (მათ შორის — ტერორისტულს) განახორციელებენ. ეს გათიშავს საზოგადოებას, მის ნაწილს ჩამოაცილებს რევოლუციას. ინტიფადის დროს ამ როლს ასრულებენ ტერორისტები, რომლებიც ისლამის დროშით გამოდიან, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში — ტომების ტერორისტული რაზმები.

უიშვიათეს შემთხვევებში, პირიქით — კონტროლს დაქვემდებარებული ძალადობრივი მოქმედება ბიძგს აძლევს „ნარინჯისფერი“ ბრბოს აღგზნებას, რომელიც სახელმწიფო გადატრიალებას განახორციელებს, როგორც ეს მოხდა 1989 წელს რუმინეთში **ჩაუშესკუს** დამხობისას, შემდეგ კი საბჭოთა სახელმწიფოების ლიკვიდაციის დროს — 1991 წელს (1991 წლის აგვისტოს პუტჩი).

1980-იან წლებში დასავლეთის დიდ სახელმწიფო და ნახევრადსახელმწიფო დაწესებულებებში შეისწავლიდნენ „ხავერდოვანი“ რევოლუციების ორგანიზებისა და ტექნოლოგიის საკითხებს. მათ შორის არის **ალბერტ აინშტაინის** ინსტიტუტი (ააი), რომლის სამეცნიერო ხელმძღვანელია ზემოთ ციტირებული ჯინ შარპი.

ეს ინსტიტუტი დაარსდა 1983 წელს აშშ-ში. ოფიციალურ დეკლარაციაში მის მიზნად დასახელებულია „არაძალადობრივი ბრძოლის კვლევისა და სწავლების გამოყენება დიქტატურის, ომის, გენოციდისა და რეპრესიების წინააღმდეგ“; სათავეში უდგანან აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამმართველოს ყოფილი ოფიცერი **რობერტ ჰელვი** და ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი **ჯინ შარპი.** ამ უკანასკნელის შრომები, რომლებიც ეძღვნება სახელმწიფო გადატრიალებაში არაძალადობრივი მეთოდების გამოყენებას, 27 ენაზეა ნათარგმნი. ინსტიტუტი ფინანსდება სოროსისა და აშშ-ის მთავრობის „საქველმოქმედო ფონდების“ მიერ. შარპი და მისი თანაშემწენი ინსტიტუტის დაარსებიდან მუდმივად ჩადიან გადატრიალებისთვის მონიშნულ რეგიონებში „რევოლუციების მხარდასაჭერად“.

შარპი ააი-ს მთავარი თეორეტიკოსი და სახეა, პრაქტიკულ საქმიანობას კი ინსტიტუტის თავმჯდომარე, პოლკოვნიკი **რობერტ ჰელვი** ეწევა. მან ამ მიმართულებით მუშაობა დაიწყო მანამდე, სანამ აშშ-ის არმიიდან ოფიციალურად დაითხოვდნენ. თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოში მუშაობის 30 წლის განმავლობაში მან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ძირგამომთხრელი საქმიანობის მდიდარი გამოცდილება დააგროვა. **ჰარვი რეზიდენტურის თანამშრომელი იყო აშშ-ის მიერ სერბეთში ორგანიზებული გადატრიალებისას. ერთ-ერთი ცნობით, „ნარინჯისფერი რევოლუციის“ დროს იგი უკრაინაში იმყოფებოდა.**

ააი-ის ანგარიშის მიხედვით, 2000-დან 2004 წლამდე მისი მიზანი იყო „კონფლიქტებისას არაძალადობრივი მოქმედების მსოფლიო გამოცდილების შესწავლა და გამოყენება“. ამ „მოწინავე გამოცდილების“ შესასწავლად ბოლო წლებში უამრავმა ჯგუფმა მიმართა აინშტაინის ინსტიტუტს, მათ შორის, **ალბანეთიდან, კოსოვოდან, მოლდოვიდან, სერბეთიდან, სლოვაკეთიდან, კვიპროსიდან, საქართველოდან, უკრაინიდან, ბელარუსიდან, აზერბაიჯანიდან, ირანიდან, ავღანეთიდან, გაერთიანებული არაბული საამიროებიდან ერაყიდან, ლიბანიდან, პალესტინის ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ვიეტნამიდან, ტიბეტიდან, შრი-ლანკიდან, მალაიზიიდან, ქაშმირიდან, ჰაიტიდან, ვენესუელიდან, კოლუმბიიდან, ბოლივიიდან, კუბიდან, მექსიკიდან, ანგოლიდან, ეთიოპიიდან, ერთითრეადან, ტოგოდან, კენიიდან, ზიმბაბვედან.**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

იანვრის დასაწყისში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ალაბამის შტატში ფერმერი თავზე წაადგა თავის 20 წლის მეზობელს, რომელიც მის (ფერმერის) ცხენს აუპატიურებდა. ახალგაზრდას ბრალად სოდომია და სხვის ტერიტორიაზე უნებართვოდ შეღწევა წაუყენეს... ცხენი რაა! მასმედია გვაუწყებს, რომ „მდიდარი სექსუალური პრაქტიკის მქონე ევროსექსისტების“ მსხვერპლთა შორის ცოტა როდია ვირი, ცხვარი, ძროხა და ბატიც კი!

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მასწავლებელს 90 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს



**ეს მასწავლებელი გახლავთ აშშ-ის ვირჯინიის შტატის ერთ-ერთი სკოლის სურდოპედაგოგი ამანდა ნასერი, რომელმაც სექსუალური კავშირი დაამყარა 15 წლის მოზარდთან, — იუწყება ტელეარხი Fox 5.**

ბიჭი იმ სკოლის მოსწავლე იყო, რომელშიც ეს ქალბატონი მუშაობდა. იგი უხამს ფოტოსურათებს უგზავნიდა ყმაწვილს და დაუმეგობრდა დედამისს, რათა მოსწავლესთან ხშირ შეხვედრებს მშობლებში ეჭვი არ გამოეწვია. ისინი ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ ქალის მანქანაში, რომელშიც საწოლი იყო გაწყობილი.

**ამანდა ნასერს** თავდაპირველად 18 მუხლით წაუყენეს ბრალდება, რომელთა მიხედვით მაქსიმალური სასჯელი 230 წლით ციხეში გამომწყვდევას ითვალისწინებდა. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით მას მიუსაჯეს 90 წელი, ვადის რეალურად 7 წელიწადში მოხდით.

ნასერი დააპატიმრეს 2016 წლის სექტემბერში, მას შემდეგ, რაც პოლიციამ მიაკვლია ასობით უხამს შეტყობინებას, რომლებსაც იგი მოსწავლეს უგზავნიდა. თავდაპირველად იგი უარყოფდა თავის ბრალს, მაგრამ ბოლოს ყველაფერი აღიარა.



## მათემატიკის პროფესორი გეიპორნო ფილმების გმირი ყოფილა

**რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტის მათემატიკის პროფესორი რუჯერო ფრედის სტუდენტები სახტად დარჩნენ, როცა სოცქსელებში აღმოაჩინეს პატივცემული მასწავლებლის გეიპორნო ფილმებში მონაწილეობის ვიდეოკადრები. ეს მოულოდნელი ამბავი სწრაფად გავრცელდა ფრედის მოსწავლეების არცთუ მცირერიცხოვან აუდიტორიაში.**

გაირკვა, რომ პროფესორი პორნოინდუსტრიაში **კარლოს მაზის** ფსევდონიმით იყო ცნობილი. პორნოგრაფიული ფილმების წარმოებაში იგი იტალიიდან აშშ-ში ჩასვლის შემდეგ ჩაება. სანფრანცისკოში ორ პორნოფილმში გადაიღეს, რომლებშიც მთავარი როლები შეასრულა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 2013 წელს, მას მათემატიკაში მაგისტრის წოდება მიანიჭეს.

მას შემდეგ, რაც მისი ბიოგრაფიის ეს არცთუ სასახელო ამბავი გავრცელდა, რუჯერო ფრედიმ გამოაქვეყნა შესაბამისი ვიდეო და განაცხადა: „როცა ფილმში გადაღება შემომთავაზეს, ვიფიქრე — რატომაც არა-მეთქი და დავთანხმდი. ამ სამუშაოს შესრულებით ფულიც ვიშოვე და საკმარისად ვისიამოვნე კიდეც“.

პროფესორმა თქვა, მთელი ამ ხნის განმავლობაში მის მიმართ კრიტიკული განცხადებით არავინ გამოსულა, რომ იგი ორივე პროფესიით ამაყობს, რადგან ისინი მის პიროვნებას სრულად წარმოაჩენს.

მარტივი ფილოსოფიაა: ფულიც იშოვა და პროფესორობასაც მიაღწია. „ბედი მომეც და სანეხვეზე დამსვიო“, ასეა რა!





# უზნეობა დემოტრაკიის სახელით

## აშშ-ის მედია: გეები, ლესბოსელები, ტრანსგენდერები — უკრაინის არმიის ძლიერების წყარო

**2014 წელს დონბასის კრიზისის დაწყებით სტადიაზე უკრაინის არმია უძლური იყო — რეზერვი არ ჩანდა, რადგან ახალგაზრდები ფრონტზე წასვლას თავს არიდებდნენ. შექმნილი ვითარებით ისარგებლეს ადგილობრივმა გეებმა, ლესბოსელებმა და ტრანსგენდერებმა, მოხალისეებად მიაწყდნენ სამხედრო შენაერთებს, — იუწყება ამერიკული ტელეარხი NBC.**



„პატრიოტიზმის“ ასეთი მოძალება (რომელიც დღესაც შესამჩნევია) ჟურნალისტებმა მარტივად გაშიფრეს: მათი ზეამოცანა უკრაინის გაერთიანებისთვის ბრძოლა კი არა, მათნაირებისადმი საზოგადოებრიობის დამოკიდებულების შეცვლაა, —აღნიშნულია ტელეარხის მიმომხილვაში.

სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელმა **ანდრეი ჩუმაკოვმა**, რომელიც დონბასში იბრძოდა, განაცხადა, რომ 2014 წლის ზამთარში ევრომაიდნის საპროტესტო აქციისას ვითარება სრულიად განსხვავებული იყო და მისი მიდრეკილებები არავის აინტერესებდა. იგი მიიჩნევს, რომ ლგბტ წარმომადგენლების უკრაინის შეიარაღებულ ძალებში ყოფნა დაეხმარება მის ქვეყანას, უფრო სწრაფად და სრულყოფილად გაერთიანდეს დასავლურ სამყაროში და შეითვისოს იქაური ფასეულობანი.

შეგახსენებთ, რომ არცთუ დიდი ხნის წინათ ჟურნალი „ლაიფი“ იუწყებოდა 2017 წლის ზაფხულში კიევში გამართული გეიაღლუმის შესახებ, რომელიც მალე დასრულდა, რადგან პედერასტების მსვლელობას გზა გადაუღობეს ნაციონალისტებმა, რასაც ცხვირ-პირის მტვრევა და დავიდარაბა მოჰყვა.

## ამერიკელი მამაკაცი ცხენებს აუპატიურებდა

**54 წლის ამერიკელმა, რომელიც 35 წლის განმავლობაში აუპატიურებდა ცხენებს და პონის, ცხოველების პატრონების აღშფოთების მიუხედავად, შეძლო ციხისთვის თავი დაეღწია, — იუწყება The Sun-ი.**

მამაკაცი თავისი ცხოვრების თითქმის ნახევარი ხნის განმავლობაში შეიპარებოდა ხოლმე ცხოველთა სადგომებში და სექსუალურ კავშირს ამყარებდა ცხენებთან. ეს სადისტი ზოგჯერ ცხენებს ასახიჩრებდა ან კლავდა კიდეც.

სასამართლო განხილვა მას შემდეგ დაიწყო, რაც ვისკონსინის შტატში მისმა მეზობელმა თავის ცხენს ძალადობის კვალი შეამჩნია. ვიდეოთვალთვალის კამერების ჩანაწერების დახმარებით დაადგინეს მოძალადე. გაირკვა, რომ იგი ადრეც ყოფილა ამგვარი სოდომიის ფიგურანტი, თანაც — არაერთხელ, მაგრამ მის ასეთ სტაბილურ უზნეობას ყოველთვის უმნიშვნელო გადაცდომად მიიჩნევდნენ.

რა არის ეს — თავისუფალი სექსი თუ საზოგადოების დაავადების ნიშანი? თუნდაც ერთი შემთხვევა?

ერთი რომ იყოს!

*იანვრის დასაწყისში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ალაბამის შტატში ფერმერი თავზე წაადგა თავის 20 წლის მეზობელს, რომელიც მის (ფერმერის) ცხენს აუპატიურებდა. ახალგაზრდას ბრალად სოდომია და სხვის ტერიტორიაზე უნებართვოდ შეღწევა წაუყენეს.

*2017 წელს სერბეთის ცხოველების დამცველებმა ევროკავშირის ქვეყნებიდან ჩასულ ტურისტებს ბრალად დასდეს ცხოველებზე მასობრივი ძალადობა. ისინი ამტკიცებენ, რომ ცხოველებთან სიამტკბილობა ტურისტებს 70-დან 150 ევრო უჯდებათ.



ასეთი ბორდელები არსებობს თურმე ევროპის დავარცხნილ იალაღებზე.

რამხელა გზა გვქონია გასავლელი ევროპაში შესასვლელად!

ჩამოვრჩით, ბაბაია, ბებერ ევროპას, ამერიკელების დაწევაზე ხომ ლაპარაკიც უაზრობაა — ამერიკელები მეზობელს ცხოველებს უფასოდ უუპატიურებენ.

„მეზობლის ცხენს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურიაო“.

ცხენი რაა! მასმედია გვაუწყებს, რომ „მდიდარი სექსუალური პრაქტიკის მქონე ევროსექსისტების“ მსხვერპლთა შორის ცოტა როდია ვირი, ცხვარი, ძროხა და ბატიც კი!

„ვა შენ, ჩემო თეთრო ბატოოო...“

მოკლედ, რაც არ გინახავს, იმას ნახავ!

## გრძელდება მრავალსერიანი რეალობა — მასწავლებლები აუპატიურებენ მოსწავლეებს

**ფიზკულტურის მასწავლებელი ჰილარი დატილოს, ჰამილტონის (ოჰაიო, აშშ) სკოლის 30 წლის მასწავლებელს (ოჰაიო, აშშ) ექვსი თვის განმავლობაში (2017 წლის 3 აგვისტოდან 8 დეკემბრამდე) ლესბოსური რომანი ჰქონდა გაჩაღებული თავის მოსწავლესთან, — იუწყება New York Post-ი.**

სექსუალურ სიამტკბილობას ისინი სკოლის გარეთ ეწეოდნენ, ამიტომ იყო, რომ მშობლებმა რამდენიმე თვის შემდეგ შეამჩნიეს ეს საშინელება. ჰილარის ადვოკატი ირწმუნება, რომ ქალი წესიერი მეოჯახეა. დედასთან და ქმართან ერთად ცხოვრობს ბატლერის ოლქში; დარწმუნებულია, რომ ჰილარი ტრადიციული ორიენტაციისაა და რომ დაეჭვების საბაბს იგი არასოდეს იძლეოდა.

ჰამილტონის პოლიციამ ჰილარი სასწავლო პროცესს დროებით ჩამოაშორა და 5 ათასი აშშ დოლარის გირაოს სანაცვლოდ წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლა.



წყევლაკრულვიანი საკითხავი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „მხოლოდ უვიცობა, უკულტურობა, თავის თავზე დიდი წარმოდგენა და სიზარმაცეა ჩვენი შეურიგებელი და დამაბრკოლებელი მტერი ცოდნისაკენ მიმავალ ფართო შარაგზაზე“.

# რატომ არის სასკოლო განათლების ხარისხი დაბალი საქართველოში? ქართველი ხალხის ეროვნული მოღონიერებისა და წინსვლისთვის ხომ არ გაჩნდა ისეთი საზოგადოების შექმნის აუცილებლობა, როგორიც თავის დროზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება იყო საქართველოში?

**ქართველი მოქალაქის შექმნა სწორი ღირებულებებით შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით სამოციანელთა მთავარი ამოცანა იყო. მათი პუბლიცისტიკის გადახედვისას ჩნდება განცდა, რომ ისევ იქ ვართ, იმ საუკუნეში, იმავე სიბნელეს ვებრძვით და ვერც ვებრძვით. მათი შრომა თითქოს წყალში ჩაიყარა. საუკუნეზე მეტიც გავიდა და ბევრი ელემენტარული ჭეშმარიტება ისევ დასაცავი გახდა, თანამედროვე ქართველიც — ისევ აღსაზრდელი. თერგდალეულებმა თავიანთი საუკუნე იხსნეს. ოცდამეერთე საუკუნის საქართველოც გადასარჩენია და ბევრი რამ ისტორიიდან თავიდანაა გასააზრებელი.**

**საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის შემდეგ ყველაფერი „ფსევდო“ დაგვატყდა თავს: ფსევდონაციონალიზმი, ფსევდოჰუმანიზმი, ფსევდოთანასწორობა... ჭირს ნამდვილის მიგნება. მთავარი პრობლემა კი დღესაც, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში, განათლების ნაკლებობაა.**

**ქართველი საზოგადოება კვლავ აღმოჩნდა უაღრესად მტკივნეული დილემის წინაშე: წლებია, განათლების სისტემა ჩვენს ქვეყანაში ექსპერიმენტების ასპარეზად იქცა. შედეგად კი მივიღეთ სკოლა, რომელიც შესაბამის ცოდნას ვერ აძლევს მომავალ თაობას, ფაქტობრივად, ყველა მოსწავლე, რომელიც სწავლის გაგრძელებას უმაღლეს სასწავლებელში აპირებს, რეპეტიტორთან ემზადება. ყოველივე ეს საზოგადოების სამართლიან გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს.**

**იაკობ გოგებაშვილმა, — „სკოლა ორპირი ხანჯალიაო“, რომელიც, თუ გონივრულად არის მოწყობილი, „აუკეთესებს და ასპეტაკებს ხალხს“, მაგრამ აველურებს, თუ უკულმართობის გზაზე დგასო. ჩვენ სწორედ ამ ორლესულ ხანჯალზე დავდივართ და იმ გზას ვადგავართ, რომელიც ტაძართან ნამდვილად არ მიგვიყვანს.**

**რატომ არის სასკოლო განათლების ხარისხი დაბალი საქართველოში? ქართველი ხალხის ეროვნული მოღონიერებისა და წინსვლისთვის ხომ არ გაჩნდა ისეთი საზოგადოების შექმნის აუცილებლობა, როგორიც თავის დროზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება იყო საქართველოში?**

**— აი, კიდევ ერთი წყევლაკრულვიანი საკითხავი.**



## «სკოლა ორპირი ხანჯალია; აუკეთესებს და ასპეტაკებს ხალხს, თუ იგი გონივრულად არის მოწყობილი; აუგუნურებს და აველურებს, თუ უკულმართობის გზაზედ არის დაყენებული»

დღეს სადავო არ არის, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას საპატიო ადგილი უკავია იმ ორგანიზაციათა შორის, რომლებსაც ამაგი გაუწევიათ ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების აზრი ქართველ მოღვაწეთა იმ ჯგუფს დაებადა, რომელსაც მეთაურობდნენ სახელოვანი ქართველი თერგდალეულები და მათი წინამძღოლი **ილია ჭავჭავაძე.** ეს მოღვაწეები ფიქრობდნენ, რომ ქართველი ხალხის ეროვნული მოღონიერებისა და წინსვლისათვის საჭირო იყო არა მხოლოდ მისი სოციალური გათავისუფლება, არამედ საქართველოში განათლებისა და მწიგნობრობის დანერგვაც.

**დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ცხვედაძის,** ეპისკოპოს **გაბრიელ ქიქოძისა** და სხვათა დიდ საფიქრალად იქცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნა. ამ იდეამ ხორცი შეისხა 1879 წლის მარტში, როცა დიმიტრი ყიფიანის, **ბესარიონ ღოღობერიძის**, ილია ჭავჭავაძისა და სხვების მიერ შედგენილი საზოგადოების წესდება მთავრობამ დაამტკიცა. პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს დიმიტრი ყიფიანი. შემდგომ, 1885-1907 წლებში, საზოგადოებას უცვლელად თავმჯდომარეობდა ილია ჭავჭავაძე, ილიას სიკვდილის შემდეგ კი — ჯერ **გიორგი ყაზბეგი** და სხვა სახელოვანი ქართველი მოღვაწეები.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თითქმის ნახევარი საუკუნე იარსება და დიდად შეუწყო ხელი საქართველოში სწავლა-განათლებისა და კულტურის განვითარებას. ამ ხნის განმავლობაში იგი თანდათან იზრდებოდა და თავისი განყოფილებების მეშვეობით მთელ საქართველოში მოქმედებდა.

საზოგადოების ნაყოფიერი მუშაობა განაპირობა იმან, რომ მის საქმიანობას იმთავითვე სწორი ეროვნული მიმართულება მისცეს. საზოგადოება შეუდგა სკოლების გახსნას და ყველაფერს აკეთებდა, რათა ქართული წეს-ჩვეულებები და ენა, პირველ რიგში, იქ აღორძინებულიყო, სადაც დროთა ვითარებაში დავიწყებას იყო მიცემული.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება გამოსცემდა სახელმძღვანელოებს მოსწავლე ახალგაზრდობისთვის, აგრეთვე, წიგნებს ფართო მასებში გასავრცელებლად. ქართული წიგნები ეგზავნებოდა საზღვარგარეთ მყოფ ქართველობასაც. 1909 წელს საზოგადოებამ, იაკობ გოგებაშვილის თხოვნით, თურქეთში მცხოვრებ ქართველებს საჩუქრად გაუგზავნა დიდი რაოდენობით „დედაენის“ წიგნები.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თვალსაჩინო სამუშაო ჩაატარა ბიბლიოთეკების ქსელის შესაქმნელად, სადაც ქართველები გატაცებით ეუფლებოდნენ ცოდნას. მან საფუძველი ჩაუყარა დიდ წიგნსაცავს და დროთა განმავლობაში აქ თავი მოუყარა არა მარტო ნაბეჭდ, არამედ ხელნაწერ წიგნებს, საბუთებს და ისტორიული მნიშვნელობის სხვა სახის წერილობით ძეგლებს. ამ გზით საზოგადოების წიგნსაცავში აღმოჩნდა და დაღუპვასა და განიავებას გადაურჩა საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი წყარო. ეს მასალები საზოგადოებამ ნაწილობრივ კერძო პირებისაგან შეიძინა, მათი ერთი ნაწილი კი შემოწირულობის სახით მიიღო. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის შვილის **ნიკო დადიანის** მდიდარი ბიბლიოთეკა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამვე ჩაუყარა საფუძველი სამუზეუმო ნივთების შეგროვებას, რომლის მეოხებითაც გადარჩა და შთამომავლობას შეენახა ძველებური ფულის თუ ძველი ხელოვნების მრავალი ნიმუში და სხვ.

თავისი არსებობის მანძილზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება პროპაგანდას უწევდა საქართველოს ისტორიასა და ქართულ მწერლობას. ის არა მარტო გამოსცემდა ქართულ წიგნებს, არამედ ხშირად მართავდა სახალხო სანახაობებს, საღამოებს, სადაც ისმოდა ქართული სიტყვა. ამ საღამოების შემოსავალი ისევ საზოგადოების საჭიროებებს ხმარდებოდა. ხშირად კი გამგეობა აღებული ფულის ნაწილს უნაწილებდა ქართველ მწერლებს.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ განსაკუთრებით აქტიური როლი შეასრულა ქართველ მოღვაწეთა ხსოვნის უკვდავყოფისა და აღნიშვნის საქმეში, 1893 წელს განჯიდან **ნიკოლოზ ბარათაშვილის** ნეშტის გადმოსვენებაში, 1895 წელს კრწანისის ბრძოლის 100 წლისთავის გადახდაში, **რაფიელ ერისთავის** მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს აღნიშვნაში; დიდი მუშაობა გაშალა ილია ჭავჭავაძის სახელის უკვდავსაყოფად, მისი თხზულებების გამოსაცემად და მემკვიდრეობის დასაცავად. საზოგადოებამ არსებობა შეწყვიტა 1926-27 წლებში.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დიდად ზრუნავდა ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობასა თუ ღარიბ სტუდენტებზე, შეძლებისდაგვარად უნიშნავდა მათ სტიპენდიებს. ამ საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა პირადად იაკობ გოგებაშვილმა. მას უდიდესი ეროვნული საქმე გააკეთა, როცა პედაგოგიკისა და ცალკეულ საგანთა მეთოდიკის ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა განიხილა და თავი მოუყარა შრომებში, როგორიცაა: **„ბურჯი ეროვნებისა“, „ხე ნაყოფით იცნობება“, „ახალი ნაბიჯი ხალხის განათლებაში“, „ბრმა წინამძღოლობა ხალხის განათლებაში“, „ახალი სამოსწავლო გეგმის შესახებ“, „სახალხო მასწავლებლის ღვაწლი და უკიდურესი გაჭირვება მისი“, „განათლების მდგომარეობა საქართველოში“, „მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხები“** და სხვ.

იაკობ გოგებაშვილი პედაგოგიკის მთავარ პრინციპად მიიჩნევდა ხალხურობას, რომელიც გულისხმობდა ერის ინტერესების შესაბამის სახალხო განათლებას, ეროვნული კულტურის აღორძინებასა და მშობლიურ ენაზე სწავლებას:

**„ნაწილი ერისა, რომელიც მოშორდა საერთო ეროვნულს ნიადაგს, სწრაფად მიდის უკან-უკან, სუსტდება, ველურდება და ხდება მსხვერპლად გამხრწნელი პროცესისა“.**

**„ზურგის შექცევა დედაენისა დიდად ვნებს ხალხსა, აქვეითებს და უკან სწევს“.**

**„მშობლიური ენისა და წიგნის უარყოფა თავისი თავის უარყოფაა, თავისი თავის გათახსირებაა“.**

**„მთავარი ძალა, რაც გამარჯვებას ანიჭებს ერს საარსებო ბრძოლაში, არის ცოდნა, განათლება“.**

გოგებაშვილმა ჩვენში პირველმა წამოაყენა აღმზრდელობითი სწავლების იდეა, ხოლო სწავლების პრინციპებად — შეგნებულობა და აქტიურობა, სისტემატურობა და თანამიმდევრობა, მისაწვდომობა და თვალსაჩინოება.

გოგებაშვილი დაუღალავად იბრძოდა სახალხო სკოლების შექმნა-დამკვიდრებისთვის საქართველოში.

მისი პედაგოგიური მოძღვრება ქართული კულტურის წიაღში საზღვარგარეთისა და რუსეთის პროგრესული პედაგოგიკის მემკვიდრეობის ათვისებისა და შემოქმედებითად გადამუშავების შედეგად აღმოცენდა; მისი მსოფლმხედველობა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების გავლენით ჩამოყალიბდა.

**„ტომებსა და ხალხებს არაფერი არ თიშავს ისე, როგორც უვიცობა“, „მხოლოდ უვიცობა, უკულტურობა, თავის თავზე დიდი წარმოდგენა და სიზარმაცეა ჩვენი შეურიგებელი და დამაბრკოლებელი მტერი ცოდნისაკენ მიმავალ ფართო შარაგზაზე“,** — ამ რწმენით იღვწოდნენ ჩვენი სამოციანელები და სწამდათ, რომ **„სინდისიანი, ბეჯითი, გონიერი, ზნეობიანი ოსტატი ღირსია დიდის პატივისცემისა ყოვლის კაცისაგან“ და რომ „ვინც მოქმედობს, იღწვის, შეცდომას ვერასოდეს ვერ ასცდება. გარნა გონიერი მოქმედი, შეიგნებს რა თავის შეცდომას, ჯიუტად როდი შეჩერდება მასზედ, იგი სცდილობს, რაც შეიძლება გაასწოროს თავისი შეცდომა და საქმე კეთილად წარმართოს“.**

**დღეს შეცდომების დათვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ მათ გამოსწორებასა და „საქმის კეთილად წარმართვაზე“ დაფიქრება ნამდვილად გვმართებს. რადგან ერი, რომელიც თავისი ეროვნული საგანძურით გამორჩეულია, მტრის გულის გასახარად „უკულმართობის გზაზედ“ არ უნდა დადგეს. ამისათვის კი უნდა შევძლოთ და შევქმნათ „დროის შესაფერი“ განათლების სისტემა, თორემ მოჩვენებითს, მხოლოდ სხვის დასანახს, იაკობ გოგებაშვილმა თავის „თხა და გიგოში“ უკვე დასცინა. განათლების მესვეურნო, გახსოვდეთ: „სკოლა ორპირი ხანჯალია; აუკეთესებს და ასპეტაკებს ხალხს, თუ იგი გონივრულად არის მოწყობილი; აუგუნურებს და აველურებს, თუ უკულმართობის გზაზედ არის დაყენებული“.**

რუბრიკას უძღვება **დარეჯან ანდრიაძე**

საქართველოს ერთდროულად ორი მხრიდან, თურქეთიდან და ირანიდან, ემუქრებოდა დაუძინებელი მტერი. ასეთ მძიმე პირობებში ვახტანგ VI-მ კიდევ ერთხელ მიმართა დასავლეთ ევროპას დახმარებისთვის: მან წერილები მისწერა რომის პაპსა და ავსტრიის იმპერატორს; მათ შესთავაზა კავშირი, რათა ამ გზით გადაერჩინა საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ვახტანგის ეს ნაბიჯიც უშედეგოდ დარჩა.

ისტორიანი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისიის შედეგები

**თუ სხვის იმედსა და დახმარებაზე ქვეყნის მომავლის დამყარება მხოლოდ ფუჭი ოცნება და იმედების გაცრუებაა, რაც არა ერთხელ იწვნია ჩვენმა ქვეყანამ, ამის საუკეთესო მაგალითია სულხან-საბას მოგზაურობა ევროპაში. მეცნიერ-ისტორიკოსმა ილია ტაბაღუამ უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ-ევროპულ ურთიერთობათა კვლევის საქმეში. ის წლების განმავლობაში მუშაობდა საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთისა და გერმანიის არქივებში, სადაც მოიპოვა მეტად ძვირფასი ცნობები ქართველ მეფე-მთავართა მიმოწერების შესახებ. მის მრავალრიცხოვან ნაშრომთა შორის აღსანიშნავია „ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისიის შედეგები“. მასში მოთხრობილია დიდი ქართველი მამულიშვილის მღელვარე ევროპული ოდისეა. ნაშრომი შეიცავს ძალზე საყურადღებო ინფორმაციებს XVIII საუკუნის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ მცირე შემოკლებით.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №2 (426)



ვახტანგ VI პოლიტიკურად განათლებული ადამიანი იყო. ის კარგად ერკვეოდა საგარეო პოლიტიკურ საკითხებში. ამ დარგში მისი ცოდნა სცილდებოდა ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ფარგლებს. შეუძლებელია, ვახტანგს არ სცოდნოდა იმ პერიოდში საფრანგეთ-ირანისა და საფრანგეთ-თურქეთის ურთიერთდამოკიდებულებათა არსი. **„ვახტანგ VI**, — სამართლიანად მიუთითებს პროფ. გ. გაბაშვილი, — **ზედმიწევნით იცნობდა მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობის მთელ თავისებურებას. მას გათვალისწინებული ჰქონდა მეტოქე სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესებიც“.**

...სულხან-საბა ორბელიანი, **ჟან რიშართან** ერთად, ევროპაში გამგზავრების წინ, 40 დღის განმავლობაში იმყოფებოდა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს **კათალიკოს გრიგოლთან** (რომელსაც სურვილი ჰქონია, სულხან-საბას მსგავსად, მიეღო კათოლიკობა და, მეტიც, გაევრცელებინა იგი დასავლეთ საქართველოში). ცხადია, ისეთი ენერგიული პოლიტიკური მოღვაწე, როგორიც სულხან-საბა იყო, ტყუილუბრალოდ არ გაჩერდებოდა დასავლეთ საქართველოში 40 დღის განმავლობაში. შესაძლებელია, რომ ამ დროს სულხან-საბამ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ პოლიტიკოსს გააცნო დასავლეთ ევროპაში მისი გამგზავრების მიზანი. სულხან-საბას ევროპაში გააყოლეს კათალიკოს გრიგოლის წარმომადგენელი, „სანდო პიროვნება“ დავით ბერი, რომელიც სულხან-საბას ახლდა ევროპაში მოგზაურობისა და შეხვედრების დროს.

საფრანგეთის „მეფე-მზემ“ ლუი XIV-მ სულხან-საბა ორჯერ მიიღო. მეორე მიღების დროს სულხან-საბა ორბელიანი აღჭურვილი იყო რომის პაპისა და პარიზში პაპის — ნუნციუსის, სარეკომენდაციო წერილებით. **ამ დროს ვერსალში უკვე ჰქონდათ: მემორანდუმი საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, წარდგენილი სულხან-საბას მიერ; ვრცელი მემორანდუმი საქართველო-საფრანგეთს შორის შესაძლებელი ეკონომიკური, პოლიტიკური, სავაჭრო და სამხედრო ურთიერთობის შესახებ, შედგენილი მარსელში სულხან-საბას, დავით მეგრელის, ჟან რიშარის, პიერ დ'არნუს და სხვათა მონაწილეობით და გაგზავნილი მარსელიდან ვერსალში იმავე პიერ დ'არნუს მიერ; საქართველოს რუკა და საქართველოს მეფეების გენეალოგია, წარდგენილი მარსელში სულხან-საბასა და გაგზავნილი ვერსალში პიერ დ'არნუს მიერ. ყოველივე ეს მიუთითებს სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისიის საფუძვლიანად მომზადებაზე.**

საფრანგეთის სამეფო კარზე საქართველოს ელჩის მოლაპარაკების დროს იხილებოდა შემდეგი საკითხები: ირანის ტყვეობიდან ვახტანგის განთავისუფლება და მისი თბილისში ქრისტიან მეფედ დაბრუნება; მისიონერების გაგზავნა საქართველოში (როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში), რასაც უნდა მოჰყოლოდა კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება არა მარტო საქართველოში, არამედ მის მეზობელ მხარეებშიც; საქართველოს ტერიტორიის სავაჭრო გზად და თბილისის საქონლის საწყობებად გამოყენება; საქართველოსა და საფრანგეთს შორის ვაჭრობის დამყარება და გაფართოება; საქართველოსა და საფრანგეთს შორის სამხედრო თანამშრომლობის დამყარება; საქართველოში (თბილისში) საფრანგეთის საკონსულოს შექმნა და სხვ.

სულხან-საბა ორბელიანის მისია მიზნად ისახავდა, თუ ყველა ზემოხსენებული საკითხის ერთდროულად დადებითად გადაჭრას არა, ზოგიერთი მათგანის გადაწყვეტისათვის ნიადაგის მომზადებას. **ყველა ამ საკითხიდან გადაუდებელი იყო ვახტანგის ქრისტიან მეფედ საქართველოში დაბრუნება.**

...მაგრამ საფრანგეთში არსებობდა ორი ჯგუფი: ერთ ჯგუფს შესაძლებლად მიაჩნდა საქართველოსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობისათვის ზემოხსენებული საკითხების დადებითად გადაჭრა; ხოლო მეორე ჯგუფი აჭიანურებდა საქართველოს მიმართ რაიმე გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას და ყოველივე ამას უკავშირებდა ირანის ელჩის ჩამოსვლას.

ირანის ელჩის მოლოდინმა (რომლის ირანიდან წამოსვლის შესახებ უკვე იცოდნენ ვერსალში) შეაჩერა საქართველოს საქმეები საფრანგეთში. **სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიურ მისიას დიდად შეუშალა ხელი ირანის ელჩის მუჰამედ რეზა ბეგის ჩასვლამ საფრანგეთში 1714 წლის ოქტომბერში. ამ ელჩობის წარმომადგენლები უფრო ადრე (იმავე წლის ივლისში) ჩავიდნენ მარსელში და უკვე მოქმედებდნენ სულხან-საბას მისიის საწინააღმდეგოდ.** თუმცა ვერსალში ცდილობდნენ, საიდუმლოდ შეენახათ სულხან-საბას მისია, მის შესახებ არაფერი გაეგოთ ირანში და აქ — მის ელჩს. საქართველოს მხრიდანაც იცავდნენ ამ საიდუმლოებას: „...როდესაც ეს ამბავი ხდებოდა, ვახტანგი იმყოფებოდა შაჰის ტყვეობაში, და მეფეც და ორბელიანიც დიპლომატიურ სვლებს აწყობდნენ მხოლოდ საიდუმლოდ, მძიმე სამოქმედო პირობებში“.

მაგრამ ამ საიდუმლოების დაცვა შეუძლებელი გახდა. პარიზსა და რომში სულხან-საბას ყოფნის პერიოდში ორჯერ გამოქვეყნდა ცნობა პრესაში მეფისა და პაპის მიერ მისი მიღების შესახებ.

შესაძლებელია, ირანში იცოდნენ ვახტანგის წერილობითი კავშირის შესახებ პარიზთან და რომთან, სულხან-საბას ევროპაში გამგზავრების შესახებ. არაა გამორიცხული, რომ ისფაჰანში სამეფო კარზე ამიტომ დააჩქარეს ელჩის გაგზავნა საფრანგეთში.

1535 წელს თურქეთთან პირველი საკაპიტულაციო ხელშეკრულების დადების შედეგად საფრანგეთმა მჭიდრო კავშირი დაამყარა ამ ქვეყანასთან. ამ დროიდან საფრანგეთში იქმნება აზრი იმის შესახებ, რომ თურქეთისა და საქართველოს გავლით, ე. ი. სახმელეთო გზით დაამყარონ სავაჭრო-პოლიტიკური ურთიერთობა ირანთან. ეს აზრი განსაკუთრებით გაძლიერდა XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში საფრანგეთი შეძლებდა, გვერდი აევლო საზღვაო გზებისთვის, სადაც ინგლისი და ჰოლანდია იყვნენ გაბატონებული. სწორედ სახმელეთო გზის შესწავლა წარმოადგენდა ფრანგი მოგზაურების ერთ-ერთ ამოცანას. 1699 წლის ბოლოს საფრანგეთის კანცლერის, გრაფ დე პონშარტრენის მიერ ლუი XIV-ისადმი წარდგენილი წერილის მიხედვით, ჟ.პ. დე ტურნეფორს ევალებოდა, მოგზაურობისას შეესწავლა არა მარტო ფლორა, არამედ „გეოგრაფიული, რელიგიური და ვაჭრობის საკითხები“.

1708 წლის სექტემბერში ხელმოწერილ იქნა საფრანგეთ-ირანის ხელშეკრულება. ამიერიდან საფრანგეთი აქტიურად მოქმედებდა ირანში ინგლისისა და ჰოლანდიის წინააღმდეგ.

1715 წლის აგვისტოში ვერსალში ხელი მოაწერეს საფრანგეთ-ირანის მეორე ხელშეკრულებას მეგობრობისა და ვაჭრობის შესახებ. ეს იყო ფრანგების ახალი წარმატება ირანში საკუთარი პოზიციების განმტკიცების საქმეში.

ამასთანავე, ვერსალში არსებობდა პროექტი, რომელიც გულისხმობდა საფრანგეთის გაბატონებას სპარსეთის ყურეში: საკითხი ეხებოდა მარკატის დაპყრობას, რომელიც კონტროლს უწევდა ირანის ორ ნავსადგურს; საფრანგეთი მისი დაკავებით ჩაკეტავდა ირანს სამხრეთიდან, ხოლო მის ჩრდილოეთით მდებარე საქართველო საფრანგეთის მოკავშირე იქნებოდა. **„საფრანგეთი დაეხმარებოდა საქართველოს, თუ სპარსეთი შეეცდებოდა, ხელი შეეშალა მისი დამოუკიდებელი განვითარებისთვის“,** — ნათქვამია ამ პროექტში. ასე რომ, ირანი გახდებოდა დამოკიდებული „ფრანგებსა და ქართველებზე“.

ასეთ პირობებში კათოლიკური სარწმუნოება მიიღებდა თავისუფალი მოქმედების საშუალებას და შესაძლებელია, სომეხთაგან „მრავალი მიიღებდა რომის სარწმუნოებას, რათა თავისუფლად ევაჭრა სეფიანებზე დამოკიდებულ სახელმწიფოებში, სადაც ამჟამად ისინი ფრანგებისა და რომაელი კათოლიკეების ყველაზე უფრო დიდი მტრები არიან“. თურქეთი „აღმოჩნდებოდა ამ ნავსადგურზე დამოკიდებული“ განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი საფრანგეთი გახდებოდა კუნძულ ზაკოტორას ბატონ-პატრონი. გათვალისწინებული იყო, აგრეთვე, ამიერკავკასიაში დიდი კათოლიკური სახელმწიფოს შექმნა, მათ შორის სომხებისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების გაკათოლიკებაც.

საფრანგეთში ესმოდათ, რომ დასავლეთ საქართველოსთან ურთიერთობის საკითხი დაკავშირებული იყო თურქეთთან, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსი — ირანთან. საფრანგეთში გულისხმობდნენ საქართველოს ორივე ნაწილთან სავაჭრო-პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებას თურქეთთან და ირანთან მჭიდრო ურთიერთობის ჩარჩოებში. არა დაქუცმაცებული საქართველო, არამედ ერთიანი საქართველო, სადაც ერთი მეფე — ვახტანგი (ან სხვა რომელიმე) იქნებოდა, პასუხს აგებდა სავაჭრო გზის უშიშროებაზე და მფარველობას გაუწევდა ფრანგ ვაჭრებსა და კათოლიკე მისიონერებს.

ფრანგ მესვეურთა იმ ჯგუფს, რომელსაც რეალურ საკითხად მიაჩნდა საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება, თავისებურად ჰქონდა ეს წარმოდგენილი: საფრანგეთი საქართველოს გამო კი არ გაამწვავებდა ურთიერთობას თურქეთთან და ირანთან, არამედ ორივე ამ ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობის პირობებში განახორციელებდა თავის სავაჭრო-პოლიტიკურ კავშირს ქრისტიანულ საქართველოსთან, რომელიც მისი ერთ-ერთი საიმედო პლაცდარმი უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთში; საქართველოში უნდა შექმნილიყო საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანია, რომელიც დაუკავშირდებოდა ირანში არსებულ საფრანგეთის სავაჭრო კომპანიას, ხოლო შემდეგ საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიას. ამრიგად, უნდა შექმნილიყო სავაჭრო გზა — შავი ზღვა-საქართველო-ირანი. ასე რომ, ისინი აუცილებლად არ თვლიდნენ, საფრანგეთს დაეთმო თავისი სავაჭრო-პოლიტიკური ინტერესები ირანსა და თურქეთში საქართველოსთან ურთიერთობის გამო. ამასთანავე, საფრანგეთს სჭირდებოდა თურქეთი და ირანი რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც ამ დროს უკვე ენერგიულად მიიწევდა სამხრეთისკენ.

...ცხადია, ფრანგი მესვეურები ყოველივე ამას აკეთებდნენ ან გეგმავდნენ, პირველ რიგში, საკუთარი კოლონიური ინტერესების განხორციელებისთვის — ახლო და შუა აღმოსავლეთში წაერთმიათ გავლენის სფეროები ინგლისისა და ჰოლანდიისთვის, შეეჩერებინათ რუსეთის წინსვლა სამხრეთისკენ, შეექმნათ დასაყრდენი საფრანგეთის ვაჭრობისა და კათოლიკური სარწმუნოებისთვის აღმოსავლეთში, რომლის ცენტრში იქნებოდა ქრისტიანული (შემდგომში გაკათოლიკებული) საქართველო.

...1715 წლის 1 სექტემბერს გარდაიცვალა ლუი XIV. ვერსალში ხელმძღვანელობას ჩამოშორდნენ ის პირები, რომლებიც საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობაში ზემოხსენებული გეგმის განხორციელების მომხრენი იყვნენ, ხოლო საფრანგეთის ახალ ხელმძღვანელებს სხვა გეგმები და ინტერესები ჰქონდათ.

ვახტანგ VI დარწმუნდა, რომ საფრანგეთიდან დახმარებას ვერ მიიღებდა. დასავლეთ ევროპასთან კავშირის მისმა გეგმამ კრახი განიცადა. იგი იძულებული გახდა, ფორმალურად მიეღო მაჰმადიანობა, რათა დაბრუნებულიყო საქართველოში და კვლავ დაეკავებინა ქართლის მეფობა; კვლავ გაურთულდა ურთიერთობა ირანის შაჰთან — არ დაეხმარა შაჰს ავღანელების წინააღმდეგ და არც თავისი შვილი, ბაქარი, გაუშვა მის დასახმარებლად.

ახლა ვახტანგის მთელი ყურადღება რუსეთისკენ იყო მიპყრობილი. რუსეთის იმპერატორის — პავლე I-ის არმია წინ მიიწევდა სამხრეთისკენ და უახლოვდებოდა ირანის საზღვრებს. ვახტანგს რუსეთის ჯარების დახმარების იმედი მიეცა. იგი შეეცადა, დაემყარებინა კონტაქტი პეტრე I-თან და მისი ჯარების დახმარებით გადაერჩინა საქართველო განსაცდელისგან, მაგრამ, სამწუხაროდ, ვახტანგს აქაც არ გაუმართლა.

საქართველოს ერთდროულად ორი მხრიდან, თურქეთიდან და ირანიდან, ემუქრებოდა დაუძინებელი მტერი. ასეთ მძიმე პირობებში ვახტანგ VI-მ კიდევ ერთხელ მიმართა დასავლეთ ევროპას დახმარებისთვის: მან წერილები მისწერა რომის პაპსა და ავსტრიის იმპერატორს; მათ შესთავაზა კავშირი, რათა ამ გზით გადაერჩინა საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ვახტანგის ეს ნაბიჯიც უშედეგოდ დარჩა.

თუმცა ლაშქარი შეიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე და თბილისისკენ მიიწევდა. შაჰთამაზის წაქეზებითა და დაღესტნელი ტომების მხარდაჭერით თბილისს უტევდა კახეთის გამაჰმადიანებული მეფე კონსტანტინეც. მათ თბილისი აიღეს და გაძარცვეს. მალე თბილისი თურქებმაც აიღეს და ხელახლა გაძარცვეს იგი.

ამ მეტად მძიმე პირობებში საქართველო მარტო აღმოჩნდა. **ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი და საქართველოს სხვა პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც ადრე დასავლეთ ევროპის ორიენტაციისა იყვნენ, ახლა საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ საქართველო ვერ შეინარჩუნებდა თავის დამოუკიდებლობას დასავლეთ ევროპის იმედით.** საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის მათ რეალურ საშუალებად ესახებოდათ რუსეთთან კავშირი; მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთს შეეძლო რეალური დახმარების აღმოჩენა საქართველოსთვის. ვახტანგ VI-ის მთელი იმედი ახლა ერთმორწმუნე რუსეთსა და მის იმპერატორ პეტრეს ემყარებოდა. მხოლოდ მისგან მოელოდა სამხედრო დახმარებას, რათა საქართველოდან განედევნა თურქები და ირანელები, აღედგინა საქართველოს საზღვრები.

1724 წლის ივლისში ვახტანგ VI თავისი მრავალრიცხოვანი ამალით გაემგზავრა რუსეთში, რათა იმპერატორ პეტრე I-ისგან მიეღო სამხედრო-პოლიტიკური დახმარება. ცხადია, იმ ვარაუდით, რომ ის მალე დაბრუნდებოდა საქართველოში, რუსეთის მხარდაჭერით განდევნიდა იქიდან უცხოელ დამპყრობლებს და აღადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

**ვაშინგტონში სულ უფრო მყარდება მოსაზრება, რომ უკანასკნელი 17 წლის განმავლობაში აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტო (ეუს) და თავდაცვის სამინისტროს სხვა ქვედანაყოფები უკიდურესად პოლიტიზებულ ორგანიზაციებად ჩამოყალიბდა. ამერიკელების აზრით, ეს ორგანიზაციები ეფექტიანად აღარ ასრულებენ თავიანთ უპირველეს დანიშნულებას. მათ ძალები პოლიტიკურ ღონისძიებებზე გავლენის გასაძლიერებლად წარმართეს, რითაც საფრთხე შეუქმნეს იმას, რაც ამერიკული დემოკრატიისგან დარჩა, — წერს ფილიპ ჰერალდი სტატიაში „როგორ ანადგურებს აშშ-ის ისტებლიშმენტი ამერიკულ დემოკრატიას“, რომელსაც ანალიტიკური გამოცემა Strategic Culture Fondution-ი აქვეყნებს. გთავაზობთ ამ მასალის თარგმანს:**

# Strategic Culture: როგორ ანადგურებს აშშ-ის ისტებლიშმენტი ამერიკულ დემოკრატიას




„ბოლო დრომდე მას „სიღრმისეულ სახელმწიფოს“ უწოდებდნენ (ამ თეორიის მიხედვით, არსებობს სახელმწიფო მოხელეთა კოორდინირებული ჯგუფი, რომელიც გავლენას ახდენს აშშ-ის პოლიტიკაზე და არად აგდებს ქვეყნის დემოკრატიულად არჩეულ ხელმძღვანელობას. — რედ.).

დღეს ამ მოვლენას, უფრო ზუსტად კი, თანამეგობრობას შეიძლება მარტივად ვუწოდოთ ისტებლიშმენტი. იგი აერთიანებს საფინანსო ორგანიზაციებსაც, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსაც, ძირითად ფონდებსაც და სხვადასხვა ინტერესის მქონე ლობისტურ ჯგუფებსაც. ჩვენ მოწმენი ვართ ისეთი რევოლუციის, რომლის დროსაც ძალაუფლება ამ ისტებლიშმენტის ხელში გადადის.

ამას წინათ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი აგენტი **ჯონ კირიაკო** წერდა, რომ დემოკრატიულმა პარტიამ პრეზიდენტ **ტრამპისთვის** სირთულეების შესაქმნელად თავის რიგებში მიიღო დაზვერვისა და სამართალდამცავი ორგანოების ყოფილი თანამშრომლების ჯგუფი. ყველა ახალმიღებულმა განაცხადა, რომ პრეზიდენტის თანამდებობას უნდა იკავებდეს ტრამპზე უფრო მეტი პასუხისმგებლობისა და განსჯის უნარის მქონე მოღვაწე.

უწინ დაზვერვისა და სამართალდამცავი ორგანოები თეთრი სახლის ხელმძღვანელობით საქმიანობდა და აკვიატებული პოლიტიკური პოზიციებისგან თავისუფალი იყო. ამერიკის დემოკრატიული პარტიის რიგებში მათი გაერთიანება, უპრეცედენტოდ შეიძლება ჩავთვალოთ. 2016 წლის წინასაარჩევნო პერიოდში ამ ორგანიზაციების პენსიაში გასული უფროსი ოფიცრების მთელი ჯგუფი აშკარად უჭერდა მხარს **ჰილარი კლინტონს.** ამ ჯგუფის წევრმა ზოგიერთმა ოფიცერმა შეიმუშავა შეთქმულების რთული თეორიები, რომლებიც დაკავშირებული იყო დონალდ ტრამპსა და მის თანამებრძოლებთან. მათ შორისაა თეორია ტრამპის „კრემლის აგენტობის“ შესახებ.

ტრამპის დისკრედიტაციისა და, საბოლოო ჯამში, დელეგიტიმაციის მცდელობაში მონაწილეობდნენ იმ მომენტში სამსახურში მდგარი მაღალი თანამდებობის ოფიცრებიც. მაგალითად, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი **ჯონ ბრენანი** და **ჯეიმს კომი** გამოძიების ფედერალური ბიუროდან ტრამპის წინააღმდეგ და რუსეთთან მისი სავარაუდო კავშირის შესახებ გამოძიების დაწყების ინიციატორებად მოგვევლინენ.

აშშ-ის ფინანსთა მინისტრის ყოფილი თანაშემწე **პოლ კრეიგ რობერტსი** ლეგიტიმურ შეკითხვას სვამს — რატომ აგროვებენ ლიბერალური საერთაშორისო ორგანიზაციები, ისეთები, როგორიც Amnesty International-ია, ფულს ტრამპისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, როცა აშშ-ის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას ემუქრება ქვეყნის შიგნით არსებული ჩრდილოვანი სტრუქტურები პოლიციასა და ნეოკონსერვატორებს შორის?

ანტისამხედრო აქტივისტ **ჯასტინ რაიმონდოს** აზრით, ეროვნული უშიშროების ბიურომ და დემოკრატიულმა პარტიამ ძალები გააერთიანეს ადამიანების დასაბნევად, ისეთი ცრუ თვალსაზრისის ჩამოსაყალიბებლად, რომ თითქოს მსოფლიოსა და ქვეყანაში არსებული მდგომარეობა უეჭველად ბირთვულ დაპირისპირებამდე მიგვიყვანს. დემოკრატები და მათ კონტროლს დაქვემდებარებული მედიასაშუალებები განაგრძობენ ადამიანების დარწმუნებას, რომ „ქვეყანა ხელთ იგდო **ვლადიმერ პუტინმა** და რუსეთმა, ხოლო ტრამპი რუსეთის ხელსაწყოა, რომელიც ეხმარება რუსებს დემოკრატიისა და ამერიკის დამოუკიდებლობის მოსპობაში. დემოკრატებს დაქვემდებარებული მედია ნერგავს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ამერიკის სადაზვერვო ორგანიზაციებმა „ყველაფერი უნდა იღონონ 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გასაუქმებლად“.

რაიმონდოს მიაჩნია, რომ ამერიკის საზოგადოებაში უკვე მიმდინარეობს სამოქალაქო ომის მსგავსი დაპირისპირება, დემოკრატები ცდილობენ, შეინარჩუნონ პრივილეგიური სტატუსი, ხოლო ბევრი უბრალო ამერიკელი ნორმალური ცხოვრების კალაპოტში დაბრუნებაზე ოცნებობს. როგორც ჩანს, უახლოეს რამდენიმე წელიწადში გადაწყდება, როგორი ქვეყანა იქნება ამერიკა.

# კოალიციამ, აშშ-ის მეთაურობით, სირიაში 10 900 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს



**სირიაში მოქმედმა კოალიციამ, აშშ-ის მეთაურობით, სამხედრო ოპერაციების მსვლელობისას 40 თვეში 10900 ადამიანი მოკლა. ეს ინფორმაცია ადამიანის უფლებათა დაცვის სირიის ცენტრმა გამოაქვეყნა თავის ვებგვერდზე.**

ცენტრის მონაცემებით, მოკლულთა შორის „ისლამური სახელმწიფოს“ 7 396 ტერორისტია. ალ-ჰასაკას, ალრაკას, ალეპოს, იდლიბისა და დეირ ეზ-ზორის პროვინციებში 2 815 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, მათ შორის — 655 ბავშვი და 481 ქალი.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კოალიცია, რომელსაც სათავეში აშშ ჩაუდგა, 2014 წლის სექტემბერში შეიქმნა; მიზნად, „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლის გარდა, სირიაში არსებული რეჟიმის შეცვლა გამოცხადდა. 2017 წლის ბოლოს კოალიციამ უარი თქვა, გაეგრძელებინა სამხედრო ოპერაციები არაბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ **ბაშარ ასადის** კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე.

# ირანის თავდაცვის ექსმინისტრმა დასავლეთი «ისლამური სახელმწიფოს» მხარდაჭერაში დაადანაშაულა

**ერაყსა და სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ დამარცხების შემდეგ დასავლეთის ძალებს მოთარეშეთა შეიარაღებული დაჯგუფებები ავღანეთსა და ცენტრალურ აზიაში გადაჰყავთ, — მიიჩნევს ირანის თავდაცვის ყოფილი მინისტრი ახმედ ვაჰიდი. ინფორმაციას „რია ნოვოსტი“ სააგენტო Tasnim-ზე დაყრდნობით ავრცელებს.**

ერაყის პრემიერმინისტრმა **ჰაიდერ ალ-აბადიმ** დეკემბრის დასაწყისში განაცხადა, რომ მის ქვეყანაში კოალიციის სრული გამარჯვებით დამთავრდა ომი „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ.



**ვლადიმერ პუტინმა** კი 11 სექტემბერს გასცა ბრძანება რუსეთის შეიარაღებული ძალების ნაწილების სირიის არაბული რესპუბლიკიდან გაყვანის შესახებ. უფრო ადრე, ნოემბრის ბოლოს, თეირანმა განაცხადა, რომ „ისლამური რესპუბლიკა“ ერაყსა და სირიაში განადგურებულია.

# კურიოზები დავოსში

**შვეიცარიული დავოსის ეკონომიკური ფორუმის სერიოზული საკითხების გაშუქებასთან ერთად, ჟურნალისტებს არც კურიოზები და უცნაური შემთხვევები რჩებოდათ ყურადღების მიღმა.**

მაგალითად, 26 იანვარს გვაცნობეს, რომ **დონალდ ტრამპის** კორტეჟის ერთ-ერთი ავტომანქანა პოლიციელს დაეჯახა. იგი სწრაფმა რეაქციამ გადაარჩინა: მოასწრო განზე გახტომა და დარტყმის სიძლიერე ერთგვარად შეამცირა. ინციდენტის ვიდეოჩანაწერი გერმანულმა Blick-მა გამოაქვეყნა.

სოცქსელების მომხმარებლები და მედიის მკითხველმაყურებლები გაახალისა ადამიანის მსგავმა რობოტმა სოფიამ. დავოსის „უკრაინულ სახლში“ უხერხული მდგომარეობა შეიქმნა, როცა „ქალიშვილს“ ჰკითხეს, რა მდგომარეობაა უკრაინაში კორუფციის თვალსაზრისით. ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობისას ეს რობოტი მწყობრიდან გამოვიდა.





კურიოზულ სიტუაციაში აღმოჩნდა უკრაინის პრეზიდენტი **პეტრე პოროშენკო**, რომელმაც ტელეარხ „როსია-24“-ის კორესპონდენტ **ნატალია ასკერ-ზადეს** რუსულ ენაზე დასმულ შეკითხვაზე, პასუხის გაცემის ნაცვლად, ურჩია, რადგან უკრაინულად არ ლაპარაკობს, გაეხადა უკრაინული „ვიშივანკა“. არადა, ნატალიას ეცვა კაბა, რომელზეც ამოქარგული იყო ყვავილები და უკრაინის ეროვნულ სამოსთან მას საერთო არაფერი ჰქონდა(!).

დასავლელი ჟურნალისტების ყურადღება მიიპყრო კანადის პრემიერმინისტრმა **ჯასტინ ტრიუდომ**, არა მის მიერ წამოყენებული ეკონომიკური ინიციატივებით, არამედ „მხიარული“ იისფერი წინდებით, რომლებსაც ყვითელი ჭუკები ახალისებდა.

ამ წინდებს ბრიტანულმა Daily Mail-მა სპეციალური რეპორტაჟი მიუძღვნა და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვან ოფიციალურ შეხვედრებზე კანადის პრემიერი არაერთხელ მისულა „ვარსკვლავური ომების“ პერსონაჟებისა და კანადის დროშის ნეკერჩხლის ფოთლის გამოსახულებით დამშვენებული „სულელური“ წინდებით.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894